




K 179 073
3



ქვეყნის თანამდებობა ცენტრალური




ଓଡ଼ିଆରେ ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ
ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ
ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ





დრო საოცარი ფენომენია, იგი ყველაფერს ხარშავს და ინელებს. დროს, ეამთა სელისა და ცვალებაღობას ბევრი საერო თუ საკულტო ნაგებობა შეეწირა. მიუხედავად იმისა, რომ ხალხთა ყოფაში საკულტო ნაგებობის მანძილზე დაგროვილი, შეთვისებული წეს-ჩევა და ადათი ამა თუ იმ ერში მყარად არის ფესვების დაგმული, მიუხედავად მისი კონსერვაციულობისა, დრო მასაც არ ინდობს, „უმოწყალოლ“ ანადგურებს და შთანთქავს, და მის ადგილზე ახალ ჩევევებს ქმნის.

არცოთ დიდი ხნის წინ, სულ რაღაც სამი-ოთხი ათეული წლის წინ, ობილისის ქუჩებში შეგვეძლოთ გენახათ: წრე-ლახტი, ჩილიკა-ჭოხი, ალწუ-თოხანი (კოჭაობა), ავჭალური (ფეხით კენჭლაობა) და მრავალი სხვა საყმაწვილო სპორტული გასახოთობი-სანახაობა. მაგრამ ვერც ესენი გადაუჩინენ უმთა სელის. ისინი ისტორიას ჩაბარდნენ და სულ მაღლ საძებნი გახდება ის მავანი და მავანი აღაშიანი, რომელსაც შეეძლება აღადგინოს ესა თუ ის მიერწყებული ქალაქერი თამშობა.

წინამდებარე წიგნში „ქველი თბილისური სურათები“, ავტორი ცდილობს „მქვდრეოთო“ აღადგინოს ქველი ქალაქური, ობილისში, ამ „დია ცის ქვეშ ასებული დიდ თეატრის“ ქუჩებში დადგმული თუ გათამაშებული ისტორიულად თუ ეთნოგრაფიულად საინტერესო, დიდგმული სანახაობები — ყენობა, მუშტი-კრიკი, ყოჩების ქადილი, მამლების კინკლაობა, მამადავითობა, მშითვის ჩენება, თელეთობა და სხვ.


პირველი გამოცემა

© ნაკადული, 1980

70803—135

Б _____ 126—80

M-603(08)-80



K 173.073

„შენ აგიხსნია პეპრი ძარაგმა...“



ველი თბილისის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალა გვიმცნობს, რომ თბილისი სამოსახლოდ ბევრად უფრო ადრე იყო გამოყენებული, ვიდრე მას ჩვენამდე მოლწეული ძველ საისტორიო თხზულებათა ავტორები მოიხსენიებენ.

თბილისს პირველად მოიხსენიებს მატიანე „მოქცევა ქართლისად“ IV საუკუნის ამბებთან დაკავშირებით, როცა აქ სპარსეთის შაპის მოხელე, პიტიახში მოდის.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოს სხვა დასახლებულ პუნქტებთან შედარებით თბილისის ზრდას, მის დაწინაურებასა და ქალაქად გადაქცევას ხელი შეუწყო ეკონომიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით ხელსაყრელმა გიოგრაფიულმა მდებარეობამ.

VII საუკუნის მეორე ნახევრიდან არაბთა დამანგრეველმა ლაშქრობებმა რამდენადმე შეაფერსა საქართველოს, კერძოდ, თბილისის ეკონომიკური და კულტურული წინსვლა. იქმნება თბილისის საამირო.

ცნობილია, რომ არაბებმა დაპყრობილი ქვეყნები დიდ სააღმიმცემო საქმიანობაში — ვაჭრობაში ჩართეს. ამ მხრივ არც ქალაქი თბილისი ყოფილა გამონაკლისი. იგი მაღლე ჩაება დიდ საერთაშორისო, სატრანზიტო ვაჭრობაში. თბილისის სავაჭრო ოქტიურობაზე მიგვანიშნებს VIII საუკუნეში არაბების მიერ თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი ე.წ. „თბილისური დრამის“ არსებობა. „თბილისური დრამა“, სხვა არაბულ მონეტებთან ერთად, სავაჭრო მიმოქცევაში

გამოიყენებოდა არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

IX-X საუკუნეებში თბილისი მტკვრის ორივე ნაპირზე გაშენებული ქალაქია. შუაში ხიდია გადებული. არაბი სატორიკოსი ალ-მუკადასი (X ს.) წერს: „თბილისი გორათა შორის სიმაგრეა, მას კვეთს მდინარე მტკვარი, ორივე ნაპირზეა გადაჭიმული და ხიდითა შეერთებული.“

VII საუკუნიდან მოყოლებული XI საუკუნემდე თბილის ამირა განავებს. ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა საქართველოს მეფებს (ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II) საშუალებას არ აძლევდა, მთელი ყურადღება თბილისის განთავისუფლებაზე გადაეტანათ.

„ქრისტიანული და მუსლიმანური მოსახლეობის საუკუნეთა მანძილზე თანაცხოვრება თბილისში და საქართველოს ზოგ სხვა ქალაქში, მაგრამ მამადიანთა მფლობელობის ხანგრძლივ პერიოდში თბილისის მჭიდრო კავშირი საქართველოს ცალკეულ კუთხეებთან და, საერთოდ, ქართულ სამყაროსთან, თბილისის გარემოცვა განსაკუთრებით XI ს. დამდევიდან საქართველოს ახლად წარმოქმნილი ფეოდალური მონარქიის მიერ და, აქედან გამომდინარე, ქართული სახელმწიფოებრივი წყობის დიდი გავლენა ქალაქზე, განსაზღვრავდა თბილისის საქალაქო წყობის, მმართველობის, საქალაქო ცხოვრებისა და ყრფის თავისებურებას“ (მ. მესხია — „ძლევათ საკვირველი“).

როგორც ცნობილია, მეფე ბაგრატ მეოთხემ რამდენჯერმე სცადა თბილისის განთავისუფლება, მაგრამ საშინაო და საგარეო მტრების ხელშეწყობით ქალაქი კიდევ რამდენიმე ათეული წელი უცხოთა ხელში დარჩა.

1045 წელს, თბილისის ამირა ჯაფარის გარდაცვალების შემდეგ, ქალაქის გამგებლობა „ქალაქის უხუცესების“ ანუ „ტფილელი ბერების“ ხელში გადავიდა. XI საუკუნის 60-იანი წლების დასასრულისათვის კი თბილისი ისევ ჯაფარიდების გვარის ამირას ხელშია და ბაგრატ IV-ეს ყოველწლიურად 44000 დრაპერანს უხდის.

მაგრამ ამირას ხელისუფლება თბილისში დიდხანს აღარ გაგრძელებულა. ამავე საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისშივე, ალ-ფარიქის ცნობით, თბილისი „მისი ხალხის ხელშია და ყოველ თვეს განავებს ქალაქს ერთი მათგანი“... ასე გასტანა დაახლოებით ორმოც

წელიწადს. „ქალაქის გამგებლობის „ხალხის ხელში“ გადასცლა ქალაქის თეოთმართველობის ქალაქის დამოუკიდებლობაში გადაზრდას, ანუ თბილისის ქალაქ-კომუნად გადაჭცევას ნიშნავდა“ (მ. მესხია). ქალაქ-კომუნის მმართველობა კი ყოველთვის და ყველაზე, თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და დაცვის მიზნით, წინააღმდეგი იყო ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლებისა. ამ შემთხვევაში არც ქალაქი-კომუნა თბილისი იყო გამონაკლისი.

1121 წელს, დიდგორის ძლევამოსილი ბრძოლის შემდეგ, ქართველთა ჯარი თბილისისაკენ დაიძრა, მაგრამ დავით აღმაშენებელს ამჯერად წინ აღუდგა ქალაქის მოსახლეობის პრივილეგირებული, მმართველი ზედაფენა.

დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, დავით აღმაშენებელმა ქალაქი თბილისი აიღო და იგი ერთიანი საქართველოს მეუფის სატახტო ქალაქად აქცია.

ეს მოხდა 1122 წელს.


თბილისის შემოერთების შემდეგ იწყება ქალაქის ჰეშმარიტი აღორძინება. იგი თავისი ქალაქისპირა სასოფლო და სახელოსნო სოფლებითა და გარეუბნებით საიმდროისო მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი გახდა. ამ ხანის თბილისის საქებრად სიტყვებს არ იშურებენ ბიზანტიილი, სომეხი, არაბი და სპარსი ისტორიკოსები თუ ხითათის მოყვარული პილიგრიმ-მოგზაურები.

XII-XIII საუკუნეების თბილისი მნიშვნელოვანი სავაჭრო და სახელოსნო ცენტრია.

ქალაქის მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ თავისუფალი მწარმოებლები, ხოლო ზედაფენას — ე.წ. „დიდგვაჭრები“, რომელთა გვერდით დაბალი, მაგრამ თავისუფალი ვაჭრებიც იყვნენ. თბილისში თავისუფალ ვაჭართა გარდა ყმა ვაჭრებიც იყვნენ. ყმა ვაჭრები ეკუთვნოდათ მეფეს და სხვა დიდებულებს. ქალაქის ყველაზე დაბალ სოციალურ ფენას „ქალაქის გლახაენი“ შეადგენდნენ. ქალაქში მოსაქმე ხელოსნები ეკუთვნოდნენ მეფესა და თავად-აზნაურობას, მაგრამ ხელოსანთა მეტი წილი თავისუფალი იყო.

1226-1230 წწ. თბილისი რამდენჯერმე დალაშერა მონღოლები საგან ლტოლვილმა ხეარაზმის შავმა ჯელალედინმა. ხეარაზმის შავმის მიერ მიყენებული ჭრილობები ქალაქს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მო-

၁၉၃၅ ခုနှစ်၊
မြန်မာနိုင်ငြန်



ရန်တော် အမြတ်ဆင့် အောင် ပုဂ္ဂန်မြတ်

შუშებული, რომ თბილისს და მთელ საქართველოს მონლოლები შემოესიყნ. ჩეენში მონლოლთა ბატონობა XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული თითქმის მთელი საუკუნე გაგრძელდა, ქართველ ხალხს მძიმე უღლად ედო მონლოლური გადასახადი, ორ-შელიც ძირს უთხრიდა როგორც საქალაქო, ისე სოფლის შეურჩეობას. საქალაქო ცხოვრება მთლიად მოიშალა. ქალაქიდან მოსახლეობის ყურა-განებიზენის გამო დაცა ხელოსნობაც. მაგრამ მონლოლთა ბატონობის ხანაშიც არ ცხრებოდა ქართველი კაცის გამრჯვე მარჯვენა. ამ ავბედითობის უამს აიგო თბილისში მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი.

1284 წელს თბილისს სტუმრად მყოფი ცნობილი სომეხი სწავლული და პოეტი იოანე ერზინკელი თბილისს დიდ და სახელგანთქმულ ქალაქიდ იხსენიებს: „მოგვიხდა შემთხვევა ჩაესულიყავით... ქართველთა სამეფოში, სახელგანთქმულ დიდ სატახტო ქალაქში, ისტორიული წიგნებით ფაიტაკარანად ცნობილ თბილისში.“


მონლოლების ხანგრძლივ ბატონობას შედარებით სიმშვიდე მოჰყვა. იმ დროს თბილისი კიდევ უფრო გალამაზდა. მაგრამ ისე დიდ-ზანს არ გაგრძელებულა. სამინელ ლვარცოფად მოეცლინა საქართველოს თემურ ლენგი, რომელმაც ჩეენში რევაზერ ილაშქრა (1386-1403 წწ.). ამ ენით აუწერელი დამანგრევების შემდეგ საქართველო ეკონომიკურად ძლიერ დაზარალდა. სამუდამეამოდ აღი-გავა პირისაგან მიწისა მრავალი სოფელი და ქალაქი, აიჩხა ზვრები, ხოდაბუნები მტრის ცხენთა და ნახირთა ფლოქეებმა გადათელა.

XV საუკუნე როგორც საშინაო, ისე საგარეო ურთიერთობათა თვალსაზრისით სასიკეთო არ იყო ქართველი ხალხისათვის. ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დაიყო და დანაშილდა სამ სამეფოდ და სამთავროებად. 1453 წ. თურქებმა დაიპყრეს კონსტანტინოპოლი. ამით საქართველო მოწყდა გარე კულტურულ სამყაროს; გადაინაცვლა სავაჭრო-სატრანზიტო გზებმაც.

თბილისისათვის დამანგრევები იყო ჯეპან-შაპის (1440 წ.), უზუნ ჰასანის (1477 წ.), იაყუბ-ყაენის (1488 წ.) და სეფიანთა ირანის ტახტის მპყრობელთა შემოსევები (XVI-XVII სს.).

XV-XVI საუკუნეებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქალაქის სოციალურ ცხოვრებაშიც, რომელიც მოქალაქეთა ფენის დაშლით და ყმა-ვაჭართა და ყმა-ხელოსანთა მომრავლებით გამოიხატა.

ისიც აღსანიშნავია, რომ ამიერიდან მოქალაქედ მხოლოდ სამეფო, სადედოფლო, საეკლესიო მსხვილი ვაჭრები და, გამონაკლისის სახით, ზოგი ხელოსანი იწოდებოდა. მოქალაქის წოდების მიღება დიდი პატივი იყო და დიდ პრივილეგიადაც ითვლებოდა. მოგვიანებით მოქალაქის წოდების მიღების განსაზღვრული და საგანგებო წესიც შემოიღეს. მოქალაქებად არ ითვლებოდნენ, არ იწოდებოდნენ ქალაქ-



ძველი თბილისის საერთო ხედი, ნარიყალა და მაიდნის ხიდი

ში მცხოვრები და მოსაქმე კერძო საბატონო ყმა-ხელოსნები და ყმა-ვაჭრები, თუნდაც ისინი თავისუფალი მწარმოებლები ყოფილიყვნენ. მოქალაქენი მხოლოდ სამეფო გადასახადით — მახტით — იბეგრებოდნენ, ყმა-ხელოსანი და ყმა-ვაჭარი კი — სხვადასხვა გადასახადით, რომელსაც უხდიდნენ როგორც მეფეს, ისე თავიანთ უშუალო მფლობელს, ბატონს.

XVII საუკუნის 30-იან წლებში ირანსა და ოსმალეთს შორის და-

დებულმა სამშვიდობო ხელშეკრულებამ (1639 წ.), რომელიც 1723 წლამდე არ დარღვეულა, დადებითად იმოქმედა საქართველოზე.

ქართლის სამეფოს დედაქალაქი თბილისი ეკონომიკური აღმავე ლობის გზაზე შედგა. გაიზარდა მოსახლეობის რიცხვი. ფართო გაქანება მიეცა საგაჭრო ოლებ-მიცემობას, თბილისში შეუჩერებელ ნაკადად მოედინება უცხოური საქონელი, ქალაქი შენდება — აიგო მეფის ახალი სასახლე, ეკლესია-სამრეკლოები, ქარვასლები, ხიდები და სხვა. ფრანგი მოგზაური ტავერნიე XVII საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის შესახებ ამბობს, რომ „ტფილისს, რომელიც ქართლის სატახტო ქალაქია, კარგი მდებარეობა აქვს, საკმაოდ დიდია და კარგი გაშენებულია, აქ აბრეშუმის დიდი ვაჭრობაა გამართული.“

XVII-XVIII საუკუნეებში თბილისი ყოველმხრივ დაწინაურებული ქალაქია.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან აყვავებას იწყებს ქართული კულტურაც. 1709 წელს ამიერკავკასიაში პირველად თბილისში გაისანა სტამბა; ვახტანგ VI-ის თაოსნობით შეიქმნა ქართული საკანონმდებლო წიგნი „დასტურლამალი“, სადაც მაშინდელი საქართველოს მნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხებთან ერთად დიდი ადგილი დაეთმო ქალაქის, თბილისის მოხელეთა უფლება-მოვალეობის, ქალაქ-ში წყლით სარგებლობის, ვაჭრობისა და სხვა საკითხებს. ამუშავდა მანინდელი თბილისის ერთ-ერთი მსხვილი სარეწაო საწარმო, სამეფო ზარაფხანა, სადაც რამდენიმე ათეული სხვადასხვა სპეციალობის დაქირავებული ოსტატი და ხელოსანი მუშაობდა.

მეცე ვახტანგ VI-ის მიერ დაწყებულ დიდ ეროვნულ საქმეს ხელი შეუშალა მძიმე საშინაო და საგარეო ვითარებამ; კახთა მეფე კონსტანტინე დაქირავებული ლექთა ჯარით 1723 წელს იპყრობს ქალაქ თბილისს და ძარცვას.

სულ მალე კახთა მეფე კონსტანტინე ჯერ ოსმალებმა შეცვალეს, ხოლო 12 წლის შემდეგ — ყიზილბაშებმა. ისევ ძარცვა, ტყვევნა, რბევა... თბილისის შუკება და ფოლორცებში არ წყდება გამწარებულ დედათა ვაი და ვიში...

XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება როგორც ქვეყნის, ისე ქალაქ თბილისის ხელახლა მოშენება, აყვავება და აღორძინება. ასე გასტანა თითქმის საუკუნის მიწურულამდე, ვიდრე საქართველოს ახალ რისხვად არ მოევლინა აღა მაშმად ხანი.

მან როგორც კი დაიმორჩილა და გააერთიანა დაქსაქსული ორანი, მთელი ყურადღება ჩრდილოეთ აზერბაიჯანსა და საქართველოზე გადმოიტანა.

აღა მაშმად ხანმა მეფე ერეკლეს რუსეთთან კატშირის, განწვეტა და ირანთან გასალური დამოკიდებულების აღდგენა მოსთხოვა, რაზეც ქართლ-კახეთის მეფემ უარი შეუთვალა, თუმცა კარგად იცოდა, გაძლიერებული აღა მაშმად ხანი დღეს თუ არა, ხეალ საქართველოს შემოესეოდა.

მეფე ერეკლე თავისი ელჩის გარსევან ჭავჭავაძის პირით რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს სთხოვდა, მცირეოდენი ჯარი გამოეგზავნა საქართველოში, რასაც ითვალისწინებდა კიდეც 1783 წლის 24 ივლისის გეორგიევსკის მეგობრობითი პირობა, ანუ „პაქტი“. მაგრამ რუსეთი ამ დროს საფრანგეთის ბურუუაზიული რევოლუციის დამარცხების შედეგ დასავლეთ ევროპით უფრო იყო დაინტერესებული და მახლობელ აღმოსავლეთში პასიური დიპლომატიის გზას აღგა.

XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აღა მაშმად ხანი იწყებს ამიერკავკასიის სახანოების, საქართველოს ყმადნათუცი ხანების დამორჩილებას. და აი, 1795 წლის 10 სექტემბერს საქართველო პირისპირ აღმოჩნდა ირანის მრავალრიცხვოვანი ჯარის წინაშე. თუ რა ბედი ეწია თბილის ამ შემოსევის შედეგად, კარგად არის ცნობილი. აღა მაშმად ხანი სამი დღე ძარცვავდა ქალაქს. შემდეგ იქაურობას გაეცალა.

მეფე ერეკლე რუსეთს არ უტეხდა პირს, აღა მაშმად ხანი კი ჩვენში ხელახალი გამოლაშქრებისათვის ემზადებოდა.

1795 წლის დეკემბერში რუსთა ჯარი გენერალ პლატონ ზუბოვის მეთაურობით საქართველოში შემოვიდა, მაგრამ 1796 წელს რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორე გაიდაიცვალა და ახალმა იმპერატორმა პავლე პირველმა უკან, რუსეთში გაიწვია საქართველოში მყოფი რუსთა მცირერიცხვოვანი ჯარი.

აღმოსავლეთ საქართველო ახალი საშიშროების წინაშე დადგა. ირანის შაპი ზეიმობდა საქართველოდან რუსი ჯარის გაწევევის. აღა მაშმად ხანი მეფე ერეკლეს უთვლიდა, ხელი იეღო რუსეთთან მეგობრობაზე, სამაგიეროდ, პპირდებოდა 1795 წელს თბილისის აოხრებისას ტყვედ წაყვანილი ყველა ქართველის უკან დაბრუნებას, დან-



ძველი თბილისის ერთ-ერთი შუა, აივნიანი სახლები

გრეულის აშენებას. კეთილ განწყობილებას... მაგრამ მეცე ერევლე არ ღალატობდა 1783 წლის ხელშეკრულებას.

აღა მაჰმად ხანი მეორედ წამოვიდა საქართველოსკენ; ერევლე-წადა 1797, ქორონიკონ უპე (485), გაზაფხულსა მოვიდა კენტავრ პამბავი აღამამადხანის წამოსვლისა... ივნისის დაწყებაში, მოვიდა შუშას, და ენება მუნიდამ შემოსევა ქართლსა და კახეთსა შინა, გარნა მოხედა ღმერთმან მოწყალებით საქართველოს, ივნისის დ (4) ღამით, უღალატეს ფარეშთა თვისთა აღამამადხანს და მოკლეს შუშის ციხესა შინა“, — გადმოგვცემს ითანე ქართველიშვილი.

ამჯერად ბედნიერმა შემთხვევამ გადაარჩინა საქართველო გამძინვარებული შაპის შურისძიებისაგან.

1798 წლის 11 ივნისს თელავში გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეცე ერევლე მეორე. მისი სიკვდილის შემდეგ ქვეყანა უფრო აირია. სამეფო ტახტზე თითქმის ყველა ბატონიშვილი აცხადებდა პრეტენზიას.

სამეფო ტახტი, როგორც ერევლე მეფის უფროს შვილს, ერგო გიორგი XII-ს, რომელმაც მეფობა ურჩი ბატონიშვილების და თავადაზნაურთა მოთოვეოთა და მოთვინიერებით დაიწყო. გიორგი XII-ის მტრების გააქტიურებასა და გამოცოცხლებას ხელს უწყობდა მეფის განუკურნავი სენი — წყალმანკი.

გიორგი XII, ისევე, როგორც მისი მამა მეცე ერევლე, პეტერ-ბურგის სამეფო კარზე დიპლომატიური მიმოწერით და ქართველ ელჩთა წარგზავნით ცდილობდა რუსეთიდან ჭარისა და ფულადი სესხის სახით დახმარების მიღებას. მაგრამ რუსეთის სამეფო კარზე საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო: ქართლ-კახეთის სამეფო უნდა გაუქმებულიყო და იგი რუსეთის იმპერიას შეერთებოდა.

მეცე გიორგი XII-ის ჯანმრთელობა სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. რუსეთის იმპერატორი კი ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე ქართველი მეფის დასმას არ აპირებდა.

1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა. მეფის გარდაცვალებამდე კავკასიის ხაზის უფროსს საიდუმლოდ პქონდა მიღებული ბრძანება ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ.

1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში გამოცხადდა მანიფესტი

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ გუბერნიად გამოცხადების შესახებ.

თბილისში მანიფესტის ოფიციალურ გამოცხადებას ხელი შეუ-
შალა იმპერატორ პავლე პირველის მკვლელობამ.

იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ახალი მანიფესტი გამოს-
ცა 1801 წლის სექტემბერში.

1802 წლის 12 აპრილს თბილისის ქათელრალური ტაძარი სიონი
ზალხით იყო საცხე. ვისაც შეგ შესვლა ვერ მოესწრო, გარეთ იდგა.
ზალხს გარს ერტყა აქ „სასხვათაშორისოდ“ მოსული რუსის დრა-
გუნთა პოლკი.

ზალხი დიდი ამბის მოლოდინში გარინდულიყო.

ცხენშე ამხელრებულმა კავკასიის ხაზის უფროსმა, გენერალმა
კონრინგმა ქართველ ზალხს აუწყა ქართული სამეფოს გაუქმებისა
და ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების
უმაღლესი ბრძანება-ჩესკრიპტი. ამიერიდან ქართლ-კახეთის სამე-
ფო რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ გუბერნიად ცხადდებოდა, ხოლო
საქართველოს დედაქალაქი თბილისი — საგუბერნიო ქალაქიდ.

ქართველი ზალხის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ხანა.

თბილისის გადასხვაფერებაში, უფრო სწორად, მისი კოლორი-
ტული სახის დაკარგვაში მთავარი როლი შეასრულა სამშა ძირითადმა
ფაქტორმა:

1. თბილისში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ქართუ-
ლი მმართველობის შეცვლამ რუსული აღმინისტრაციული ხელისუფ-
ლებით, რომლისთვისაც ქართული წეს-ჩვევა და ენა უცხო და გაუგე-
ბარი იყო;

2. თბილისის, ამ აზიური ქალაქის გაევრობულობამ (განსაკუთ-
რებით XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან);

3. ფეოდალური შეასაუკუნოვანი ქალაქის კაპიტალისტურ ქა-
ლაქად გადაქცევამ, რამაც ძირი გამოუთხარა თბილისის ხელოსნურ
წარმოებას — ძველი ყოფის და წეს-ჩვევის ერთ-ერთ საყრდენს
(თბილისელი ხელოსანი, თავისი კონსერვატიულობით, ინახავდა და
იცავდა ქალაქურ ადამ-ჩვევებს ახლის ხელყოფისაგან).

ძველი თბილისური ყოფა გზას უთმობდა ახალს, რომელიც სულ
უფრო მტკიცედ იყიდებდა ფეხს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისი უკვე ისეთი ქონტ-რასტული და მრავალეროვანი ქალაქი იყო, რომ აქ ჩამოსულ უტხო-ელს აოცებდა ერთსა და იმავე დროს მისი აზიურობა და ევროპულობაც.

ფრანგი მოგზაური ემილ-ლევი გილევი 190-იანი წლებ-ის თბილისს ასე აღწერს: „მაღლიდან ქალაქი საღამოს უამს მშენებე-რი სანახავია, ასე მგონია, ეიფელის კოშკიდან გადავცემი გაჩირალ-



მაილის ხიდი, ქარვასლები და ციხესიმაგრის ნანგრევები

დნებულს პარიჟსა-მეთქი... მიწა უსახლოდ აღარ დაუტოვებიათ, მტკვრის ორივე ნაპირზე გროვა-გროვად არის შენობა... ჩვენი სას-ტუმროს (ინტურისტი, თ. ბ.) წინ ერთი ქუჩაა, პარიჟის ბულვარივით ფართო (გოლოვინის ქუჩა, თ. ბ.), ხეებით და ევროპული მაღაზიე-ბით შემკვბილი. ტროტუარი უფრო ფართოა, ვიდრე აჭარის შირაგ-

ზა... მარცხნივ მთავარმართებლის სასახლეა (პიონერთა სასახლე,
თ. ბ.) და სხვა საზოგადო შენობები, მუზეუმი, წიგნსაცავი და სხვ.

ევროპული სიცხოველე და მოძრაობა ტფილის არ აკლია, ქუ-
ჩაში ათასნაირი ხალხი ირევა, რომელთა შორის გაარჩევთ რუსები
ოფიციელს, გლეხებს, ქალებს პარიის უკანასკნელ მოღაზე შორ-
თულთ და სხვა. ეტლის, ცხენის რკინის გზის და სხვათა რახა-რუსი-
სგან ყურად მერნა აღარ არის. ყველაზე უფრო ხშირად ქართველებს
ვხედავთ, ჩერქეზული ტანისამოსით მორთულებს, წელზე რომ ხან-
ჯალი არ ეკიდოთ, ბერები გეგონებათ. აგრეთვე ქართველი ქალე-
ბი თავის თავ-სახურავით, ჩიხტით და ლეჩაქით მონაზენებს ვვანან,
მაგრამ იმათ თვალ-წარბს არავითარი რელიგიური გამოშეტყველება
არ ეტყობათ".


თბილისი ორსახოვან იანუსს ჰგავდა. ქალაქის ძველი ნაწილი
თავისი ვიწრო ქუჩებით, შუკებით, ფოლორცებით და ბანიანი სახ-
ლებით ტაბიური შუასაუკუნოვანი, ფეოდალური ხანის აზიური ქალა-
ქი იყო, ხოლო მისი ახალი ნაწილი — ფართო ქუჩებითა და არქიტექ-
ტურულად გაფორმებული ლამაზი სახლებით — ევროპული. ამ
ძველსა და ახალ უბნებში მცხოვრები ხალხიც განსხვავდებოდა ერთ-
მანეთისაგან: წეს-ჩეევით, ჩატულობით, სიტყვა-პასუხითა და ხელო-
ბა-პროფესიით. ქალაქის ძველ ნაწილში ცხოვრობდა: ხელოსანი,
წვრილი ვაჭარი, თულუხი (წყლისმზიდავი), სარაჭი, მებადუ-
რი, მკალავი, სირაჭი, დაბალი, ოქრომჭედელი, ნალბანდი, ჩილინდარი
და სხვა, ახალ ნაწილში კი, ძირითადად, არისტოკრატია, ე. წ. ინტე-
ლიგენცია, თბილისში ახლად შექმნილი მსხვილ მეწარმეთა და დიდ
ვაჭართა ბურეუაზიული კლასი.

თბილისი ამიერკავკასიის მხოლოდ კულტურულ-ეკონომიკური
ცენტრი როდი იყო, სტუმართმოყვარე, ეგზოტიკური ქალაქი თავის-
ენ ანდამატივით იზიდავდა, გულგაშლილი ხედებოდა ბევრ მოსულ
ვაჭარს, მოგზაურს თუ ლტოლვილს, რომელნიც ჩვენ ქალაქს შეუ-
ფარებია და თავისად მიუღია კიდეც.

თბილისში მოსულ და დამკვიდრებულ სხვა ერიშვილს კი თან
მოჰქონდა თავისი ადათ-წესები, რომლებსაც აქ ადგილობრივი, ქარ-
თული, ქალაქური ყოფა ხედებოდა. ხშირად ადგილობრივი ყოფა მო-
სულის წეს-ჩეევებიდან რომელიმე ელემენტს ითვისებდა და მას ქა-
ლაქურ ინტერპრეტაციას აძლევდა.

მთელი XIX საუკუნე გაგრძელდა თბილისის ეგზოტიკური სახის დაკარგვის, მისი გაღასხვათერების პროცესი. მაგრამ უფრო ინტენსიური ფორმა მან მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მიიღო, როცა ადგილობრივი შინამჩრეწველობა, ხელოსნური წარმოება კაპიტალისტური წარმოების გავლენის ქვეშ მოექცა.

„ნეტავ შება როგორ ითხოვს ამ თაგ-
ლის-ქალაპისაო?“



ცხეთას გამოსცდებოდით თუ არა, იგრძნობ-
დით, რომ უახლოვდებოდით საქართველოს უძვე-
ლეს დედაქალაქს, იმხანად კი საგუბერნიო ქალაქ
თბილისს. გზადაგზა თანდათან მატულობდა დუქ-
ნები და ხილით, შეშით, ფიჩით, ნახშირითა თუ
სხვა ათასგვარი რამით დატვირთული ურემი, ცხენი, ჭორი თუ ვი-
რი. მათი სიმჟიდროვისაგან ზოგჯერ გზა ისე იხერგებოდა, ფეხით
მოსიარულეთ გავლა უჭირდათ. შეძლებულნი კი, ქალი თუ კაცი,
ამხედრებულნი, „საზეიმოდ“ შემოდიოდნენ ქალაქში. ეს იყო სანა-
ხაობა, რომელიც თვისითავადობითა და თვითმყოფადობით მნიშ-
ველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა... აღმართს დაღმართი
სცვლიდა, დაღმართს ისევ აღმართი და, აპა, მდინარე ვერეც. გადა-
ივლიდით როსტომ მეფისდროინდელ, XVII საუკუნის ხიდს და შე-
უყვებოდით ქალაქში მისასვლელ ბოლო აღმართს. ამ აღმართსაც
რომ გაათავებდით, თქვენს თვალშინ გადაიშლებოდა უზარმაზარი
ტაფობი.

„მოსკოვის ზასტავით“ (დღევანდელი რუსთაველის სახელობის
მოედანი) მგზავრი საქართველოს დედაქალაქში შედიოდა.

ქალაქის ახალი ნაწილის, გოლოვინის და სასახლის ქუჩების გავ-
ლის შემდეგ, თუ ბაზრის მოედნიდან ხელმარცხნივ ჩაუხევდით,
მოხვდებოდით ე. წ. შუა ბაზარში (დღეს ლესელიძის ქუჩა). ასე ერ-
ქვა მას იმიტომ, რომ ძველ თბილისს ორ ნაწილად, ზემო და ქვემო
უბნად ყოფდა. ზემო იყო ბაზრის ხელმარცვნივ მდებარე უბანი ავ-
ლიაბრის ხიდიდან მტკვრის აყოლებაზე ქალაქის გალავნამდე, ქვე-
მო — ბაზრის ხელმარცხნივ მდებარე უბანი „მეოდნიდან“ კლდის
უბნის ჩათვლით.

2. თ. ბერიძე

შეხვიდოდით ძეელ თბილისში და ერთბაშად ეგროპიდან აზიაში ამოყოფდით სავს. აქაურ ვიწრო ქუჩებში ორი ურუმი კი არა, ფეხით მოსიარულენიც გაჭირებით თუ აუგლიდნენ. ტრიტშანეთს გვერდს. მერე რანაირი ჩაცმულობის, სიტყვა-პასუხის, ენისა თუ სოციალური მდგომარეობის ღდამიანს არ შეხვდებოდით აქაურ შეკებსა და ფოლორცებში: ჩიხტიკობით თავდახურულ ქართველ მანდილოსანსა თუ ჩიხა-ახალუხში გამოწყობილ ქართველ ვაჟაცს, კურტნიან რაჭველ მუშას, რომელსაც ღვინით სავსე ათვედროიანი რუმბიზურგზე „წამოუგორებია“ და ღვინის სარდაფისაკენ ანდა ბაზრისაკენ მიაჩენებს, ჩასუქებულ სომეხს, თავზე რომ „მოსკოვური კარტუზი“ ხურავს, შუბლზე ბეწვის ქუდჩამოფხატულ ლექს, ეჭვიანად რომ იმზირება, თეთრჩალმიან მოლას, თეთრწვერა სპარსს, ფრჩხილები რომ ინით შეუღებავს და ფეხთ ჭრელი წინდები და ქოშები აცვა, ეტლის კოფოზე წამომჯდარ ღუხაბორსა თუ მალაკან მეტლეს, სერთუქში გამოწყობილ რუს ჩინოვნიქს, პოლონელებს, გერმანელებს...


ძეელი თბილისი — ეს განუმეორებელი კოლორიტისა და ზნეჩეულებების მქონე ქალაქი — ამოუწურავი, დაუშრეტელი მუზა იყო ქართველი თუ არაქართველი ხელოვანისათვის. აქ იყო ქართველი კაცის სათაყვანო სიონისა და ანჩისხატის ეკლესიები, აბოს ქვაბული, მეტეხის ტაძარი... ქალაქს თავს დაპყურებდა კალას ციხე თავისი დანგრეული კოშებითა და ქონგურებით. ნარიყალას ციხის ფერდობს კი ტერასისებურად შეფენოდა ერთსართულიანი ბანიანი სახლები, სადაც ერთი სახლის ბანი მეორე სახლის ეზოს როლს ასრულებდა და პირიქით.

თბილისური ზაფხულის ცხელ დღეებში, როგორც კი მოსალამოვდებოდა და აგრილდებოდა, ამ ტერასებს „სასეირნოდ“ მოეფინებოდა ხოლმე ქალი და კაცი, მოხუცი თუ ბაჟშეი. ბანებზე გამოტანილ ტახტებზე და ფერად-ფერად ნოხებზე ღამით იძინებდნენ კიდეც. ასე რომ, ზოგჯერ ბანი ლია ვერანდის, საძინებელი ოთახის როლს ასრულებდა.

შუა ბაზარსაც ჩაივლით და მოხვდებით თათრის მოედანზე, ე. წ. შაითან ბაზარზე (ცშმაკის ბაზარი). აქაც ყველაფერი ირევა... პირველ რიგში, ჩასაც უცხო თვალი დაინახავს, არის აურაცხელი თავის: ჩალმიანი, ბეწვისქუდიანი, ყაბალახიანი და სულ მთლად უქუდო,

პირწმინდად მოპარსული. ამ ქუდიანი და უქუდო თავების დაუსრულებელ მოძრაობას თან ერთოდა განუწყვეტელი გუგუნი და ყაყანი. ბაზრის ხმაურის აასკეცებდა მტკვარი, რომელიც გახელებული ეხეთ-ქებოდა ქარგისლის კედლებს, თითქოს ორტახებიდან განთვისუფლებას ცდილობსო — ამ ადგილას მტკვარი ორივე ნაპირზე მღინარის ფსკერიდან ამოყვანილი ქარგისლის კედლებშუა მიედინებოდა.

ქართველი კაცის მრავალი ჭირ-ვარამის, წუხილისა და სიხარუ-



ქაშვეთის ეკლესია. წინ მოჩანს რუსული ეკლესია.

ლის მოზიარე მტკვარი, ქალაქს შემოსული, რაღაც საოცარ სევდიან ხმას გამოსცემდა; დიდ ზეირთს პატარა მოჰყვებოდა, იმას კიდევ უფრო პატარა, თანდათან უძლურდებოდა, მაგრამ ბოლოს, თითქოს თავისი უძლურებისა შერცხვაო, დაბოლმილი გულისჯავრს ავლაბრის ხიდთან ძლიერ მოჩევში აქსოვდა. მეტების ციხის კბოდე ნაპირს

გაცილებული კი, იგრძნობდა რა თავისუფლებას, დადინჯებული
მღორედ აგრძელებდა გზას.

ამაზე აქვს ნათქვამი ტიციან ტაბიძეს: „ისედაც მშვიდი უფრო
დაცხა ამაღამ მტკვარი, მხოლოდ მეტეხთან უფრო აჩი მიინც
მშფოთვარე“.

იოსებ გრიშაშვილი რომ ახსენებს აშპაშხანას: „აშპაშხანისკენ,
სადაც კლდის ქიმზე დგას ნარიყალა ჭავრით მზირალი“, ეს ადგილი
მეიდანზე, დაბახანასთან იყო. სახელი უბანშა მიიღო იქ არსებული
სამიკიტნოების — დუქნების გამო.

თათრის მეიდანი — შაითან ბაზარი — მტკვრის მარცხენა ნაპირს
ავლაბრისა და ვირის ხიდებით უკავშირდებოდა (ამ ძველი ხიდების
ნაცვლად 1870 წელს აიგო რკინის ხიდები). გადაივლიდით იმ ხიდებს
და აღმოჩნდებოდით მეტეხისა და რიყის უბნებში. იქვე იყო ავლა-
ბარი, ხელმარჯვნივ — ძალის უბანი, მირზაბადი, სამება, დირსიჭა-
ლა, ნავთლული... ხელმარცხნივ — ჩუღურეთი, კუკია, გერმანელთა
კოლონია, დიდუბე... ავლაბრის ხიდთან, დარეგან დედოფლის სასახ-
ლის „საჩინოს“ ახლოს იყო ქალაქელთა საყვარელი დროს სატარებე-
ლი ადგილი სირაჭხანა, ქარვასლები, რიყეზე კი იდგა იმდროინდელ
კაფესიაში ცნობილი გერმანელი კოლონისტის ზელუმანის ტრაქტირი.

აგრე, ქარვასლასთან შორეული ინდოეთიდან ჩამოსული აქლე-
მები გაჩერებულან და ქარვასლის კარიბჭების გაღების მოლოდინში
ზანტად იცოხნებიან. აქვეა ძველი თბილისის განუყრელი ატრიბუტი —
სახედარი, ხურჯინგადაკიდებული მორჩილად რომ ელოდება პატ-
რონს და კუდით აბეზარ ბუზებს იგერიებს.

სოღანლულიდან თათრის ბიჭი მოდევნის ვირებს
და მემწევანილე ერეკება ცარიელ დროგებს...

ტ. ტაბიძე

მოდით, ჭერ თბილისის ქარვასლებში შევიხედოთ.

თბილისის მარვასლები



ბილისის მოხერხებული, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა დასავლეთ ევროპის საეკრან კაპიტალს საშუალებას აძლევდა, სააღებმიცემო ურთიერთობა გაება აღმოსავლეთის ქვეყნებთან. თბილისში შეუწყვეტელ ნაკადად მოდიოდა საქონელი თურქეთიდან, სპარსეთიდან, ინდოეთიდან, რუსეთიდან და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან, ა. ე. თბილისის ქარვასლებში ინახებოდა და მერე ნაწილდებოდა მთელ ამიერკავკასიაში.

1872 წლამდე, ვიდრე თბილისა და ფოთს შორის სარკინიგზო მიმოსვლა გაიხსნებოდა, მთელი ეს საქონელი გადაჰქონდათ აქლემით, ცხენით, ჯორით, სახედრით, ტივით, ნავით და ბორნით მდინარე მტკვარზე და მდინარე რიონზე. ისინიც ეზიდებოდნენ და ეზიდებოდნენ ნაირნაირ საქონელს თბილისის ქარვასლებისაენ.

ქარვასლა უძველესი დროიდან არსებობდა ყველა აღმოსავლურ ქვეყანაში, მათ შორის თბილისშიც. იგი ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი აუცილებელი ნაგებობა იყო. ძველი ქართული სიტყვა ფუნდუკი, რომელიც სასტუმრო სახლის აღმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა, XVIII საუკუნეში საბოლოოდ განდევნა ტერმინმა „ქარვასლა“. იგი ჩამოსული ვაჭრის როგორც ღამის გასათევი ბინა, ისე ქარავნის გასაჩერებელი იდგილიც იყო. ვაჭარს აქეე შეეძლო დაელა-გებინა თავისი საქონელი, ე. ი. ქარვასლა სასტუმრო-საწყობი იყო. ამიტომაც შენდებოდა ქარვასლები ორ, სამ და ოთხსართულიანი. აქ იყო საცხოვრებელი ოთახები, სავაჭრო დუქნები, საქონლის სარდაფები, საჭინიბოები და ფართო ეზო პირუტყვის გასაჩერებლად.

XIX საუკუნის პირებულ ნახევარში თბილისში იდგა 13 ტიდი ქარვასლა, რომლებშიც ასიათასი მანეთის ღირებულების საქონელი იყო მოთავსებული.

ენახოთ, რომლებია ეს ქარვასლები:

ა რ წ რ უ ნ ი ს ქარვასლა (აშენდა 1818 წელს) შედებარეობდა ე. წ. იარაღის რიგში, სიონის ტაძრის ახლოს. ქარვასლა სამსართულიანი იყო, ეზოში აუზით. მესამე სართულზე 33 ოთახი იყო ჩამოსულთავის, აქედან — ორი კანტორისათვის. მეორე სართულზე იყო 25 დუქანი, სადაც თავსდებოდა სხვადასხვა საქონელი: აბრეშუმი, შალი და აზიური თუ ევროპული ნაწარმი; პირებულ სართულზე, სარდაფებში, იყო ერთი მთავარი და 24 პატარა საწყობი, აქვე იყო ორი სამკერვალო სახელოსნო, სადაც იკერებოდა აზიური ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. არწრუნის ქარვასლაში ვაჭრობა წარმოებდა ბითუმად.

არწრუნის ქარვასლის მოპირდაპირე მხარეს იდგა ქართველი ბატონიშვილების ქარვასლა, რომელიც აშენებული იყო XVIII საუკუნეში. მას ჰქონდა 62 საცხოვრებელი ოთახი ჩამოსულთავის და 30 საეპრო დუქანი. 15 ოთახი ეკავა სხვადასხვა სახელოსნოს. ეზოში იყო შადრევანიც. ქარვასლაში ინახებოდა შაქარი, ძირითადად კი აქ მოთავსებული იყო აზიური, ნაწილობრივ, ევროპული საქონელი.

ბნელ რიგში იდგა ბებუთოვის ქარვასლა. ქარვასლაში 18 ოთახი ჩამოსულთათვის იყო განკუთვნილი, 12 საწყობისათვის, ერთი მაღაზისთვის და 11 დუქნისთვის. აქ ძირითადად აზიდან და რუსეთიდან შემოტანილი ბამბისა და აბრეშუმის ნაწარმი ინახებოდა.

ბნელი რიგის ახლოს იდგა ხეროდინი ბის ქარვასლა, აშენებული 1840 წელს. აქ იყო 29 ოთახი ჩამოსულთათვის, 2 საწყობი და 8 დუქანი. აქ ინახებოდა და იყიდებოდა შაქარი, სხვადასხვა სახის სასმელი, ბამბისა და აბრეშუმის ნაწარმი.

ხეროდინოვების ქარვასლასთან ახლოს იდგა თავად კორხმაზ მელიქვაის ქარვასლა, აშენებული 1828 წელს. მას ჰქონდა 12 ოთახი ჩამოსულთათვის, ერთი საწყობი, 2 ღვინის სარდაფი, 5 დუქანი და 3 სხვადასხვა სახელოსნო. ეზო შენობას პატარა და ვიწრო ჰქონდა. ამ ქარვასლაში აღებმიცემობა ნაკლებად წარმოებდა, უფრო ღამის სათვად ჩერდებოდნენ ნაკლებად შეძლებული ვაჭრები და მრეწველები.

მტკვრის ორივე მხარეს, ავლაბრის ძველ ხიდთან, იდგა ორი ქარ-
ვასლა, მშვენიერი მყარი საძირკვლით, რომელიც მდინარის ფსკერი-
დან იყო ამოყვანილი. მარჯვენა ნაპირზე მდებარე ქარვასლა შად-
ნოვს აუშენებია 1841 წელს. აქ იყო 27 ოთახი ჩამოსულთათვის, 2
საწყობი და 11 დუქანი.

მდინარის მარცხნიდან ნაპირზე იდგა იაკობ ზუბალაშვილის
და ფარსეგა ტერ-მოსესიანის ქარვასლა, აუშენებიათ 1845 წელს. აქ
იყო 31 ოთახი ჩამოსულთათვის, ერთი ლვინის სარდაფი და 10 დუქა-
ნი.

ქარვასლებში განერებული ვაჭრები თავისი საქონლით აქვე ვაჭ-
რობდნენ.

რიყეზე იდგა სარქისო ფის ქარვასლა. აუშენებია 1820 წელს.
აქ 30 ოთახი ჩამოსულთათვის იყო განკუთვნილი, ერთი საწყობის-
თვის. დუქანი კი 73 იყო. აქ ძირითადად აზიური ნაწარმი ინახებოდა.
ქარვასლას ჰქონდა ფართო ეზო, სადაც დგებოდა ჩამოსულ ვაჭართა
„ტრანსპორტი“: ცხენი, აქლემი, ჭორი და სხვ.

ქარვასლას გაყოლებით ერთ რიგში ვაჭრობდნენ ჩამოსული
სპარსელები; იყიდებოდა ჩიხა-ახალუხი, ნაბაღი და სხვა აზიური ტა-
ნისამოსი; აგრეთვე, ნედლი აბრეშუმი, რომელიც ნუხიდან და ყარა-
ბახიდან ჩამოჰქონდათ.

შუაბაზართან იყო სარაჭიშვილის ქარვასლა, აუშენებია
1828 წელს. ჰქონდა 5 დუქანი და 9 საწყობი. აგრეთვე, 18 ოთახი ჩა-
მოსულთათვის. იქვე იყო საათების ერთი შემკეთებელი სახელოსნო.
ქარვასლის დუქნებსა და საწყობებს სარაჯიშვილი ქირით გასცემდა
ხოლმე.

აბანოს ხიდთან იდგა შიოოვაის ქარვასლა, აუშენებია 1838
წელს. ისიც ისევე, როგორც სარაჯიშვილის ქარვასლა, ქირით გაიცე-
მოდა. აქ იყო 14 ოთახი ჩამოსულთათვის, 7 დუქანი, 2 საყავე და ერ-
თი სამკერვალო სახელოსნო, სადაც აზიური ტანსაცმელი იკერებოდა.

თათრის მეიდნის ახლოს იდგა მირიმან ოვაის პატარა ქარ-
ვასლა, აუშენებია 1838 წელს. მის ერთ გაქირავებულ ოთახში ხელ-
საქმეობდა თექის გამომყვანი ხელოსანი.

ვანქის ექლესიასთან ახლოს იდგა ამავე ექლესის ქარვასლა, აშე-
ნებული 1820 წ. მისი 24 დუქანი ქირავდებოდა ხელოსნებზე.

ეს ორი ქარვასლა ატარებდა არა იმდენად სავაჭრო-საწყობის სახეს, რამდენადაც სასტუმრო-ბარაკისას.

1846 წ. ქალაქის ხელისუფლებამ, რომლის მთავარი მიზანი იყო თეატრის აშენება, ვაჭარ თამამშევს ბაზრის მოედანზე (ლენინის მოედ.) გამოუყო ნაკვეთი (1000 კვ. მ.) ქარვასლის საშენებლად. სადაც უნდა მოთავსებულიყო თეატრიც.

პირველ სართულზე მოთავსებული იყო 6 საცხოვრებელი ოთხი, 29 ღუქანი და 11 ბნელი სარდაფი;

მეორე სართულზე: 29 ღუქანი, 16 ბნელი სარდაფი-საწყობი და ფულის გასასახურდავებელი ორი ღუქანი;

მესამე სართულზე: 19 მაღაზია, 80 შესანახი კარადა. ფულის გადასახურდავებელი ოთხი ღუქანი;

მეოთხე სართულზე 21 მაღაზია ანტრესოლებით.


მეორე-მესამე სართული ეკავა თეატრს, რომლის მოწყობა დამთავრდა 1851 წლის 12 აპრილს.

თამამშევის ქარვასლაში მოთავსებულ თეატრთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ ერთი ამბავი. როცა კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა თბილისში თეატრის გახსნა გადაწყვიტა, მან ამ საქმისათვის თბილისელი ბაზაზები (მეფისართლეები) შეარჩია — მდიდარი ქალაქელი ვაჭრების ხარჯზე უნდოდა თეატრისათვის შენობის აგება. გეგმის მიხედვით, შენობა ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. პირველ სართულზე მეფისართლეებს — ბაზაზებს ექნებოდათ სავაჭრო დუქნები, მეორე სართული კი თეატრს დაეთმობოდა. მაგრამ თბილისელმა ბაზაზებმა მიხეილ ვორონცოვს უარი შემოუთვალეს: „ზედმეტი ფული არ გაგვაჩნია, რაცა გვაქვს, ისიც აღებ-მიცემობასა და საქონელში გვაქვს დაბანდებული, თანაც ძველი თბილისიდან ზევით ამოსვლა ჩვენი საქმე არ არის, აქ შეჩვეული მუშტრები გვყავს და გაკოტრებისა გვეშინიაო“.

ბოლოს თეატრის აგების საქმე ითავეა ვაჭარმა გაბრიელ თამამშევმა, რომელმაც ქარვასლისათვის ავანაანთ ხევზე (დღევანდელი ლენინის სახ. მოედანი) ქართველი თავადიშვილის ესტატე ციციშვილისაგან შეიძინა მიწის ნაკვეთი „ორ დოშათ და ორი კაცის საკაბეთ“. („საქართველო“, 1915 წ. № 81). ავანაანთ ხევი საქმაოდ ლრმა იყო. იგი გადახურეს და ქარვასლისათვის ააგეს შენობა, რომლის მეორე-მესამე სართულებზე მოთავსდა თეატრი.

1874 წლის 11 ოქტომბერს თეატრი დაიწყა ქარვასლაში გაჩე-
ნილი ხანძრის დროს. გრიგოლ თრბელიანი გულისტკივილით წერდა:

თეატრის გარე და გარე გარე



თამაშეების ქარვასლა

„დაიწყა თამაშეების ქარვასლა და მასთან ჩვენი თეატრი... მხოლოდ
იმ ღამეს შევიტყვეთ, რომ თბილისში არ ყოფილა პაეორნი კამანდა.
შეგროვდა მრავალი ხალხი და მწუხარებით შეპყურებდა, როგორცა
აღიოდა ალი ვარსკვლავებამდის...“

თბილისის ქარვასლებში საქონელი ჩამოჰქონდათ ევროპიდან —
რედუტ-კალეს გამოვლით ლონდონიდან, პამბურგიდან, კონსტანტი-
ნოპოლიდან; აზიდან — ნანიქევნის გზით — თავრიზიდან, აზდები-
ლიდან, რეშტადან და სხვ; რუსეთიდან — კავკასიის ქედის გადმოვ-
ლით — საქართველოს სამხედრო გზით, დარიალის ხეობით. მეორე
გზა რუსეთისაკენ იყო თბილისიდან შემახაზე, ბაქოს გაელით, იქი-
დან კი — ქასპიის ზღვით მდ. ვოლგაზე.

თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა თბილისი, როგორც ამი-

ერკავკასიის სავაჭრო პუნქტს, ჩანს შემდეგი სტატისტიკური მონაცემებიდანაც: მაგ. 1850 წელს ამიერკავკასიაში შემოტანილ იქნა 3. 741. 211 მან. და 29 კაპ. ღირებულების საქონელი. ქედან თბილისის ქარვასლებში მოთავსდა 1. 188. 000 მან. ღირებულების ხაფონელი, თითქმის მესამედი. სხვადასხვა მხარეში გაიზოდა 525.000 მან. ღირებულების საქონელი, დანარჩენი კი მოხმარებული იქნა ადგილობრივ.

ქარვასლაში გაჩერებული ვაჭარი იხდიდა ბაჟს—თავისი საქონლის ფასის 1/4-ს.

აღნიშნული ბაჟის აკრეფა 1850 წ. 20 მაისამდე ხდებოდა თბილისის საქალაქო მმართველობის მიერ, რომელსაც ამ სახით წლიურად შემოსდიოდა, საშუალოდ, 3.300 მან. 1850 წლის 20 მაისს ეს სტატია ქალაქის მმართველობისაგან შეისყიდა კერძო პირმა 6.000 მანეთად (ვერცხლი) წელიწადში. ამის შემდეგ ბაჟის გადახდა ეკისრებოდათ არა მარტო იმ ვაჭრებს, რომლებიც ქარვასლაში ჩერდებოდნენ, არამედ იმათაც, კერძოდ რომ ქირაობდნენ ბინას და სხვადასხვა ადგილას ინახავდნენ თავიანთ საქონელს.

ქარვასლაში საქონლის შესყიდვის შემთხვევაში შემსყიდველს ქარვასლის პატრონის სასარგებლოდ ყოველ ათ მანეთზე უნდა გადაეხადა 20 კაპიკი ვერცხლით, რასაც ავაია ეწოდებოდა. ავაის არ ახდევინებდნენ იმ შემთხვევაში. თუ საქონელი შეისყიდებოდა სახელმწიფო დაწესებულების მიერ.

ადგილობრივი ვაჭრები, რომლებსაც ქირით ეჭირათ ქარვასლის შენობა, პატრონს უხდიდნენ წინასწარ შეთანხმებულ თანხას და ავაიათი აღარ იბეგრებოდნენ.

ქარვასლა აღმოსავლეთში განცალკევებული სამყარო იყო თავისი წეს-ჩვევებით. გარდა სავაჭრო ოპერაციებისა, აქ ეწყობოდა მთელი რიგი სავაჭრო „მახინაციები“ — ოპერაციები ადგილობრივ და უცხოელ ვაჭრებს შორის (საქონელზე ფასების აწევ-დაწევა, ანდა გაფუჭება-დაცემა და სხვ.).

თბილისის ქარვასლებიც აღმოსავლურ სახეს ატარებდნენ, მაგრამ ჰქონდათ თავიანთი თავისიებურებანიც, რომელიც უცხო სხვა აღმოსავლური ქარვასლისათვის. აქ ნახავდით მწერლებს, რომლებიც მოთხოვნებს წერდნენ სხვადასხვა სავაჭრო გარიგებებზე, ადგენდნენ

თბილისში ჩამოსულ უცხო ვაჭართა კომერციული ხასიათის საქმეებს და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი ქარვასლების უმეტესობა ქალაქის ძეგლ ნაწილში იდგა.

1935 წელს ლენინის მოედნის გაფართოებისას ბლუზულ ძეგლ თამაშევის ქარვასლა, მტკვრის სანაპიროების, ახალი ხილებისა და მაგისტრალების მშენებლობას „შეეწირა“ ზოგი სხვა ქარვასლაც. რაც დანგრევას გადაურჩა, სწავლასხვა სავაჭრო დაწესებულებად გადაკეთდა.

თბილისელი ამარები



უა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის დიდი ქალაქების, მათ შორის, თბილისის ცხოვრებაში, მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა წვრილ ვაჭართა და ხელოსანთა კორპორაციებს, რომლებშიც გაერთიანებული იყვნენ ერთნაირი ხელობისა და პროფესიის ხელოსნები და ვაჭრები. ხელოსანთა და ვაჭართა ამ გაერთიანებას თავდაპირველად არაბულ ენაზე „ანსაფი“ ეწოდებოდა, შემდეგ იგი შეცვალა სპარსულმა ტერმინმა — „ჰამქარ“, რაც თანამოსაქმეობას ნიშნავს.

თბილისში ამქართა საზოგადოება შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ამქარს ჰყავდა მოთავე — უსტაბაში, რომელსაც ხელოსნები ირჩევდნენ თავიანთი რიგებიდან. უსტაბაშის არჩევნები ეწყობოდა დანიშნულ დღეს ეკლესიის ეზოში, ანდა ქალაქგარეთ. მას ორი მოადგილე — ახსეალი და მდივანი — იღითბაში ეძლეოდა. არჩევნების შემდეგ იწერებოდა ე. წ. წესდება, სადაც ჩამოთვლილი იყო უსტაბაშის უფლებები. მის უფლებებში შედიოდა ოსტატთა ინტერესებისა და სამუშაო წესების დაცვა და სხვა. არჩევნები მთავრდებოდა მილოცვით. ნიშნად მორჩილებისა, ოსტატების უსტაბაშს ხელზე კოცნიდნენ. მთელი ეს ცერემონიალი მთავრდებოდა „დინჯი და მადლიანი“ პურ-მარილით.

ამქრის წევრებს ნება ჰქონდათ, ერთი ამქრიდან მეორეში გადასულიყვნენ. მაგალითად, მეწალე გამხდარიყო მედაბალე-მეტყავე და პირიქით.

ამქრის ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკავა შეგირდების აღზრდას. შეგირდის მშობელს შეილი უსტაბაშთან მიჰყავდა, რომელიც ბავშვს რომელიმე ოსტატს მიაბარებდა. ოსტატი განსაზღვრული დროის განმავლობაში თავისთან ამყოფებდა ბავშვს. თუ შეგირდი ხელობას ვერ


თითვისებდა, ოსტატი უსტაბაში მოახსენებდა, ის კი ბავშვის მშობლებს დაუბრუნებდა. თუ ბავშვი ხელობას შეისწავლიდა, მოეწყობოდა შეგირდის გამოცდა ოსტატის „წიდების“ მისალებად. გამოცდა უწყო-



მეჭილე

ბოდა მინდორში, ქალაქებარეთ, ანდა ბინაზე. არსებობდა გამომცდელთა ჯდომის წესი — ჯერ მოწევეული მღვდელი დაჭდებოდა, შემდეგ კი უსტაბაში და ოსტატები დამსახურების მიხედვით. გამოცდის შემ-

დეგ მღვდელი ლოცავდა შეგირდს. ახალბედა ოსტატს წელზე ფო-
ჩებიან სარტყელს შემოარტყამდნენ, რომელიც სამი დღის განმავლო-
ბაში უნდა ეტარებინა, რათა ყველას ეხილა მისი ოსტატად გახდო-
მა. დალოცვა მთავრდებოდა იმით, რომ უსტაბაში შეგირდს სახეში.



მკალავი

სამჯერ შემოარტყამდა სილას — ეს იყო „ატესტატის“ მიცემა, „მო-
ნათვლა“. შემდეგ თანასწორობის ნიშნად ერთმანეთს გადაჰკოცნიდ-
ნენ. იმართებოდა დიდი ქეიფი. პირველი სადღეგრძელო ახალბედა
ოსტატისა იყო, შემდეგი უსტაბაშისა, ამქრისა და ა. შ.

ჩხუბის ანდა ურჩობისათვის უსტაბაში ოსტატს სჭიდა — ჯარი-
მას ახდევინებდა, რასაც თარგიმალა ეწოდებოდა; უსტაბაში იღით-
ბაშის — მდივნის ხელით ვაშლს უგზავნიდა სხვა უსტაბაშებს, რაც
იმას ნიშნავდა, რომ დასჭილი ოსტატისათვის საქონელი არ მოეცათ.
სასჯელის მოხდისას ქალაქის უსტაბაშებს ეგზავნებოდა ვაშლი, ანდა
თაიგული, თუ ამის საშუალებას წლის დრო იძლეოდა.

ამქრის წევრები ეხმარებოდნენ ოსტატის ქვერიეს ფულითა და
სურსათ-სანოვაგით. ერთი ოსტატი სხვა ოსტატის საქმეს ხელს არ
მოჰკიდებდა. ახალ წელს ამქრის ყველა წევრი უსტაბაშს ულოცავდა
დღესასწაულს. მილოცვისას ვაშლში ხურდა ფულს არჟობდნენ, უს-
ტაბაში კი მისულთ ტკბილეულით უმასპინძლდებოდა.

წელიწადში ერთხელ ამქარი ყიდულობდა ცხვარს და ამქრის



შექცევა

ქვრივ-ობლებისათვის ხარშავდა შილაფლავს. ამქრები მონაწილეობას
იღებდნენ სხვადასხვა საერო თუ საეკლესიო დღესასწაულებში. სა-
ზეიმო ცერემონიალის დროს ამქარს წინ მეღუღუკეები მიუძღოდნენ,

შემდეგ მედროშენი და ა. შ. 1893 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამქართა ეს საზეიმო სკლები აკრძალა. ამიერიდან თბილისის ამქარს საგანგებო ნებართვისა და განკარგულების გარეშე თავისი დროშით ქუჩაში გამოსვლა და სხვადასხვა საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობის მიღება ეკრძალებოდა.

ყოველ ამქარს თავის დროშაზე გამოსახული პყავდა ხელობის დამცველი წმინდანი. მაგალითად, ხარაზების ამქრის დროშაზე გამოსახული იყო წმინდა ელია, ვინაიდან, გადმოცემით, თვით ელია ხარაზი ყოფილა; დურგლების ამქრის დროშაზე — ქრისტე, როგორც დურგლის შვილი.

ამქართა დროშაზე აღნიშნულ გამოსახულებას ფირი ეწოდებოდა. ფირი სპარსული სიტყვაა და ნიშანავს მოთავეს, უფროსს.

ზაფხულობით, ყოველ კვირა დღეს, ამქარი სასეირნოდ გადიოდა ქალაქებით, ვერის ბალებში. ამ სეირნობაში ხელოსანთა მხოლოდ ერთი დარგის ამქარი იღებდა მონაწილეობას. ამქარს წინ მიუძლოდა უსტაბაში; თან ახლდათ დამკვრელები: მელუდუკები, ანდა მეზურნები. ისინი დაკვრა-დაკვრით შემოივლიდნენ ძველი თბილისის ქუჩებს, გზადაგზა შეიერთებდნენ ამქრის სხვა წევრებსაც და შემდეგ გავიდოდნენ ქალაქებით, ვერის უბნის რომელიმე ბალში, ანდა თვით მდინარე ვერეს ნაპირზე ჩამოსხდებოდნენ, პურმარილს გაშლიდნენ და ლხინობდნენ. ივიწყებდნენ ყოველდღიურ ჭირვარამსა და მთელი კვირის ნაგაფ სხეულს ასვენებდნენ.

ამქრობასთან დაკავშირებით გვინდა აქვე ვახსენოთ თბილისელი მენახშირების საქმიანობაც, ვინაიდან ისინიც ამხანაგობაში, ამქარში იყვნენ გაერთიანებულნი; ერთად წვავდნენ ნახშირს და მოგებულ ფულსაც თანაბრად იყოფდნენ, ხოლო ტყის მეპატრონეს გამოსაწვავი ორმოდან კვირაში ერთი გოდორი ნახშირის საფასურს უხდიდნენ.

XIX საუკუნის თბილისში მენახშირები ძირითადად დასავლეთ საქართველოდან წამოსული ღარიბი გლეხები იყვნენ, რომლებიც ტყის მეპატრონესთან დაგებოდნენ სამსახურში.

თბილისის მახლობლად მდებარე სოფლებში, საგანგებოდ გამართულ ორმოებში იწვოდა ზის ნახშირი. საყურადღებოა, რომ სოფელ წყნეთთან, ვერისხევის მარცხენა მხარეზე, არის ადგილი, რომელსაც ღლესაც ნახშირგორა ეწოდება. აღბათ ქალაქი ამ ადგილს გამომწვარი ნახშირითაც მარაგდებოდა.

ამრიგად, თბილისის გარშემო არსებული ტყეები, რაც კი მტრის გაუთავებელ შემოსევებს გადაურჩა, იჩეხებოდა და ნადგურდებოდა სარეწაო ნახშირის გამო—ძეელი თბილისისათვის ხომ საობთბორსა და გათბობის ერთ-ერთი საშუალება სწორედ ხის ნახშირი, იყო ქალაქელუბი ყოველდღე რამდენიმე თვეულ ფურთ ნახშირს ხარჯავდნენ. ქალაქში ოჯახს ეერ ნახავდი, მაყალი და ქურსი რომ არ ჰქონოდა. მაყალი თუ მწვადისა და ქაბაბის შესაწვავად იხმარებოდა, ქურსი იყო ერთგვარი „გადასატანი“ ღუმელი, რომელშიც გაღვივებული ნახშირი იყრებოდა. მაყალი ქურსისაგან ფორმითაც განსხვავდებოდა. იგი მაღალ ოთხ ფეხზე შემდგარი მოგრძო სწორკუთხა (ოთხეუთხა) ფორმისა იყო, ქურსი კი დაბალი, ოთხ ან ექვს ფეხზე შემდგარი, ექვსკუთხა, ან რვაკუთხა, მოხარატებული, აუზრული გვერდებით. ქურსი, ძირითადად, ხელოსნებსა და ვაჭრებს ჰქონდათ დუქნებში. ზამთარში ფეხებქვეშ იდგამდნენ და თბებოდნენ.

ძველ თბილისში ნახშირის გასაყიდი ადგილი თათრის მეიდიხი და ბაზრის მოედანი (ერევნისა) იყო.

საოცარი სანახავი იყო ნახშირით, ფიჩით, თივით დატვირთული, 15-20 სახედრისაგან შემდგარი ქარავანი. დაღმართზე, სიმძიმისაგან აყირავებულნი, კუდამოძუებულნი, ისე მოღიოდნენ, გეგონებოდათ, დაგორებისა ეშინიათ და მუხრუჭად კუდი გამოუყენებიათო...

„ჩალაშის აგანოვაზი გადალი ხელმოსაო...“



ეიდაბადის ჩრდილოეთით, წავკისის წყლის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ერთ პატარა ლოკალურ ადგილს აბანოების უბანი ერქვა და მას ახლაც ასე ეძახის თბილისის ძველი მოსახლეობა. ქალაქის სახელის — ტფილისის წარმოშობის ლეგენდაც ხომ ამ ცხელ წყაროებთანაა დაკავშირებული.

ძველად თბილისში ჩამოსული მტერი თუ მოყვარე პირველად საქვეყნოდ განთქმულ თბილისურ გოგირდოვან აბანოებს მიაშურებდა ხოლმე. თბილისური აბანოების საქებრად სიტყვა არ დაუშურებია ჩვენში მყოფ არც ერთ მოგზაურს.


შვილი აბანო. მერე როგორი?
თეთო ურიების სამყოფელია!
ყოველი კუთხე, როგორც სამოთხის
რვა საფეხური, სხივთა მფენია.

სდის ცხელი წყალი, სასწაულებრივ
აღმოხეთქილი მიწის გულიდან...

აქებს თბილისურ აბანოებს XVIII საუკუნის გამოჩენილი აზერბაიჯანელი პოეტი, ყარაბალის სახანოს პირველი ვეზირი ვაგიუ ლექსში „თბილისი.“

XIX საუკუნეში, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის გუბერნიად იქცა, რუსეთიდან ირანში თუ თურქეთში დიპლომატიური მისით წარგზავნილნი გზად თბილისში ჩერდებოდნენ. თბილისი ხშირად მასპინძლობდა როგორც რუს, ისე რუსეთისაკენ მიმავალ მახლობელი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ელჩებს.

თბილისის აბანოების მშვენიერი აღწერა დაგვიტოვეს 1811—



ორბელიანების აბანო

1812 წლებში ირანს წარგზავნილმა რუსეთის დიპლომატმა კილმელი ფონ-ფრეიგანგმა და მისმა მეუღლემ ფრედერიკა ფონ-ფრეიგანგმა (დაბადებით კულრიიგჟაია).

აი, რას წერენ ისინი: „ტფილისის აბანოები საუცხოვთა ცხელი წყალი გადმოსჩქეფს კლდილან თვით აუზებში... ქალაქ გარეთ (ნაგულისხმევია სეიდაბადის უბანი, სადაც აბანოების უმრავლესობა იყო, თ. ბ.) ათ აბანომდეა და ისინი შეაღენენ ერთგვარ გარეუბანს. წყალი მაღალი და დაბალი ტემპერატურისაა...“

აბანოები მოწყობილია გამოქვაბულებში. პირველად შედიხაზო თალებიან ბნელ დარბაზში, რომელსაც რამდენიმე ლამპიონი მერთალი შუქით ანათებს. იქ დგას ორი ტახტი, ხალიჩებგადაფარებული. ტახტზე სურვილისამებრ გაშლიან ქვეშაგებს, რომელზედაც ისვენებ რამდენიმე ხნით, რომ მოემზადო საბანაოდ. ორი-სამი თალებიანი დარბაზის გავლის შემდეგ შედიხარ აბანში და ეშვება აუზში, რომელიც დაუყოვნებლივ ივსება წყლით ონკანის საშუალებით. აუზი ყველაზე უფრო ცხელი წყლით უკანასკნელ თალებიან შენობაშია. აუზი, ისევე, როგორც კიბე, რომლის საშუალებითაც ამ აუზში ჩადიხარ, ამოკვეთილია კლდეში...“

ქართველები, განსაკუთრებით კი დიდებული ქართველი ქალები კვირაში ერთხელ მთელ დღეს და ხშირად სალამოსაც აბანში ატარებენ. პირველ თალებიან შენობაში ისინი ნებივრად წამოწვებიან ტახტზე და თმას და ფრჩხილებს იღებავენ. მოხუც ქართველ ქალებსაც თმის მუდმივი შეღებების გამო ნაწნავები გიშერივით შავი აქვთ. იქ ისინი ისვამენ პირისახეზე ფერუმარილს, ცდილობენ, შეღებონ და შეაერთონ წარბების ისრები და სხვა. უამისოდ აქ სილამაზე წარმოუდგენელია. ეს დიდი დღეა მათთვის, დღე ტკივილისა და სიხარულისა.“

ძველი თბილისის აბანოები ეკუთვნოდათ კერძო პირებს — ერეკლე მეფეს, თბილელს, ორბელიანებს, სუმბათაშვილებს, მელიქიშვილებს და სხვ. აქედან გამომდინარე, თითოეულ აბანის თავისი მფლობელის სახელი ერქვა.

თბილისის აბანოებს ჩვენში ჩამოსული დიდი რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინიც მოუხიბლავს.

ბანაობა ხშირად მთაგრძებოდა წახემსებით „აზიურად“. იქვე აუზთან, იშლებოდა პურ-მარილი. მეზობელი დუქნიდან მოდიოდ 26

ცხელ-ცხელი ლულა-ქაბაბი, მწვადი, ლავაში და კარგი კახური ლვინო. ცხელი აბაზანისა და მექისის ლაზათიანი დაზელვის შემდეგ ასე-თი სახელდახელო წახეშება უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა ადამიაზები ანს. ზოგჯერ ოჯახში, ანდა ბაღში დაწყებული ქეიფი აბანოში მთავრობის რდებოდა.

გარდა ამისა, თბილისის აბანო ასრულებდა საქრებულოს თუ კლუბის როლს.

აბანოებში განსაკუთრებით ქალები ერთობოდნენ. ქალთათვის აბანოში წასასვლელი დღე სამშაბათი იყო. ამიტომაც თბილისის



მექისე

ერთ-ერთ აბანოს, სიონისას, „სამშაბათისა“ ეწოდა. აბანოში ქალები მთელ დღეს ატარებდნენ. აქ არჩევდნენ და სინჯავდნენ სარძლოებს. ქორწილის წინა დღესაც პატარძალი თავისი ახლობელი მეგობარ-გოგონებისა და ნათესავი ქალების თანხლებით აქ, აბანოში მოდიო-

და და პატიორძლის პატივსაცემად მოწევეული მოცეკვაში ქალები — მოთარაბები — მას ცეკვით ართობდნენ.

ქალები აბანოში ყველაზე ძვირფას ტანსაცმელს ატარებდნენ, თან მიპქონდათ ბოლჩაში გამოხვეული სარეცხი. აქვე გაიგონებლით ქალაქის ყოველდღიურ ამბავს — მართალსა თუ ჭრის. აბანოში ჩნდებოდა ქართველ ქალთა კოსმეტიკური ნიჭი.

თბილისის აბანოები საქვეყნოდ იყო განთქმული. ქართველი ხალხი აქებდა და აღიდებდა მათ:

... ნეტავ ქება როგორ ითქმის
ამ თბილის-ქალაქისაო?
ქალაქის აბანოები
ბალალი ხმელეთისაო!
ოთახები ააშენეს,
ნათალი არის ქვისაო.
ფანჯრები დაატანეს
საყურებელი მზისაო,
შიგ წყარო ამოიყვანეს,
ის არის კრამიტისაო,
ქალაქის ხალხი გამოდის
როგორც ფურცელი ხისაო,
ქალი და რძალი ლამაზი,
როგორც ვარსკვლავი ცისაო ...“

„გაშალეთ სულა, გადოოცინეთ ბანე ხალები...“



ვეღი თბილისის ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მაჭანქლობას. საპატარძლოს გასინჯვა ხდებოდა ხატობაზე, ან აბანოში. იმ შემთხვევაში, თუ სადედამთილოს სარძლო მოწონებოდა, იწყებოდა ქალ-ვაჟის მშობლებს შორის მოლაპარაკება მზითვისა და ქორწილის შესახებ.

ქალის გამზითვება უძველესი დროიდანაა ცნობილი. მაგალითად, ძველი ბაბილონის სამართალი იცნობდა მზითვის ინსტიტუტს, რომელიც ქორწინების საცერემონიალო რიტუალის განუყოფელი ნაწილი იყო. გამზითვებით მტკიცდებოდა ქალის უფლება ქმრის ოჯახში, ასევე მზითვის აღებით ქალს თავისი წილი მისქონდა მამის ოჯახიდან. ქართული სამართლის მიხედვით, ქალის საკუთრებად ითვლებოდა მზითვევი, საქორწილო საჩუქარი, პირის სანახავი და სხვ.

მზითვი ქორწილის წინა დღეს იგზავნებოდა. ეს იყო რალაც წარმოუდგენელი თეატრალური სანახაობა. მთელ უბანს უნდა ენახა, რა ქონების მქონე რძალი შემოჰყავდათ ოჯახში. მზითვს წინ მეზურნეები მოუძლვებოდნენ, რომლებიც ამ შემთხვევისათვის განსაკუთრებულ ჰანგს უკრავდნენ; შემდეგ პატარა ბიჭს მკერდზე მისვენებული სარქე მოჰქონდა, მას მოჰყვებოდა ორი ჭაბუკი თავზე შემოდებული წყვილ-წყვილი ბალიშებით, რომლებიც ფურფუშებით მორთული, საურვალათარებული და ბატოებით იყო შეკრული; შემდეგ მოჰქონდათ ხავერდითა და ფერად-ფერადი ატლასით გაწყობილი წყვილი მუთაქა; მერე — ყანაოზის მანებიანი, საგულდაგულოდ დაკეცილი საბანი; მას მოჰყვებოდა სპილენძის სამურაბე ტაშტი (ლანგარი), ხელის ყუთი თავის საწვრილმანოთი, და ი, ქუჩის

მოსახვევიდან გამოჩენდებოდა მუშა, რომელსაც „ზურგზე „შეაფი“ შემოედო; მას მოსდევდა კამოდი, მაფრაშა და სულ ბოლოს წყვილი „პერსონის კრაოტი“ და დიდი ჭედილა... ეს იყო მზითვის ჩვენება, ხოლო წვრილმანი ნივთების შეასძეს ბარდებოდა.

მზითვს თან მოჰყვებოდა „მზითვის წიგნი“ — ნუსხა ყველა იმ




მზითვის ჩვენება

ნივთისა, რომელიც პატარძალს მოჰქონდა ქმრის ოჯახში. აი, ერთ-ერთი ასეთი ნუსხა:

„მე პეტრე ივანეს ძე ბერიძე ვაძლევ ჩემ ქალს სოფიოს ღვთის შემწეობით და მშვიდობაში მოსახმარებლად ქრთამს და შემდეგ მზითებს:

- 1) ნალდი ფული ასი თუმანი — 1000 რუბ.
- 2) ტანისამოსის შეაფი კაკლისა.
- 3) კამოდი კაკლისა.
- 4) ტვალეტის სარკე, სტოლით.
- 5) უმივალნიკი, მარმალილანი.
- 6) ორი რკინის კრავტი თითო საწოლისა თავის მატრასებით.
- 7) ხალი ხუთარშინიანი.

- 8) კედლის ხალიჩა.
- 9) პატარა კრაოტის წინ გასაშლელი ხალიჩა.
- 10) ორი ლეიბი ტილოს პირებითა.
- 11) ორი საბანი ქიშმირის პირებითა.
- 12) ექვსი ღიდი ბალიში და ორიც პატარა ბალიში,
ამათში ორი ბუმბულისა.
- 13) ორი კუშეტკის ბალიშები წითელი ატლასის ნაკერი
პირებითა.
- 14) ორი დიბის კუშეტკის მუთაქა.
- 15) ორი ისე ქიშმირის მუთაქა (შიგ მატყლი).
- 16) თექვსმეტი თეთრი ბალიშის პირები.
- 17) რვა პერანგი ტილოსი გლადიო ნაკერები.
- 18) რვა პერანგის შედეგი.
- 19) ექვსი კოფთა.
- 20) ნახივარ დუქინი პირსახოცი, სხვა და სხვა ნაირი ნაკერები.
- 21) ხუთი ჩარსავი.
- 22) ორი წყვილი ლაიკის ფერჩატკები.
- 23) ერთი დუქინი ხელის ხელცახოცი.
- 24) ნახივარ დუქინი ჩულქი.
- 25) სამი წყვილი ბაშმაკები, ერთი წყვილი თეთრი და
ორი შავები, ერთი წყვილი კალოში.
- 26) ერთი თფილი ფანელის ვიპკა.
- 27) სამი ვიპკა, ორი თეთრი და ერთი წითელი.
- 28) ერთი ფარჩის ვიპკა.
- 29) გვირგვინის კაბა ფარჩისა.
- 30) მეორე დღის კაბა ფარჩისა.
- 31) მესამე დღის კაბა თეთრი ქიშმირისა.
- 32) შავი მატერიის კაბა.
- 33) ერთი ლურჯი კაბა.
- 34) ერთი ღილის ხალათი.
- 35) ერთი ზამთრის პალტო.
- 36) სამი შლაპა ერთი ვიზიტისა და ორი ისე.
- 37) ერთი წყვილი ოქროს საყურე.
- 38) ერთი ოქროს ბროშეა.
- 39) სამი ოქროს ბეჭედი.



40) ერთი თეთრი აბრეშუმის შალი.

41) ერთი თფილი ფუფეიკა.

42) ერთი დარაიის ბოხჩა.

პეტრე ივანეს ძე ბერიძე, რაღვანაც წერა არ ჰდის, იმის თხოვნით ხელს ვაწერ ზაქარია ბერიძე.¹

ახალგაზრდები ჯვარს ეკლესიაში იწერდნენ. ეკლესიაში, აღსავლის კართან მდგომ ორ ახალგაზრდას მღვდელი ეკითხებოდა, ხომ მათი ნებართვით ხდებოდა შეულლება ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ ისინი ეკლესიაში ხვდებოდნენ საერთოდ პირველად. დადებითი პასუხის შემდეგ მღვდელი ნეფესა და პატარძალს მარჯვენა ხელის უსახელო თითზე ბეჭედს უკეთებდა და თავზე გვირგვინს აღვამდა.

ბეჭედის გაკეთებით მტკიცდებოდა ორი ადამიანის კავშირი. ბეჭედის, რკალის, რგოლის მიცემა სიმბოლური გამოხატვა იყო შეულებისა.

ეკლესიდან გამოსულ ჯვარდაწერილებს მეჯვარე-ხელისმომედენი გაშიშვლებული ხმლის ქვეშ ატარებდნენ. ხმლის ქვეშ გატარებით ახლად შექმნილი ოჯახი უნდა დაეცვათ ბოროტი, ავი სულებისა და მავნე თვალისაგან.

შინ დაბრუნებულ ნეფე-პატარძალს კარის ზღურბლთან ვაჟის დედა ხვდებოდა და ვერცხლის თასიდან, ანდა ქაშანურის ფიალიდან ასმევდა შარბათს იმ სურვილით, რომ ახლადდაქორწინებულნი მიღებული სასმელივით ტქბილად შებერებოდნენ ერთმანეთს. ეს იყო ე. წ. სიმბოლური რიტუალი. შემდეგ მათ ფეხქვეშ გასატეხად თევზს უდებდნენ. თევზის გატეხას ვინც მოასწრებდა, ვაჟი თუ ქალი, ახლადშექმნილ ოჯახში „პირველი“ ის იქნებოდა. ამიტომ თევზის გატეხას ორივე ცდილობდა. ხმლის ქვეშ გატარება და თევზის გატეხვა კერპთაყვანისმცემლობის დროინდელი რელიგიური წესჩვევა უნდა იყოს და დაკავშირებულია ხელის შემლის, წინააღმდეგობის, ე. წ. პროფილექტიკურ რიტუალთან.

ყოველივე ამის შემდეგ იწყებოდა ქორწილი, რომელიც რამდენიმე დღე გრძელდებოდა.

¹ მზითვის წიგნი შედგენილია XX საუკუნის დასაწყისში. პეტრე ბერიძე — თბილისის ძირძეველი მოქალაქე, მფლობელი იყო მაღათვეის კუნძულზე მდებარე ერთ-ერთ სახერხი „ქარხნისა“.

საქორწილო ნაღიმს გამოუთქვა ხალხმა ეს ლექსი-სადღი-
გრძელო:

საქორწილო
სიმღერების
კუთხი

გაცოცხლოს და გადღეგრძელოს,
როგორც აბრაში და სარა!
გამრავლოს, როგორც ზღვას თევზი,
ცას ვარსკელავი, არც თუ კმარა!
დიღმის მინდორი მოგეცეს, —
სახნავ-სათესად კმარა;
შეიდი გუთანი შეგებას,
იყევ არც ამის ამარა;
ას-ოცი საძნე ურმითა.
ზედ კარზე აველოს ღალა,
შეიდი ფარა ცხვარი მოგეცეს, —
ესეც სათეალავად კმარა!

საქორწილო ცერემონიალში შედიოდა ერთი მეტად თავისებუ-
რი წეს-ჩვევაც. თუ ახალგვარდაწერილ ნეფეს მშობლები გარდაცვ-
ლილი ჰყავდა, ის ქორწილის შემდეგ თავის მაყრებთან ერთად მათ
საფლავზე მიღიოდა და იქ აგრძელებდა ლხინს. ეს იყო სულის უკვ-
დავებასთან დაკავშირებული რიტუალი, ე. ი. მიცვალებულის სულს
არ ივიწყებდნენ.

„ორთაჭალის გაღზი მნახვ, ვინა ვარ...“



ველ თბილისში მრავლად იყო დროს სატარებელი ადგილები: ორთაჭალისა და კრწანისის ბაღები, ორთაჭალის ჩარხები, „დიონისოს ქოხები“, დუქნები. იმართებოდა „რიგის პური“¹; ამფიტრიონი ცდილობდა, თავი გამოეჩინა კერძების მრავალფეროვნებითა და კარგი ღვინით.

ქალაქის სამხრეთით, ვიწრო კალაპოტიდან განთავისუფლებული მტკვარი იტოტებოდა და წარმოშობდა დიდ კუნძულს — ჭალაქს, რომელიც სიგრძით დაახლოებით 400 საუენი (852 მეტრი) და სიგანით 330 საუენი (640 მეტრი) იყო. ვახუშტი ბატონიშვილს ქართლის ერთ-ერთ რუქაზე ამ ადგილას დატანილი აქვს წარწერა — „ქალაქის ბალი“. რადგან ეს კუნძული მტკვრის ორ ტოტს შორის არის მოქცეული, მას მოგვიანებით ორთაჭალა შეარქვეს. პირველად კუნძულის სახელად ორთაჭალა 1735 წლის საბუთში გვხვდება. იგი ორნაშილადი თურქული სიტყვაა. ორთა ნიშნავს შუას, ე. ი. ორთაჭალა — შუა ქალა.

ადრიდანვე თრთაჭალაში ბაღები იყო გაშენებული. ზაფხულობით, ცხელ დღეებში, როცა ქალაქის ქუჩებში და შუკებში თავარა სიცხე ჩამოწვებოდა ხოლმე, თბილისელი კაცი თავის ამფისონებთან ერთად, ვინ ეტლით, ვინ კიდევ ფეხით, თოკშებმული ცხვრითა და კახური ღვინით საესე ტიყით ორთაჭალის ბაღებს მიაშურებდა. ეს იყო „მწვანე სამეფო“, სადაც ტკბილი, დარბაისლური, ქალაქური პურმარილი იმართებოდა; ისმოდა მოსწრებული სიტყვა-პასუხი, სად-

¹ ქეიფის ყოველი მონაწილე რიგ-რიგობით მართავდა პურ-მარილს. ამა „რიგის პური“ ეწოდებოდა.

ლეგრძელოები: — „მზის ცქერით გამაძლარიმც ყოფილხარ და და-
გიბეროს ღმერთმა ი შენი ყვავილები!“ მეზობელ სუფრასთან
მსხდომთ მორიდებითა და პატივისცემით ექცეოდნენ და თავიანთ
პურ-მარილზე თავაზიანად იწვევდნენ: „ღარიბის ლუკმა გემოიე-
ლიაო, ხო მოგეხსენებათ; ერთი ჭიქა ღვინო შეირგეთ, ჯანუმჯან!“

საქვეყნოდ იყო ცნობილი ორთაჭალის ბოსტნეული, რომელიც
ყოველ სისხამ დილას გოდორაფიდებული ვირებით შემოჰქონდათ



ქალაქი ნავწე

ქალაქის ბაზრებში; მოპერადათ ორთაჭალაში დაჭერილი და „ორთა-
ჭალურად“ დამზადებული თევზი.

ორთაჭალის ბაღებში მისვლა მტკვრის მარჯვენა ტოტზე გადე-
ბული, კოფორმზე შემდგარი ხის ხილით შეიძლებოდა. გადადიოდნენ
ნავითაც.

ორთაჭალის ხშირი სტუმარი ყოფილა პოეტი გრიგოლ ორბე-
ლიანი, რომელმაც თავის ცნობილ ლექსში — „მუხამბაზი“ — მოკ-
რივეს, პურმარილის ეშხსა და ლაზათს, ნიკაპზე „აყვავებულ“ ხა-
ლიან მეთევზე ლოპიანას ასე ათქმევინა:

ორთაჭალის ბალში მნახე, ვინა ვარ,
დარღმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!

ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!

ვაშინ შევიყვარდე, სოქვა: „ძვირფასი ხარ!“

გინდ მეყინოს, მაინც სულში მიზიხარ.

თვალთ ავახელ, ზედ წამშამზე მიზიხარ!“



ორთაჭალის ბალებში დუღუკის ტებილ ჰანგზე ისმოდა ქალა-
ქელ აშულთა: საიათნოეას, ბეჩირას, პაზირას, გივიშვილის, სკანდარ-
ნოვას და იეთიმ გურჯის ლექსები.

ორთაჭალის ბალს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი ნიკო ფიროსმა-
ნეშვილმა.

ორთაჭალაში იყო ყარაჩოხელისა და მოქრივის ნიკალა ცაცა-
ნაშვილის რესტორანი „ელდორადო“.

ორთაჭალის კუნძულზე, მიუხედავად იმისა, რომ ბალებით იყო
დაფარული, ნახავდით პატარ-პატარა, ვიწრო ქუჩებს, რომლებსაც



ქეიფი ქალაქებრეთ

ასეთი სახელები ერქვა: ბოსტნის, ხილის, ბაღჩის, ყურის, ორთაჭა-
ლის სანაპირო, სანაპიროს ჩიხი, ორთაჭალის ჩიხი.

დღეს უკვე აღირც ორთაჭალის კუნძული ასებობს და აღირც
მისი ბალები. ეს სახელი შემორჩა ძველი სეიდაბადის ერთ-ერთ ქუ-

ჩას, რომელიც „ორთაჭალპესის“ მახლობლად მდებარეობს და გორგასლის ქუჩას მარჯვნიდან შეერთვის.

ქალაქელთა ერთ-ერთი საქეიფო ადგილი იყო სირაჭხანა, იგი დღევანდელ ღვინის აღმართს ეწოდებოდა. ადგილის სახელი სირაჭხანა რომ სიტყვისაგან არის ნაწარმოები — სირაჭ, სირაჩ შეღვიშეს, ღვინის მკეთებელს ერქვა, ხოლო ხანე, ხანა — სახლს. ასე რომ, მთლიანად სიტყვა მეღვინეთა სახლს ნიშნავდა, უფრო ზუსტად, აქ იყო ღვინის გასაყიდი ღუქნები, სარდაფები. ქალაქელს კარგი ღვინის ყიდვა თუ მოუნდებოდა, აქეთ მოაშურებდა ხოლმე. სირაჭხანის ღუქნებსა და სარდაფებს ღვინით კახელები ამარავებდნენ. ყოველდღიურად აქეთ მოეშურებოდა ღვინით სავსე ტიკებით, რუმბებითა და კასრებით დატვირთული ურმების ქარავნები. ძველ ქალაქურ ყოფაში, მის პორტიაში სირაჭხანამაც დაიმკვიდრა თავისი ადგილი. თბილისის მომღერალი პოეტი ოსებ გრიშაშეილი სირაჭხანას ასე აგვიწერს:

თუ ჩაგივლია სირაჭხანისკენ,
დაქვეირვებისარ ამ ქუჩებს კარგად —
გაგაოცებდა რუმბების სისქე
და ჭიანურსე დაკრული ჩარგა...

წარმოუდგენელია ძეელი თბილისი ყარაჩოხელთა ქეიფებისა და დროსტარების გარეშე. მათ ნახვდით თბილისის ღუქნებსა და სამიკიტონებში, ორთაჭალისა თუ კრწანისის ბალებში, მტკვრის „ტალღებზე“ მოქანავე ტივსა თუ ნავზე. ყარაჩოხელის კეთილი გამოხედვა გეუბნებოდა: სანამ ვარ, ასე ვიცხოვებო.

ყარაჩოხელი ქალაქის დაბალ ფენას ეკუთვნოდა. სახელწოდება ჩატულობიდან მიიღეს, რაც შავჩობიანს ნიშნავდა. მათ ეცვათ ხონქრითა და ჩარჩუბალებით შემქული განიერი შარვალი, წელზე ერტყათ გობაქებიანი ქამარი, ტანთ ეცვათ ატლასის ახალუხი და ლეგის შავშალისაგან გამონაკვალი აყოშა ჩოხა, უღილეყილებოდ, რომ ახალუხის ნაოჭევეშ სარტყლის ფოჩი თავლნათლივ გამოჩენილიყო; ყელზე გადაგდებული ჰქონდათ აბრეშუმის სახიანი მერდინი. ფეხთ ემოსათ ერთადლიანი პუქპუქებიანი წალები, ხოლო თავზე „წიწავა“ ქუდი ეხურათ.

სიტყვა ყარაჩოხელი თბილისური, ქალაქური, ქართული წარ-

მოშობისაა. იგი XIX საუკუნეში გაჩნდა, ისე კი თბილისელ ყარაბი-
ხელს, როგორც ქალაქის სოციალური ფენის წარმომადგენელს, და-
ახლოებით, რვაასი-ცხრაასი წლის ისტორია აქვს. მისი წინაპარია
რინდი, ჯევანმარდი.

რინდი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს მოქეთებს, ზარხოშის რი-
ნდი ეწოდებოდა აგრეთვე აჯანყების მონაწილეს, არსებული წეს-
წყობილების წინააღმდეგ მებრძოლს.

ჯევანმარდიც სპარსული სიტყვაა. ჯევან ახალგაზრდას ნიშნავს,



ყარაბიხოსელები

მარდ კაცს, ე. ი. ახალგაზრდა კაცი. ამ სიტყვიდან არის ნაწარმოები
ქართული ჯომარდი.

ჯევანმარდის — ჯომარდის — საპირისპირო სიტყვაა ნებარდ-ნა-
მარდ, რაც არა კაცურ კაცს, მოღალატეს ნიშნავს. ჯომარდსაც და
ნამარდსაც მხოლოდ თბილისში გაიგონებდით, ის ქალაქური ტერ-

მინია. მათ ახლაც შეიძლება მოკრათ ყური თბილისის ძველ უბნებზე — აკლაბარში, ჩუღურეთში, ხარფუხში.

ჯევანმარდს უყვარდა სპორტი. ის ქალაქის მოსახლეობის საყუადაგ ვარელი ფალავანი იყო, უსამართლობის მოძულე, სუსტების მუარათისა ველი... თბილისელმა ყარაჩოხელმა — ჯომარდმაც მემკვიდრეობით მიიღო ყველა ეს კარგი თვისება. თბილისელი ყარაჩოხელი ქალაქის



ყარაჩოხელთა ქეიფი

მოსახლეობის საყვარელი ფალავანი, უსამართლობისა და ძალმომრეობის მოძულე, სუსტების, დაჩაგრულებისა და ქვრივ-ობლების ქომაგი იყო.


ყარაჩოხელმა შრომაც და ლხინიც დარბაისლური იცოდა. შრომით დაღლილი დუდუქის დარბაისლურსა და ნაღვლიან ქვნესაში ახ-შობდა იგი სიყვარულის კაეშანსა თუ ცხოვრებისეულ ჭირ-ვარამს. მათგან შორს იყო ჩხუბი და აყალმაყალი. მოქეიფეთა სუფრა არა-სდროს დამწუხრდებოდა. მათ მიერ წარმოთქმულ სადლეგრძელოში

ჩაქსოვილი იყო კაცთმოყვარული, ჰუმანური აზრები, ადამიანის ყოველდღიური, ცხოვრებისეული ფიქრი და ტკივილი: „ქვეყანა ზღვაა, მიდის კაცი, ზოგს ატივტივებს, ზოგს დასძირავს. რისგან არის? ადამიანის სიბოროტის, შურისა და ავგულობისავან, რა გინ-და, შე თვალგაუმაძლარო კაცო, რომ სულ შენკენ რწყვე-და სწერს კი არას დასდევ. ნათქვამია: „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაპქონდეს და გამოპქონდესო; შენც ირგე და სხვასაც არგუნე და მიუწილადე.“ ყოველ სადღეგრძელოს მოპყვებოდა დუდუკის ტკბილი ჰანგი, რო-მელიც ლეინისაგან შეზარხოშებულთ, ეშხში შესულებს ცხოვრების სითბოსა და სილამაზეს აგრძნობინებდა. დუდუკის მელოდია მოქე-იფებს ახლობლებს აგონებდა. შეყვარებულს სიყვარულის ცეცხლს უფრო უღვივებდა, ცხოვრებაში ფეხწაბორძიკებულ იმედს უნერგავდა.

დუდუკი ქართული „დიონისეს სალამური“ იყო, რომლის ჰან-გი, მოქეიფეთა სიმღერასთან ერთად, ჩაძინებულ თბილისს ნანასა ვით ჩაესმოდა.

ქეიფში, პურ-მარილში ღამენათევი მეინახენი გათენებისას, დი-ლის საარზე, ქეიფს თბილისის საქვეყნოდ განთქმულ გოგირდის აბანოებში აგრძელებდნენ. ცხელი აბაზანისა და ლაზათიანი ქისის მიღების შემდეგ „სუფრა“ ზედ აუზის თავზე იშლებოდა და კვლავ ისმოდა ყარაჩოხელთა „ფრთანი“ სადღეგრძელოები...

„საჩართველოს მეცის საზანდარი ვარ!“



ველ თბილისში შეიქმნა ე. წ. ყარაჩოხელთა პოეზია. ქალაქელი ყარაჩოლელის საყვარელი სასიმღერო ლექსები იყო „დარღების ამშლელო“, ორთავ თვალის სინათლევ“, „მითხარ, მითხარ“, „მუხამბაზი“...

ლოთებო, ნეტავი ჩვენა, არიარალი,
დღეს მოვეცა შვება, ლხენა, თარიარალი,
მოვძებნოთ ლვინის მარანი, თარიარალი.
მოვნახოთ მინის ფანარი, არიარალი,
ნოემ რომ ერთხელ ინება, არიარალი,
უურძნის წვენის გემოვნება, თარიარალი.
წყალი პირუტყვას მიუტევა, თარიარალი,
მაშ, მოდით, ისევ ღვინითა, არიარალი,
ღრო გაეატაროთ ლხინითა, თარიარალი.

„მუხამბაზი“.

ყარაჩოხელის საყვარელი საკრავები იყო ზურნა, დუდუკი, საზანდარი და ქამანჩა.

მველი თბილისის ფოლორცებისა და შუკების ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა იყო თავზე ხილით სავსე თაბახშემოდგმული, ანდა ვიწრო ქუჩაში ვირშებმული პატარა „ტაჩით“ მიმავალი კინტო. იგი ყარაჩოხელის ანტიპოდი იყო როგორც ჩატულობით და მიხერა-მოხერით, ისე სიტყვა-პასუხითა და შეხედულებებით.

თუ თბილისელ ყარაჩოხელს თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა, კინტო XIX საუკუნის პირმშოა. ეს უდარდელი, ზანტი, „ბუნების ნებიერი შვილი“ ნეაპოლიტანელ ლაცერონსა და პარიზელ გამენს — ბიჭს მოგაგონებდათ. მიუხედავად

იმისა, რომ იგი თითქმის მთელ სიცოცხლეს ლაზლანდარობაში, თან-ბაზობასა და ყალთაბანდობაში ატარებდა, გულით მაინც სულ სევ-და და ნაღველი დაპქონდა. ცხოვრების უკულმართობამ იძულებული, ქუჩა-ქუჩა ეხეტიალა.

კინტოს ჩაცმულობას შეადგენდა გვერდზე ჩახსნილი და ლილ-კილოებით დამშვენებული ხალათი, ახალუხი, წინდებში ჩატანებული ფართო შარვალი, წულები და თავზე „კარტუზი“. ცოცხალი, მკვირცხლი, მოძრავი, „ლოთიანი“ ქიფის მოყვარული კინტო, რომელსაც თავზე ღვინით სავსე კვარტიანი ბოთლი ედგა (ხშირად ბოთლზე ღვინით სავსე „ქამრიანი“ — წელში გამოყვანილი ჭიქა იყო დადგმული), არლნის ხმაზე ბალდადით ხელში ცეკვავდა კინტოურს.

თბილისელი კინტო შესანიშნავი მასალა იყო მწერლისა თუ მხატვრისათვის. მაშინდელ გაზეთებსა და უურნალებში ხშირად ნახავდით იუმორისტულ წერილსა თუ ნახატს, რომლის გმირი კინტო იყო. თეატრის სცენიდანაც ბევრჯერ გაიგონებდით კინტოს მოსწრებულ სიტყვა-ბასუხს, რომელიც ყოველთვის მაყურებლის გულწრფელ სიცილს იწვევდა. არტურ ლაისტი თბილისელი კინტოს შესახებ წერდა: „კინტო თავისთავად კარგ მასალას წარმოადგენს იუმორისათვის, რადგან მისი ხერხი ლაპარაკისა, ქცევა და ზნე-ჩეეულება ხშირად მეტად სასაცილოა. აღმოსავლეთ საქართველოში ამჟამად კინტოს გარდა ძალიან ცოტაა იუმორისათვის გამოსადევი ტიპი.“

თბილისელი კინტოს პოეზია იყო: „პატარა ბიჭი დამეკარგა“, „მშვენიერი ვარ“, „ავარ, ავარ დავდივარ“...

ვერ-ვერ დავდივარ.
ღია შინ არ შევდივარ.
დედაჩემსა ჟონია,
სულ ქალებში დავდივარ.
ეს ქვეყანა ბნელია,
სიყვარული ძნელია,
რომელიც რომ მე მიყვარს,
ის სულ სხვა ქვეყნელია.
ახ, ძმოვგან, კარგი ხარ,
სანატრელი ვარდი ხარ,
ჩემთან არა პატრიულობ,
სხვასთან დარღიმანდი ხარ.

XIX საუკუნის თბილისში მეტად გავრცელებული ფუო ე. შ. ქუჩური პოეზია, რომელიც ასახავდა ქალაქის ყოველდღიურ ცხოვ-რებას, ქალაქელთა ჭირსა თუ ლხინს.

ცნობილია, რომ საქართველოში ხშირად მოგზაურობდნენ ქართველი თოლიერი მისიონერები კათოლიკური რწმენის საქადაგებლად, გასა-ვრცელებლად. ხდებოდა, ხოლმე, რომ მათ განზრახვას წინ აღუდგე-ბოდა ხალხი. ერთ-ერთი ასეთი წინააღმდეგობის დროს თბილისი-დან გაუძევებიათ დომინიკელი ბერები. ამ ამბავზე ქალაქში სახელდახელოდ ლექსიც შეუთხზავთ:

ქალაქში მოსულა თეთრი ბატები,
აავარში გარეკეს ფრანკის ბატრები.

საქართველოს არქიეპისკოპოს ისიდორეს თურმე მეტისმეტად მეჩერი, თხელი წვერი ჰქონია. და, აი ლექსიც:

ქალაქში მოსულა ხალი ქერი,
ქართლის არქიელს არა აქეს წვერი.

თბილისის სომეხთა ეპარქიის არქიელს კარაპეტას კი ცალი თვა-ლი ჰქონია და მასაც გამოუთქვეს ლექსი:

ქალაქში მოსულა წითელი ბალი,
სომხის არქიელს არა აქეს თვალი.

სეიდაბადში კი საზით ხელში საქართველოს, თბილისა და და-კარგულ სიყვარულს უმღერდა ქალაქის პირველი აშული საიათოვა:

სიყვარული ცეცხლი არი, გენია,
ბევრი სტუცია: „ტრუფობის მონა როდი ვარ!“
ნურც იგემებს, ვისაც არ უგემია,
ვინც იგემა, არ სთქვას: „მექაზე მოვდივარ...“
ზოგ-ზოგთათვის სიყვარული დარღია,
ზოგი კიდევ სულაც სიაბანღია...
ზოგიც ამბობს: „რა ტრუფობაა?! — ნაჩდია.“
მე კი დავდნი, კაცი ლოდი როდია.
სიყვარულსა თასეგვარი ჰანგი აქვს,
კეკა-გონებას მიგიძინებს, ბანგი აქვს,
მისოვის ეუფრთხი შარიანს და შეოთიანს...

ქალაქური პოეზიის ხალხში გამტანი, მისი „პროპაგანდისტი“ იყო თბილისელი ტრუბადური — აშული.

ძველი თბილისის „ტიპაჟთა გალერეას“ სრულყოფილად წარ-

მოდგენა შეუძლებელია ქალაქის წიაღიძის გამოსული ტრუბაფურის — აშულის გარეშე. „აშული“ არაბული სიტყვაა, ჩვენში სპარსეთიდან შემოვიდა და ნიშნავს აშიკს (არმიკს), მოტრფიალეს.

აშული ამჯერების ჭირ-ვარამზე, სიყვარულზე თხჩავდა ლექსებს და საზოგადო ან თარზე მღეროდა. აშული სახალხო, ხალხის საყვარელი პოეტი იყო. აშულის გამოთქმულ ლექსებს ზეპირად სწავლობდნენ, ისინი მამიდან შეიღს გადაეცემოდა. ასე შემოენახა შთამომავლობას კარგი აშულური ლექსი:

კარგი იყო არ გამეცნე თავიდან,
შეა ზღვაში გადამაგდე ნაეიდან,
ჩემი გული შენ დაკოდე, დახიე,
ხელებს ითბობ, ცეცხლის ალში გამხეიი.
სულ არ გვესმის ჩემი წერა-ეითხვები,
რად მიყვარხარ, რატომ არ მეკითხები?
რომელ მგოსანს ესთხოვო სამართალია,
ვის შევჩივლო, რუსთაველი მკედარია.

იეთიმ გურჩი.

აღმოსავლეთის ქვეყნების აშულები თავიანთი სალექსო ხელოვნების, ოსტატობის საჩვენებლად ხშირად მოგზაურობდნენ ქვეყნიდან ქვეყანაში, დადიოდნენ ქალაქიდან ქალაქში. უცხო ქალაქში მისული აშულის „პროგრამაში“ შედიოდა, ენახა და სააშულო ლექსთა თქმაში გამოეწვია იქაური აშული. შეკიბრი ამ წესით ტარდებოდა: აშული თავის საქართველო — ქამანჩაზე, ანდა საზოგადო უკრავდა და თან სიმღერით ამბობდა ლექსს, მეორე აშული კი საპასუხო ლექსს ამავე წესით ეუბნებოდა. ეს იყო ერთგვარი ლექსით კითხვა-მიგება (აშულური კაფია) — მუნასიბი. კითხვა-მიგება ექსპრომტად ხდებოდა. ვინც ლექსად დასმულ შეკითხვას სწრაფად ვერ უპასუხებდა, ის დამარცხებულად ითვლებოდა. დამარცხებულს თავისი საქართვი გამარჯვებულისთვის უნდა მიეცა, მას საზოგადოებაში, ხალხში სირცხვილით თავი აღარ გამოეყოფოდა და იძულებული იყო, იქაურობას გასცლოდა. ისეც ხდებოდა, ორივენი „მაგარის შუბლისანი“ აღმოჩნდებოდნენ, ვერც ერთი ვერ ჯაბნიდა. მაშინ აშულები ერთმანეთს გადაჰკოცნიდნენ და მეგობრულად განშორდებოდნენ.

ხდებოდა ხოლმე, ქალაქის რომელიმე ცნობილ ყავახანაში, ანდა სამიკიტოში, საღაც სხვადასხვა მხარის გამოჩენილი აშულები

იქრიბებოდნენ, იმართებოდა მარაქა — კამათი, მუნასიბი, დაკვრა, ლექსებით გამოცანების თქმა. შეჯიბრებაში მონაწილე ერთი აშული ქალალზე დაწერდა ლექსი-მულამბას (გამოცანას), მას შიაკერებდა მოქარგულ ქირმანშალზე, ანდა ყალამქარის ბალდალზე და ყავახანაში ჩამოკიდებდა. ყავახანაში მოსიარულე მავან და მავან აშულს ეს მულამბა უნდა გამოეცნო და პასუხიც იმავე წესით გაეცა. გამარჯვებულს საჩუქრებდნენ ფულითა და რაიმე ნივთით. საჩუქრად გადასაცემი ფულადი თანხა ყავახანის მუშტრებში გროვდებოდა და მას იმ ქირმანშალზე, ანდა ყალამქრის ბალდალზე აქრავდნენ, სადაც მულამბა-ლექსი-გამოცანა იყო დაკრული.

აშული ბევრი გამოჩენილი ქართველი პოეტის ლექსის მუსიკალური გამფორმებელიც იყო. ზოგჯერ პოეტები საგანგებოლ თხზავდნენ აშულებისათვის ლექსებს. გარდა აშულური ერთხმიანი სიმღერებისა, იყო მრავალხმიანი ქალაქური სიმღერებიც.

თბილისის შუკებსა და ვიწრო, მიხეულ-მოხეულ ქუჩებში არც თუ იშვიათად გაიგონებდით ნაწყვეტებს იმხანად თბილისის ოპერის თეატრში დადგმული ცნობილი ექიმპელი კომპოზიტორების — ვერდის, დონიცეტის, ლეონქავალოს, პუჩინის ოპერებიდან, რომელსაც სტვენდნენ, ზოგჯერ კი იმპროვიზებურად ასრულებდნენ ქალაქელები. ეს კიდევ უფრო პმატებდა ეგზოტიურობას ქალაქის ძველ უბნებს.

„გარეთუბანს გავხდე, საღლა არის
ეოსმახი...“



აქართველოს სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ქალაქი თბილისი დაიყო ოთხ საპოლიციო-ადმინისტრაციულ უბნად, ხოლო საუკუნის დასასრულს, ქალაქთან გარეუბნებისა და ქალაქისპირა სოფლების შემოერთების შემდეგ, მისი ტერიტორია ადმინისტრაციულად ათ საპოლიციო უბნად დაიყო.

I უბანი მდებარეობდა მტკერის მარჯვენა ნაპირზე. იგი იწყებოდა საქართველოს სამხედრო გზიდან და მოიცავდა მთელ ვერას (ვარდისუბნითა და ვაკით);

II უბანი მოიცავდა მთაწმინდის მთის კალთებს, გოლოვინის გამზირის ზემო მხარეს;

III უბანი, რომელსაც ალექსანდრეს სახელი ერქვა, მოიცავდა ერევნის მოედანს, გოლოვინის გამზირს, ტერიტორიას ქვემოთ, მდინარე მტკერამდე: რუსულ (სალდათის) ბაზარს, მესანგრეთა (ძნელაძის) ქუჩას და ალექსანდრეს ბალს;

IV უბანი, მიხეილის სახელობისა, მოიცავდა მსხვილ მესაკუთრეთა და ბურჯუაზიული კლასის წარმომადგენელთა დასახლებას „სოლოლაქს“;

V უბანი, ბაზრისა, მოიცავდა სომხის (შუა) ბაზარს, ეგზარხის (ბატონის) — დღევანდელ ერეკლეს — მოედანს, მის მიდამოებს მდინარე მტკერამდე და მთავრდებოდა ბნელ რიგთან და თათრის მეიდანთან;

VI უბანი, ვორონცოვისა, მოიცავდა თათრების უბანს, მეიდანს, სეიდაბაღს, ბოტანიკურ ქუჩას; ვორონცოვის ქუჩა (დღევანდელი ვახტანგ გორგასალის ქუჩა) ბოლოში კვეთდა ძველ განჯის

გზას და აქვე მთავრდებოდა ქალაქიც (მტკვრის მარჯვენა ნაპირზე). აქედან ცოტა მოშორებით იდგა საგუბერნიო სატუსალო — ციხე „გუბერნაციისათვის“.

ასე შემთისაზღვრებოდა მტკვრის მარჯვენა მხარეს არსებული ქალაქის ექვსი საპოლიციო უბანი.

VII უბანი თითქმის ყველაზე დიდი იყო. აქ შედიოდა ავლაბარი, შავი სოფელი, ნავთლული, ბარბარე, მეტენის ციხე; აქვე იყო სამეურნალო „გოგოლის“ აბანი და ნავთლულის სამხედრო ჰოსპიტალი საფერშლო სამხედრო სასწავლებლით (დღეს აქ ფერშლისა და ჰოსპიტლის ქუჩებია);

VIII უბანი მოიცავდა ჩულურეთსა და რიყეს;

IX უბანი, კუკიძისა, მოიცავდა მიხეილის (პლეხანოვის) გამზირის ნაწილს კიროჩინის (მარგანიშვილის) ქუჩამდე;


X უბანი, ვოგზლისა, მოიცავდა ქალაქის ვოგზლის მოედანს, მუშტაიდის ბალს, დიდუბეს და ნაძალადევს (ნახალოვებს).

თბილისში ახალი მმართველობის შემოღების შემდეგ ქალაქის ცენტრმა თანდათან დასავლეთით, გარეთუბანში გადმოინაცვლა. შენდება ორი და სამსართულიანი სახლები, რომლის არქიტექტურულ გაფორმებაში ფართო გაქანება მიეცა ქუჩაში გადმოკიდებულ, მონიუშურთმებულ ხის ლია აივანს. შუკები, ფოლორცები ახალი ცხოვრების შემოტევას ვეღარ უძლებენ. დროთა ჭიდილი, ეპოქათა ჭიდილი ძალიან კარგად აისახა XIX საუკუნის თბილისში. „ჩუენი თბილისის ქალაქი პატარა პატიუ შეიიქნა. მე ამას მოგახსენებ, ჩემმ მყითხველო, შესახებ ქუჩების გამშუენერებისა, სახლების ევროპიულ ხელოვნებით გაქეთებისა. ახლა საითაც მიიხედო, სამი და ოთხი ეტაჟი ჩინებული მაგაზიებია, ლამით გაივლის კაცი, თითქოს ცეცხლი ეკიდებოდაო. ქუჩებში ნახავთ აქეთ და იქით ამწვანებულს ხეებს. ასე რომ, მალლითგან კაცმა გადმოიხედოს, იტყვის, მთელი ქალაქი ბალში აშენებულაო. აი, ორისა და სამის წლის წინათ, მთაწმინდის, სოლოლაქისა და მახათის მთებზეც დანერგეს ტყის ხეები იმ აზრით, რომ ზაფხულში ტყილისს სიგრილე პქონდეს, კარგი ჰავა და მრთელი ჭარია... — წერდა ივ. კერქელიძე უურნალ „ცისკარში“ (1870 წ. № 5).

ძველი თბილისის ცენტრი — მეიდანი — სავაჭრო და ყოველ-

გვარი გარიგებების ადგილი პირველობას ე.წ. „ერევნის მოედანს“ უთმობს.

XIX საუკუნის 20-იან წლებში გარეთუბანში უკვე სამი მოედანი იყო. როცა 1827 წელს გენერალ პასკევიჩის მეთაურობით რუსთა ჭარმა ერევნის ციხე აიღო, გარეთუბანში ანსებულ ბაზრის



მთავარმართებლის სასახლე და სასახლის ქუჩის დასაწყისი

მოედანს ამ გამარჯვების აღსანიშნავად ერევნის მოედანი უწოდეს (1828 წელს).

გარეთუბნის მეორე მოედანი იყო ნიკოლოზის მოედანი, რომელიც მთავარმართებლის სასახლის (დღევანდელი პიონერთა სასახლე) წინ მდებარეობდა.

მესამე იყო ალექსანდრეს მოედანი (იმპერატორ ალექსანდრე I-ის პატივსაცემიდ). მდებარეობდა ძველი ყაბახის ადგილას (დღეს აქ კომუნართა ბალია).

ნიკოლოზის მოედანს მოგვიანებით გუნიბის სახელი ეწოდა რუსთა ქარის მიერ 1859 წელს შამილის უკანასკნელი დასაყრდენის, გუნიბის აღების გამო.

ერევნის მოედანზე, როგორც უკვე ვიცით, 1847—1851 წლებში აიგო თამამშევის ქარვასლა, სადაც მოთავსდა თეატრიც. თეატრს თურმე აღტაცებაში მოჰყავდა მნახველები. ის, რასა წერს თავის მოგონებებში 1856 წელს თბილისში ჩამოსული ცნობილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა: „უნდა გამოვტყდე, რომ ვესტიბიულში შესვლისთანავე განცვითრებაში მომიყვანა ორნამენტის სადა და დახვეწილმა სტილმა. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს პომპეუსის თეატრის ვესტიბიულში შევვდი. ზემოთა ფოიეში ორნამენტი არაბული ჩუქურთმით შეიცვალა. შევვდით დარბაზში, რომელიც ფერიათა სასახლე გეგონებიდათ, არა მისი მდიდრული მორთულობით, არამედ იმით, რომ უფაქიზესი გემოვნებითაა შესრულებული. შესაძლებელია, იქ სულ ასი მანეთის გარაყიც კი არ არის დახარჯული, მაგრამ უყოფანოდ შეიძლება ითქვას, რომ თბილისის სათეატრო დარბაზისთანა თვალწარმტაცი დარბაზი ჩემს სიცოცხლეში არად მენახა...“

შენობის ავტორი იყო არქიტექტორი სკუდიერი. თეატრის სცენის ფარდა კი გააფორმა და მოხატა ცნობილმა რუსმა მხატვარმა გაგარინმა.

1874 წლის 11 ოქტომბერს ოპერა „ნორმას“ წარმოდგენისას ქარვასლაში გაჩნდა ხანძარი, რომელმაც იმსხვერპლა ეს მშენების თეატრი.

XIX საუკუნის დამდეგიდან გარეთუბანში იყრდალება შენობების უგეგმოდ აგება, იწყება გეგმაზომიერი მშენებლობა, თანდათანობით ყალიბდება ქალაქის ახალი ცენტრი. „ერეკლეს მშენებირი ბაღი, განთქმული თავისი ჩრდილოვანი ვენახებითა და ალვის ხეებით, ახლა განკუთვნილია ახალი უბნის ასაგებადო“, — მოგვითხრობს 1826 წელს თბილისში მყოფი ფრანგი მოგზაური გამბა.

1824 წელს საფუძველი ჩაეყარა კავკასიის შტაბის კორპუსის შენობას, ამავე ხანებში აშენდა კავკასიის მთავარმართებლის სასახლეც (დღევანდელი პიონერთა სასახლე).

ლენინის მოედანზე, იმ ადგილას, სადაც ახლა ხალხთა მეგობ-

რობის მუზეუმია, იდგა ორსართულიანი სახლი, სადაც 1829 წლის 27 მაისიდან 10 ივნისამდე ცხოვრობდა აღ. პუშკინი.

დღევანდელი ქალაქის საბჭოს შენობაში მოთავსებული ყუქილაქის ქალაქის პოლიცია. შენობა რამდენჯერმე გადაკეთდა — ჩროველად 1879 წელს. 1910 წელს მას დაშენეს მესამე სართული ფრთაზე გ. ტაბიძის ქუჩის მხრიდან, 1912 წელს კი დადიანის ქუჩის მხრიდან.

1876 წელს შტაბის შენობის გვერდით მდებარე ორსართულიან სახლს დააშენეს მესამე სართული, რის შემდეგაც აქ მოთავსდა სასტუმრო „ქავკაზი“, ხოლო ერევნის მოედნისა და სოლოლაქის (დღევანდელი კიროვის) ქუჩის კუთხეში მდგარ სამსართულიან შენობაში — სასტუმრო „ინტერნაციონალი“.

1884 წელს ქალაქის მესვეურთა დადგენილებით ერევნის მოედანზე არსებული ბაზარი გადაიტანეს ქალაქგარეთ, ვერის დაღმართან (ელბაგიძის დალმართი).

XIX საუკუნის 30-იან წლებში აშენდა დიდი ქართველი ვაჭრისა და მეწარმის, შაქრის ქარხნის მფლობელის იაკობ ზუბალაშვილის სახლი (დღევანდელი ქართული ხელოვნების მუზეუმი). 1838 წელს ეს შენობა სასულიერო უწყებაში შეიძინა სემინარიისათვის.


ამ სახით მოაღწია ერევნის მოედანმა ჩვენამდე, 1935 წლამდე, როცა მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით აღებული იქნა ძველი ქარვასლა.

1751 წელს მეფე თემიშვილი II-მ თავად რევაზ ორბელიანს უწყალობა გარეთუბანში მდებარე „მეიდნის სასახლის“ ადგილი. ორბელიანებმა აქ ააგეს თავიანთი სასახლე (დღევანდელი საზღვარგარეთთან ურთიერთობის კომიტეტის შენობა), რის გამოც ადგილმა ორბელიანების უბნის სახელი მიიღო. შემდეგ, უფრო მოგვიანებით, ორბელიანებმა თავიანთ მამულს შეჰმატეს დიდი კუნძული მტკვარზე (ეს კუნძული მდებარეობდა კარლ მარქსის ხიდებს შორის). XIX საუკუნის 40-იან წლებში ორბელიანებმა ეს კუნძული გენერალ მადათოვს მიჰყიდეს. აქედან გაჩნდა თბილისის მიკროტოპონიმში „მადათოვის კუნძული“.

1885 წელს ონა მეუნარგია წერდა: „თუ თბილისში გიცხოვრიათ, ჩასაკვირველია, გეცოდინებათ, სად და რა ალაგას არის გრიგოლ ორბელიანის სახლი. ძევლთაგანვე ამ სახლის არემარე შეაღენდა ორბელიანთა გვარის სამყოფ ადგილს და იწოდებოდა ორბე-

ლიანთა უბნად, აულად. ამ აულში ცხოვრობდა სარდლიანთ ოჯანი, ასლანის ოჯანი, გიორგის ოჯანი, ზურაბ — პოეტის მამა და სხვა. ზურაბის დიდი, ორსართულიანი, ფართე მოაჯირით შემოვლებული სახლი ისევე დარჩა პოეტის ცხოვრებაში, როგორც იმის მამის დროს იყო... პოეტს არ უნდოდა სიძველეში შესულის სახლის განახლება...“

გრიგოლ ორბელიანს თავის ძველ სასახლეში ლიტერატურული სალონი ჰქონდა გამართული. პოეტთან ხშირად იყრიბებოდნენ:



მაღათოვის კუნძული და წისქვილები მტკვარზე

ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ზურაბ ჭივებაძე და სხვანი. ისინი კითხულობდნენ როგორც საკუთარ, ისე თარგმნილ ლექსებს. ერთ-ერთ ასეთ შეკრებაზე წაუკითხავს გრიგოლ ორბელიანს რუსი პოეტის რილევის ლექსის „ნალივაიოს აღსაჩების“ თარგმანი.

კვირაში ერთხელ გრიგოლ ორბელიანი თავის ბინაზე იწევედა თბილისელ აშულებს და მეგობრებთან ერთად ისმენდა ჩამჩი-მელ-

ქოს, ქიჩიკნოვის და საიათნოვას ლექსებს. პოეტი იოსებ გრიშაშ-ვილი გადმოგვცემს ძველი თბილისის აშულების ფნიდიდა და უსინა-თლო იაგორას მონაყოლს: „...კვირაში ერთხელ თუ ორხელ კნიაზის ბრძანებისამებრ მივდიოდით მის სახლში; განსაკუთრებით საიათ-ნოვას ლექსების სამღერლად. კნიაზი გამოვევებებრიდა და გვერუ-და თავისებურის მჯახე ხმით: „ოოხ, მოხვედით, ჩემო შვილებო!“ ჩვენც ვუმღერდით საიათნოვას საჭიროები ლექსებს და ოხრად დაგვასაჩუქრებდა...“

ცხოვრების ევროპულ ყაიდაზე გადასვლამ ბევრი შეძლებული ქართველი თავად-აზნაური აიძულა, გაეყიდა, ანდა დაეგირავებინა თავიანთი უძრავ-მოძრავი, საუკუნეების მანძილზე დაგროვილი, მამაპაპეული ქონება. მათი დაუდევრობის და უყაირათობის გამო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სხვათა ხელში გადადიოდა მათი მამულ-დედული.

აღსანიშნავია, რომ იმეამად თბილისში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ იყო. უმაღლესი განათლების მისაღებად უნდა გამგზავრებულიყვნენ რუსეთში, ანდა საზღვარგარეთ, რასაც ფული ესაჭიროებოდა. ბევრი ახალგაზრდა უსახსრობის გამო უმაღლესი განათლების გარეშე დარჩა.

XIX საუკუნის საქართველოში კი სულაც არ იყო, ანდა ძალიან ცოტა იყო ისეთი ქართველი, რომელსაც მეცენატობა შეეძლებოდა, დახმარების ხელს გაუწვდიდა ქართველ ახალგაზრდობას.

უოველგვარ ეროვნულ წამოწყებას ფული ესაჭიროებოდა, ფუ-ლი კი არსაიდან ჩანდა. ცარიზმის იმედი ამ მხრივ არ უნდა ჰქონო-დათ. იგი უოველგვარ ეროვნულ წამოწყებას ხელს უშლიდა. იმპე-რიის პერიფერიებში მცხოვრები ხალხები რაც უფრო მეტ სიმნი-ლესა და უმეტრებაში იქნებოდნენ, მას ის უნდოდა.

მხოლოდ XIX საუკუნის 80-იან წლებში გამოჩნდა ქართველთა შორის ადამიანი, რომელმაც ეს მეტად დიდი ეროვნული საქმე იტვირთა.

ეს ადამიანი იყო დავით ზაქარიას ძე სარაჭიშვილი.

დ. სარაჭიშვილი დაიბადა თბილისში 1848 წელს, საპატიო მო-ქალაქის ოჯახში.

თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1866 წელს, სწავ-ლის გასაგრძელებლად გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც შევიდა

უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. მაგრამ ერთი წლის შემდეგ დატოვა პეტერბურგი და გაემგზავრა გერმანიაში, სადაც ჯერ მიუნხენში სწავლობდა, ხოლო შემდეგ პეიდელბერგის უნივერსიტეტში. 1871 წელს დაამთავრა იგი და მიიღო ქიმიის დოქტორის ხარისხი. 1878 წელს სასოფლო-სამეურნეო ცოდნის შესაძენად სწავლა განაგრძო პოპენჰინსა და პალეში. გერმანიდან დ. სარაჯიშვილი გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც 1878—1879 წლებში სწავლობდა მეცნიერებას.

დავით სარაჯიშვილი სამშობლოში დაბრუნდა ევროპულად განათლებული.

ყველასათვის მოულოდნელად დავით სარაჯიშვილმა არყის დამზადების საქმეს მოჰკიდა ხელი. შეიძინა არყის სახდელი ქარხანა და მთლიანად იმდროინდელი ტექნიკის მიხედვით გადააქცია. შემდეგ თბილისში გახსნა არყის საწყობი და ლიქიორის ქარხანა, ხოლო 1888 წელს — კონიაკის ქარხანა. იგი ამ საქმის პიონერია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ რუსეთის იმპერიაში.

დავით სარაჯიშვილმა დიდი გამჭრიახობით, შრომისმოყენებითა და საქმის კარგი ცოდნით დიდალი ქონება შეიძინა. ასე რომ, იგი ერთ-ერთ უმდიდრეს პიროვნებად ითვლებოდა მთელს კავკასიაში. მაგრამ დავითს მხოლოდ სიმდიდრის შეძენა არ ხიბლავდა. ეს სიმდიდრე მას თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ უნდოდა გამოეყენებინა. დავით სარაჯიშვილი უძეო იყო, მაგრამ ამ უმდიდრეს კაცს ეს სულაც არ ადარდებდა. იგი ხშირად ამბობდა: „რას მიქეონ უშვილობა! განა ყველა ბავშვი, მომავლის იმედად აღსაზრდელი, ქვეყნის საკეთილდღეოდ განსაწერთნელი და განსასწავლელი ჩემი შვილი არ არისო“. 1905 წლის 3 აპრილს, დავით სარაჯიშვილის ახალი სახლის (დღეს საქართველოს მწერალთა სახლი) კურთხევის დღეს დიდმა აკაკიმ ასეთი ლექსი უძღვნა დავით სარაჯიშვილს:

...

განვეგბამ მოგცა სუსელაფერი!
ნუ სწავლართ იმას, რომ ხართ უშვილო,
ნუთუ არ კმარა შეილად და ძირიდ
ოქვენთვის სამშობლო და საქართველო!

დ. სარაჯიშვილი დიდი გულისყურით ექცევოდა ყველა ნიჭიერ ახალგაზრდა ქართველს, რომელსაც სწავლა სწყუროდა, მფარველობდა მთ.

XIX საუკუნის მოწინავე ქართველი ინტელიგენციას დადას აფიქრებდა ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-განათლების მაქსიმა ამიტომ ყოველი მათი შეკრების მთავარი საკამათო და სასაუბრო თემა იყო ახალგაზრდობისათვის წესიერი განათლების მიცემის საკითხი. დავით სარაჯიშვილის სახლი ერთ-ერთ სალონს, იმდროინ-დელი ქართველი ინტელიგენციის სათავირილობო ადგილს წარმოადგენდა. ამ სახლის ხშირი სტუმრები იყვნენ დიდი ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე და მრავალნი სხვანი. ერთ-ერთი ასეთი შეკრებისას გადაუწყვეტიათ, რომ ნიკიერი ქართველი ახალგაზრდობისათვის დაეარსებინათ სტიპენდიები. მართლაც 1888 წელს დავით სარაჯიშვილის მთავარ კანტორისთან დარსებულა კომიტეტი ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით, რომელიც მარტო სტიპენდიების სახით 30 000 მანეთს გასცემდა. გარდა ამისა, კომიტეტი დახმარებას უწევდა სკოლებს, უურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემას.

დავით სარაჯიშვილის სტიპენდიანტები სხვადასხვა დროს იყვნენ: ია კარგარეთელი, მელიტონ ბალანჩივაძე, ვანო სარაჯიშვილი, დამიტრი არაყიშვილი, მოსე თოიძე და სხვა.

XIX საუკუნის დაახლოებით 80-იან წლებში იწყება ქართული კულტურის აღორძინება. ირსდება „ქართული გალობის აღმდგინებელი კომიტეტი“, სამუსიერ სასწავლებელი, ლადო აღნიაშვილისა და ი. რატილის გუნდები, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვა. დავით სარაჯიშვილი არც ერთ დიდ კულტურულ წამოწყებას არ სტორებდა უყურადღებოდ.

დავით სარაჯიშვილის ბინაზე ხშირად ეწყობოდა ლიტერატურული შეკრებები. აქ თავს იყრიდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი მწერლები და პოეტები. შეკრებილნი კითხულობდნენ საკუთარ ნაწარმოებებს, იმართებოდა სჯა-ბაასი სხვადასხვა საკითხებზე.

1882 წელს, ერთ-ერთ ასეთ შეკრებაზე ილიას წაუკითხავს პოემა „განდეგილი“; აქვე ილიას პირველად წაუკითხავს „ოთარაანთ ქვრივი“.

1911 წლის 20 ივნისს დავით სარაჯიშვილი გარდაიცვალა.

გარდაცვალებამდე ერთი წლით აღრე, 1910 წლის 3 ივნისს, დონის როსტოკში კოფნისას, ადგილობრივ ნოტარიუსთან დაეფილი სარაჯიშვილს შეუდგენია ანდერძი, რომელიც მისი დიდებულობრივის უტყუარი საბუთია. ანდერძის შედგენისას მას არ გამოჩერინია არა-კინ და არაფერი. მისი უზარმაზარი ქონებიდან თითქმის ყველას ხვდა წილი. დიდმა ქველმოქმედმა და მეცენატმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ანდერძით დაუტოვა 300000 მანეთი, აქედან ქართული მუზეუმის აგებას უნდა მოხმარებოდა 150 000 მანეთი, დარჩენილი 150 000 მანეთი კი — სტიპენდიებს; თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიას — 10 000 მანეთი; თბილისის მართლმადიდებელ სასულიერო სემინარიას 5000 მანეთი; პროფესიონალური უნივერსიტეტის — 5 000 მანეთი; მხატვარ გიგო გაბაშვილს — 1000 მანეთი; მწერალ არტურ ლაისტს — 1 000 მანეთი. მას არ დავიწყებია თავისი მუშა-მოსამსაჭურენი, რომელთაც 125 000 მანეთი დაუტოვა. 1918 წელს დავითის ნების აღმსრულებელმა ადამ ივანეს ძე ფორაქიშვილმა დავით სარაჯიშვილის უმდიდრესი ბიბლიოთეკა გადასცა თბილისის ახლად დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტს.

რევოლუციამდელი ხანის ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს 1910 წელი, როცა გადაწყდა თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსება.

ინსტიტუტში უნდა ყოფილიყო ოთხი ფაკულტეტი — სასოფლო-სამეურნეო, აგრონომიული განყოფილებით; ქიმიური, მექანიკური და ეკონომიკური, კომერციული განყოფილებით.

ინსტიტუტი გათვალისწინებული იყო 1200—1500 სტუდენტისათვის.

სააღმშენებლო კომისიამ დაიწყო ინსტიტუტისათვის ადგილის ძებნა. შერჩეული იქნა თბილისის სამი უბანი: საბურთალო, ნაძალადევი (ლოტკინის მთა) და ნავთლული. კომისიის არჩევანი ამ უკანასკნელზე შეჩერდა. ნავთლულის ძველი სასაფლაოს აღმოსავლეთით, მდინარე მტკვრის გაყოლებით გამოიყო 10 დესეტინა მიწის ნაკვეთი. აღნიშნული სააღმშენებლო მიწის ნაკვეთის ნაწილი შეისყიდეს, ნაწილი კერძო მფლობელებმა საჩურავად გადმოსცეს.

1914 წლის 4 მაისს დიდი ზეიმით აღინიშნა თბილისის პოლიტიკური ინსტიტუტის შენობის საფუძვლის ჩაყრა.


ამ დღისათვის საგანგებოდ დაინიშნა დამატებითი მატერიალი „თბილისი — ნაცოლული“. 1914 წლის 4 მაისის გაზეთი „წარმყაჭან-სკაია რეჩი“ წერდა: „დღეს თბილისში ხდება ისტორიული მნიშვნელობის დიდი აქტი. მხარეში რუსული მმართველობის მთელ ხანაში პირველად საძირკველი ეყრება უმაღლესი განათლების ნერგს... გაიარა დაახლოებით 120 წელმა და რუსეთის ხელისუფლებამ მხოლოდ ახლა იწყო ფიქრი მხარეში უმაღლესი ცოდნის წყაროს აღორძინებაზე... მთელი გულით და სულით ვისურვებდით, რომ ამ საძირკვლის ჩაყრა სასიკეთო და სასისარულო ყოფილყო საქართველოსა და მთელი კავკასიისათვის...“

მაგრამ თბილისის პოლიტიკური ინსტიტუტის მთელი ისტორია, სამუშაოროდ, მხოლოდ ამით დამთავრდა. პირველმა მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა ამ კარგი წამოწყების კარგადვე დამთავრებას.

თუ ქალაქის ძველი ნაწილი ყურადღებას იქცევდა მხატვრულად გაფორმებული აბრეგითა და ორიგინალური სახელშოდებებით („თუმნით ვეეიფობ“, „ქოსების დუქანი“, „ნე უეზეა, გოლუბჩიკ მოი“, „პივნაია აზია, გვერდზე მიზის ლამაზია“, „სანდრო, ნალე პივა, თორემ თავი მტკივა“ და სხვ.) შემქობილი დუქნებითა და ქარვასლებით, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისის ახალ ნაწილში დაიწყეს ევროპული სტილის ლოტოს და ქაღალდის სათამაშო კლუბების, მაღაზიების (სადაც, ძირითადად, იმპორტული საგალანტურიო საქონელი იყიდებოდა), სასტუმროებისა და რესტორნების მშენებლობაც.

გოლოვინის (დღევანდელი რუსთაველის) გამზირზე აშენდა სასტუმროები და რესტორნები: „სევერნიე ნომერა“, „ორიანტი“, „ნიუ ორკი“, „ანგლეტერ“, „მეტროპოლი“, „ბრისტოლი“, „როსია“, „ანონა“, „ბრიარსკაია“, „მუხრანი“; სასახლის (გოლოვინის გამზირის გაგრძელება, უერთდებოდა მოედანს) ქუჩაზე: „ვიქტორია“; ერევნის მოედანზე „დვორცოვაია“, „ფრანცია“, „ქავებაზ“, „ინტერნაციონალ“; ეორონცოვის (დღეს კარლ მარქსის სახ.) მოედანზე: „ვენეცია“, „ავსტრიალია“, „ვერსალ“; ვერის დალმართზე — „ბერლინი“; ვოგზლის ქუჩაზე — „ვოსტკ“, „ბორჯომი“, „როსტოკი“.

„ზაპად“, „სვეტ“; სიონის ქუჩაზე — „ქომერციული“; ნიკოლოზის
ხიდთან — „ლონდონი“, „გრანდ ჰოტელი“; მიხეილის (დღევანდე-
ლი პლეხანვის) გამზირზე „ვეტცელი“ (შემდეგი დროის „ევროპა“
და „რუსთავი“. ახლა იქ იუსტიციის სამინისტროა მოთავსებული),
„ნემეცკე ნომერა“, „პროგრეს“; რიყეზე — „პარიზი“; ელისავეტის



სასტუმრო „სევერნიე ნომერა“ სასახლის ქუჩაზე

(დღევანდელი კლარა ცეტკინის) ქუჩაზე — „სემეინიე ნომერა“; მთა-
წმინდაზე რესტორანი „განდეგილი“ და კიდევ მრავალი სხვა.

თუ ძველად დუქან-სავაჭროებში მუშტრის მიზიდვა მხოლოდ
მხატვრულად კირგად გაფორმებული აბრის საშუალებით ხდებოდა,
ქალაქის ახალ ნაწილში თანამედროვე მაღაზიების, რესტორნების,
სასტუმროების სარეკლამო საშუალება სხვადასხვა იყო. ესა თუ ის
მეპატრონე თავისი დაწესებულების რეკლამისათვის ადგილობრივ
გაზრდებში — პრესაში აქცეუნებდა განცხადებას, ქალაქის ქუჩებში
საგანგებოდ მოწყობილ დაფებზე თუ აგურით ნაშენ მრავალ, სო-

კოსმაგვარ სეეტებზე აქრავდნენ აფიშებს, სადაც ჩამოთვლილი იყო, ვინ ემსახურებოდა სასტუმროს, ოთახების მოწყობილობა — კომ-ფორტი, რესტორანში რა და რა სახის კერძი მზადდებოდა, ორკესტრი რა მელოდიებს უკრავდა და მრავალი სხვა. ერთიანული

ასე მაგალითად, ვოგზლის ქუჩაზე იყო პ. ჭ. ცენტრის ლუდის საწყობი, ლუდის ქარხანის კი ფლობდა ვეტცელი. მთელს ქალაქში იყო ცნობილი იუზბაშევის საკონდიტრო და საფუნთუშე მაღაზია ერევნის „მოედანზე“; ი. დ. ხოსიტაშვილის ნანადირევის მაღაზია (ფრინველის) ბაზრის ქუჩაზე; მხატვრულად გაფორმებული სურა-თების ჩარჩოები და პორტრეტების გამადიდებელი მაღაზია-სახელოსნო „მიქელ ანჯელო“ მიხეილის ქუჩაზე; აქვე, ამავე ქუჩაზე, საფლავის ქვების მხატვრულად გამოფორმებელთა სახელოსნო ან-დრიოლეტი, ბ. ვილი და ა. რიცი; ქუდების ცნობილი სამკერვალო სახელოსნო ი. ფელდმანის, სამკერვალო ფირმა „დიურან“...

სამწუხაოოდ, ზემოთ დასახელებული სასტუმროებიდან და რესტორნებიდან დღეს თითქმის არცერთი აღარ მოქმედებს. ზოგი ქალაქის რეკონსტრუქციის შეეწირა, ზოგიც სხვა უწყების დაწესებულებებმა დაიკავა.

გოლოვინის გამზირზე, თეატრალური საზოგადოების შენობა-ში (დღეს აქ რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრია მოთავსებული) იყო რესტორანი „ანონნა“ (შენობის ზედა ვესტიბიულში); ქვედა ვესტიბიული კი უფრო მოგვიანებით, დათმობილი ჰქონდა რესტორან „ქიმერიონის“, სადაც იყრიბებოდნენ ქართველი მწერლები, პოეტები და საზოგადო მოღვაწენი: გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, კოლაუ ნადირაძე და მრავალი სხვანი.

„ქიმერიონის“ კედლები მოხატული იყო მხატვარ ლადო გუდაშვილის, კირილე ზდანევიჩის და ზიგმუნდ ვალიშევსკის მიერ. რა მოხდა შემდეგ? მოხდა ის, რომ „ქიმერიონი“ დაიხურა, მისი კედლები კი დაიფარა. სულ ცოტა წნის წინ კი ასეთივე ბედი ეწია ქალაქის ერთ-ერთ უძველეს სასტუმრო-რესტორანს „ინტურისტს“. მისი შენობა დაიკავა საქართველოს მხატვართა ქავშირის გამგეობამ.

სავალილო ბედი ეწია გრიბოედოვის სახელობის დრამატული სახელმწიფო თეატრის შენობასაც, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ადგილსამყოფელი

იყო (აქვე იყო ქართული თეატრი — კლუბი). აქ ათეული წლების განძილზე გაისმოდა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწეების: ილიას, აკაკის, ივანე მაჩაბლის ხმა, ამ დარბაზის კათედრიდან წყდებოდა ქართველი ერის ბევრი საქეთილდღეო საქითხი, რომელმაც დღევანდლამდე მოგვარანინა თავი... და ეს ისტორიული, მემორიალური სახლი, XIX საუკუნის მეორე ნახევრის მშვენიერი ხუროთმოძღვრული ძეგლი აიღეს და დაანგრიეს, რათა თეატრისათვის ახალი შენობა აეგოთ...

მახსენდება ერთი ასეთი ფაქტი: იტალიაში, ქალაქ რომის ერთ-ერთ კაფეში, მრავალ მაგიდას შორის მდგარ ერთ მაგიდასთან კედელზე გაკრულია სპილენძის თუ ბრინჯაოს დაუა, სადაც წერია, რომ აქ, ამ მაგიდასთან, ამა და ამ წელს საღილობდა რუსი მწერალი ანტონ ჩეხოვი. ვთქვიქობთ, ყველაფერი ნათელია!

თუ ძველი თბილისის დაბალი ფენა ძირითადად ორთაჭალისა და კრწანისის ბალებში ერთობოდა, ქალაქის სოციალურად მაღალი ფენის წარმომადგენლები დროს ალექსანდრეს (დღევანდელი კომუნარების) და „მუშტაიდის“ ბალში ატარებდნენ. აქ უქმედლებში უკრავდა სასულე ორკესტრი, ეწყობოდა საცირკო ატრაქციონები.

ალექსანდრეს ბალის ადგილზე ძველად საასპარეზო ყაბახი იყო, XIX საუკუნეში კი იგი ქართველი მოწინავე საზოგადოების ერთ-ერთ საყვარელ სასეირნო ადგილად ითვლებოდა. ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ბიძას, რუსეთში მყოფ გრიგოლ ორბელიანს 1837 წლის თებერვალში წერს წერილს, რომელშიც სევდიანად აღწერს ყაბახზე გატარებულ ზაფხულის ერთ-ერთ ღამეს: „ამ წარსულ ზაფხულში, ერთს მშვენიერს მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დაეიარებოდი, სადაც მისმან შვენებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმან უწინდელებრ კიდევ დარღიმანდობამ სრულიად განატებეს სახედველი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმილეს გონება! კოჭრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერწმუნებით, თქვენ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა: „განცეცლებულთა ღვინისაგან შუბლთა კოჭრის ნიავი განვეიგრილებდეს“ და მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ღამეს უთუოდ აღვწერ და გაუგზავნი ძია გრიგორის მეთქი, და კიდეც აღვასრულე; მით უფრო ჩქარად, რომ ერთმა საგანმა პირველ ღამასო გულს კაეშანი.

შენი არს ყაბახი, ძიავ, შენ გიყვარს იგი, და ამისათვის მამულ
წარმოებული შემთხვევაც შენ მოგეძლვნის; — აი:

ეროვნული
სიმღერები

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,
წაგართო ა ვის ე ნისა გესლმან;
სატრფონი მისი შემოგარენი
გარ და ხვე წილსა დაგიხშო ეტლმან!
მაგრამ გაჩნს კიდეც გულში მის არე;
გიყვარს ყაბახის კარგიც და ავი,
თუმც უცხო და შორს თემად იარე,
მრავალი კარგი პნახე ამბავი.
მაგრამ ჩას მხედავს აწ კრული ჩრდილოს?
აქა, ის ლამე, ოდეს სატრფონი
ალამაზებდნენ შენს ყაბახს ამოს,
შენის სიყრმისა თანხრდილნი, სწორნი!

როგორც ბევრი რამ, „ყაბახიც“ ქამთასვლის „მსხვერპლი“ შეიქნა. მანაც დაყარგა პირვანდელი დანიშნულება და სასეირნო დადასასვენებელ ადგილადღა დარჩა.

1859 წელს მეფისნაცვალ ბარიატინსკის თაოსნობით „ყაბახის“ ადგილას გააშენეს დასასვენებელი ბალი, რომელსაც რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მეორის პატივსაცემად „ალექსანდრეს ბალი“ უწოდეს. ამიერიდან აქ მხოლოდ რუსული და ევროპული მუსიკის ჰანგები ისმოდა. ჩამოსული აკრობატები აქვე საცირკო ნომრებსაც უჩენებდნენ.

გარეთუბანს გაეხვდე,
სადღა არის ქოხმაზი,
პალატები დაუდგამთ
უცნაური, ახმაზი;
ენახე ყველა დიდეკობს,
ვისაც ედგა თაბაზი;
ფაიტონით შემომხდა
კარაპეტა დაბალი,
მე ჩალა გარ თავადი?
ცარიელი ტრაბაზი.
დაბლა გადავიხვდე,
სადღა არის ყაბაზი;
საეარჯიშო ცხენისა,
აქ ბალი სჩანს ლამაზი,
აქაური თემისა, —

წერდა რაფიელ ერისთავი.

ალექსანდრეს ბაღს ორ, დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილად ყოფდა ლორის მელიქოვის (დლეგანდელი კეცხველის) ქუჩა. ზემო, დასავლეთ ნაწილში იდგა საისტორიო-სამხედრო მუზეუმი; ე.წ. „დიდების ტაძარი“ (დღეს აქ სამხატვრო გალერეა), რომელიც აშენდა 1885 წელს, კავკასიაში მეფის რუსეთის ბრძოლების ბრწყინვალედ დასრულებასთან დაკავშირებით. „დიდების ტაძარში“ ექსპონირებული იყო ჩრდილოეთ კავკასიაში ბრძოლების დროს რუსეთის ჯარის სამხედრო ნადავლი, ალაფი და ბატალისტი მხატვრის რუბოს დიდი ფერწერული ტილოები. მუზეუმის შესასვლელთან, ორივე მხატვრის იდგა ნაალაფევი ბრინჯაოს ზარბაზნები.

ალექსანდრეს ბაღის (საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ ბაღს ბაქოს 26 კომისრის თავდადების უკვდავსაყოფად „კომუნარების“ სახელი ეწოდა) ქვემო, აღმოსავლეთ ნაწილში იდგა წმ. ნიკოლოზის ეკლესია, ხოლო ცოტა ქვემოთ, თითქმის ბაღის შესასვლელთან, მაღათოვის ქუჩაზე (ახლანდელი ათონელისა) იდგა ალექსანდრე ნეველის სახელობაზე აგებული პატარა დროებითი სამლოცველო.


ახალი, ცივილიზებული ქალაქი თანდათან იზრდებოდა და სახეს იცვლიდა.

ახალ კუკიაში, მიხეილის გამზირის ბოლოს, XIX საუკუნის 40—50-იან წლებში გაშენდა მშვენიერი ბაღი, ე.წ. „მუშტაილი ბაღი“.

XIX საუკუნის ძველ კუკიასა და დიდუბეს შორის მდებარე ტერიტორიის (ესაა დაახლოებით ახლანდელ მარჯანიშვილისა და ტელმანის ქუჩებს შორის მოთავსებული ტერიტორია) გერმანელთა კოლონია ეწოდებოდა, რომელიც თითქმის მთლიანად მწვანეში იყო ჩაფლული. ჩევეული თბილისური ცხელი ზაფხულის დღეებში აქ, უზარმაზარი ცერენვის, ჩინარისა თუ აყაციის ხეების ჩეროებში საამოდ გრილოდა. გერმანელთა კოლონიაში იდგა სასტუმრო და რესტორანი „ვეტერიანი“. აქვე იყო გერმანელთა კლუბი. გასცდებოდით გერმანელთა კოლონიის და მოხვდებოდით „კრუუფოქში“. ეს იყო რაღაც საზაფხულო თავშესაყარი აღგილი, სადაც იმართებოდა საქმიანი შეხვედრები და პარტიები, დაუსრულებლად ისმოდა საცეკვაო მუსიკის ხმა.

XIX—XX სს. ქალაქის საზოგადოებრივ ბაღად ითვლებოდა

„მუშტაიდის ბალი“, ძველ თბილისელთა „ბულონის ტყე“. ღრუის სატარებლად, გასართობად აქეთ მოეშურებოდნენ ქვეითად თუ ეტლით, ცხენის რეინიგზით — „კონკით“. აქ, ამ ბაღში ყოველთვის საზეიმო განწყობილება სუფევდა. გასული საუკუნის ერთი მოგზაური ასე აღწერს „მუშტაიდის ბალს“: „გისაოცარია, — თუ ათგან უყვართ ქართველებს გართობა და დასვენება. გაივლით გერმანელ-



მუშტაიდის ბალი

თა დასახლებას, მიემართებით მუშტაიდისაკენ, ყოველ ნაბიჭე გხვდებათ სხვადასხვა კლუბი — შესაკრები, სათავყრილობო ადგილი. ხალხმრავლობაა, ყოველმხრიდან ისმის მუსიკის და სიმღერის ხმა, სვამენ ღვინოს და ფანტავენ — ქარს ატანენ ფულს და მღერიან და ღრეობენ არა მდიდრები, ძლიერნი ამა ქვეყნისანი, არამედ ქალაქის მრავალათასიანი მუშა-ხელოსანი, ვაჭარი... მათთან შეხვედრისას თქვენ შეიძლება ისინი განსაჭოთ, გაკიცხოთ კიდეც, მაგრამ ეს განსჯი კი არა, უფრო კეთილი „შურია“. „გშურთ“ მათი ბედ-

ნიერება, უშუალობა, ეროვნული ხასიათი, რომელიც გამოიხატება თვითდაჯერებით, სიცოცხლით, დარდიმანღობით...“.

ბალს სახელი ეწოდა სპარსეთის უმაღლესი სასულიერო პირის; მუჭთაპედ-აღა მირ ფეთაძის გამო. ეს იყო შეილი ცნობილი ადამიანისა. ირან-რუსეთის ომის დროს (1829—1830 წწ.), როცა ირანმა კაპიტულაცია გამოაცხადა და დაიდო ზავი, მუჭთაპედი იძუ-



ბორანი მტკეარზე

ლებული გახდა, სამშობლო დაეტოვებინა და თბილისში გადმოსახლებულიყო, როგორც პოლიტიკური ემიგრანტი. თბილისში მას საცხოვრებელი ადგილი გამოუყვეს ახალ კუკიძი, მიხეილის გამზირის ბოლოში. არსებობს გადმოცემა, რომ მუჭთაპედს გარდაცვლია სილამაზით განთქმული ცოლი, რომელიც მას იქვე, თავისი

სახლის ეზოში დაუკრძალავს. შემდეგ მეუღლის პატივსაცემა
მშვენიერი ბალიც გაუშენებია.

XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე მუშტაილის ჭალი, ობილის ელ-
მა მოქალაქემ გორგიგანიძემ შეისყიდა ხაზინისაგან. და ის შემ-
დეგ ხშირად მუშტაილის გარდა გორგიგანიძის, ანდა გორგიგანოვის
ბალსაც უწოდებდნენ.

მაშინდელი პრესის ფურცლებზე ხშირად წაიკითხავდით ასეთ
განცხადებას:

„დირექტორ მ. ა. გორგიგანოვისა
მიხეილის პრ., მუშტაილის ბალის შესასვლელთან, ტელეფ. № 152

გალი და თაათრი გორგიგანოვისა
ყოველდღე „ვარიეტე“

საზღვარგარეთელი და რუსი პირველი კლასის მსახიობები,
გუნდის და კაპელას რუსული დიდი ქორი.

საღამოს განმავლობაში სრულდება დაახლოებით 75 ნომერი.
საღამოს 9 საათიდან საკონცერტო სიმებიანი ორკესტრი.
„ვარიეტეს“ დასაწყისი ზუსტად 10 საათზე.

პირველი კლასის სამზარეულო. ბრწყინვალე ბუფეტი, რო-
ტონდა, კაბინეტი.

მუშტაილის გალი

იღდგომის მეორე დღიდან პირველ ოქტომბრამდე, ყოველდღე
საღამოს 6 საათიდან ღამის 12 საათამდე, დაუკრძალს ქალთა
სიმებიანი ორკესტრი.

პირველი კლასის ბუფეტი, რუსული და საზღვარგარეთული
სამზელებით.

აზიური და ევროპული სამზარეულო, გამოცდილი კულინარის
მეთვალყურეობით.

ღია სცენა.
ფასები ზომიერი
შესვლა უფასო.“

მუშტაილის ბალში მოთავსებული იყო მეაბრეშუმეობის სადგუ-
რი, მის ბაზაზე აქ გამოჰყავდათ აბრეშუმის ჭია. მუშტაილის მეაბრე-

1. გუმბათიანი მრგვალი ნაგებობა, ბავილონი, ფანჩატური.

შუმეობის სადგური თავისი მოწყობილობით და სიდიდით ერთადერთი იყო მთელ მაშინდელ რუსეთის იმპერიაში. სამწუხაროდ, მეაბრე შუმეობის სადგურის მოწყობის დროს გაიჩეხა საუკუნოვანი ფორმულოვანი ტყე. აქვე იყო აბრეშუმის სართავი ლაბორატორიაც, მეფირინველეობის სადგური და სხვ.

1903—1904 წლებში კერძო პირების მიერ თბილისში იხსნება



დიდუბის ეკლესია

მთელს კავკასიაში პირველი კინო-თეატრები: „ელიოსკოპი“, „სინემა“, „ელექტროპროექტორი“, „ილუზიონი“...

„ილუზიონი“ დაუარსებია ოდესიდან თბილისში ჩამოსულ სოფია ივანიცკიას, რომელმაც ჭერ ჩვენს ქალაქში, ხოლო შემდეგ თითქმის მთელს კავკასიაში დააარსა კინოთეატრები.


სოფიო ივანიცეაის კინოთეატრების ფართო ქსელი შეუქმნას თბილისში: „ილუზიონი“ — მიხეილის გამზირზე, ვეტერელის სახლში; „პატეოგრაფი“ — ახლანდელ ლესია უკრაინკას ქუჩაზე; „კოდერნი“ — მიხეილის გამზირზე (არტოს ბაღში); „პრიმავერანტიფი“ — ვოლოვინის გამზირზე, ძველი ცირკის პირდაპირ, შემდეგ იგი გადაიტანეს მუშტაიდის ბაღში მოწყობილ ე.წ. „ლესნოი დომში“.

მოგვიანებით მთელ გადაღებებს ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი კინოპერატორი დილმელოვი, ძირითადად მის საქმიანობას შეადგენდა დოკუმენტურ-ქრონიკალური ფილმების შექმნა-გადაღება.

ამ დროს გადაღებულმა რამდენიმე დოკუმენტურ-ქრონიკალურ-მა ფილმმა ფრაგმენტების სახით ჩვენამდეც მოაღწია. ისინი საინტერესო მასალას იძლევიან XX საუკუნის თბილისის ზოგიერთი კუთხის ისტორიისათვის. ასეთებია: თბილისის სახელმწიფო ბანკის გახსნა-კურთხევა 1910 წელს (დღევანდელი ფინანსთა სამინისტროს შენობა); მუხრანის ხიდის გახსნის ცერემონიალი 1911 წლის 24 აპრილს.

1 ახლანდელი გაზეთ „ზარია ვოსტკიას“ რედაქციის ადგილზე XIX ს. დასასრულს და XX საუკუნის 10-იან წლებში ცირკი პეონდათ ძმებ ნიკიტინებს.

ზრები, ცხვირი, ჯორი და...



ველი თბილისის საქალაქო ტრანსპორტი, როგორც უკვე ვთქვით, იყო ურემი, ცხენი და ჭორი. და აი, გასული საუკუნის დასაწყისში ქალაქის ქუჩებში პირველად გამოჩნდა ევროპული ტრანსპორტი „კარეტა“, რომელიც მეფის რუსეთის კარზე წარგზავნილ ქართლ-კახეთის სამეფოს ელჩს გარსევან ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა. 20-იან წლებში კი თბილისის ქუჩები აახმაურა „კალიასქამ“ — ეტლმა, რომელიც გენერალ სიბიაგინს ეკუთვნოდა.

„კალიასქა“ პირველად გადაუხურავი იყო და ერთი ცხენი ებმოდა. შემდეგ, ცოტა მოგვიანებით, ეტლს ტყავის სახურავი გაუკეთეს, ბორბლებს კი რქინის სალტეებზე ჩატარი გადააკრეს.

თბილისში გამოჩნდა სამგზავრო ფაიტონებიც.

1883 წელს თბილისში პირველად ამუშავდა ცხენის რქინიგზა — „კონკა“. იგი მიხეილის გამზირზე დადიოდა — მუშტაიდის ბალიდან ეორონცოვის მოედნამდე. ხაზის სიგრძე დაახლოებით ორ-ნახევარი კილომეტრი იყო. შემდეგ კონკის ხაზი გააგრძელეს. იგი გადაიკეთებული და მიხეილის ხიდს და პუშკინის ქუჩით მოედნამდე აღიოდა. შემდეგ და შემდეგ „კონკამ“ გაიარა სასახლისა და გოლოვინის ქუჩები. იგი ვერის დაღმართზე ჩამოვლით მიხეილის გამზირს უერთდებოდა კირიჩნთან, დღევანდელ მარჯანიშვილის მოედანთან.

„კონკა“ ღია ვაგონი იყო, რომელიც ერთი ხაზით მოძრაობდა. მისი სკამების საზურგები მოძრავი იყო და საითაც წავიდოდა „კონკა“, სკამის საზურგესაც იქით მიაბრუნებდნენ. „კონკის“ გაჩერება აღმართზე და დაღმართზე აკრძალული იყო. ტრანსპორტი ჩერდებოდა ზარის დარეკვით, რომელიც კონდუქტორს — ბილეთების გამყიდველს ეკავა. აღმართზე „კონკას“ დამატებით კიდევ ორ ცხენს

უბამდნენ. საფეხურზე მდგომი ქონდუქტორი „კონკის“ ხან ერთი და ხან შეორე მხრიდან ყიდდა ბილეთებს.

XIX—XX საუკუნეების ქალაქის ტრანსპორტს განეკუთვნებოდა მდინარე მტკვარზე მოქმედი ტივი, ნავი და ბორანი. ამთვან ბორანი, ქალაქში ხიდების მშენებლობასთან დაკავშირებით, სულ უფრო და უფრო სცილდებოდა ქალაქის ფარგლებს. ყველაზე ბოლოს ქა-




სასტუმრო „ლონდონი“ (მარჯვნივ) და „გრანდ-ორტელი“ (მარცხნივ) ნიკოლოზის ხიდთან. შეაში მოჩანს სამლოცველო ალექსანდრეს ბაღის შესასვლელთან. ლაქში დიდების ბორანი გაუქმდა ახალი ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით.

XIX საუკუნის 90-იან წლებში თბილისის საქალაქო ტრანსპორტს შეემატა ველოსიპედიც. სახედარზე ამხედრებულ მემაწვნესათუ მენახშირეს უცბად გვერდით ჩაუქროლებდა ველოსიპედზე შემომჯდარი, სერთუქში გამოწყობილი ჩინოვნიკი თუ გიმაზიელი...

ძველ თბილისში სულ უფრო და უფრო მტკიცედ იქიდებდა ფეხს „ევროპა“. ველოსიპედს მალე ავტომობილიც შეემატა, ხოლო 1908 წელს თბილისში უკვე არსებობდა კერძო საავტომობილო საზოგადოება.

1905 წელს მთაწმინდის გორაზე ამოქმედდა ფუნიკულიორი, ზაფხულის ცხელ დღეებში ლია ვაგონებს ქალაქელები აპუავდა მთაწმინდაზე მდგარი ეკლესიის ეზოში არსებულ სასაფლაოზე — პან-თეონში, სადაც განისვენებდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწენი, პოეტები და მწერლები.

მთაწმინდის პლატოდან „ორსახოვანი“ თბილისის კონტრასტები



კონკა სასახლის ქუჩაზე

უფრო თვეოლსაჩინო იყო. აი, თხუთმეტსაუკუნოვანი ქალაქის დამცველი ნარიყალის ციხე, ქალაქის შუაგულში გაწოლილი მტკვარი, მეტეხის ეკლესიასთან გადებული „ეირისა“ და აელაბრის ხიდები. ხიდის ერთ თავში ქრისტეს რწყლისათვის წამებული იბოს ქვაბულია, მეორე მხარეს კი მაჭმადიანობის სიმბოლო — შაპ-ისმაილის დროინდელი მეჩეთი დგას მინარეთით.

საპარიკმახმროები. „პარიკი“



ხალი თბილისი არამარტო გარეგნულად — ხუროთმოძღვრული ნაგებობებით ემსგავსებოდა ეკონომულ ქალაქებს; ქალაქებები სხვა მხრივაც ყდოლობდნენ, არ ჩამორჩენოდნენ ახალ ცხოვრებას.

ურემმა გზა დაუთმო ტარანტასს — გრძელ, ოთხთვლიან სამგზავრო ეტლს, ძველი სკიფრები ჩემოდნებმა და ტყავის ჩანთებმა (იყიდებოდა რ. ბ. ლაბერმანის მაღაზიაში, ერევნის მოედანზე) შეცვალა; ქართველი ქალები, მამაკაცთა „თვალის მოსატყუებლად“, ტანს იყენებდნენ და კორსეტს იცვამდნენ (იყიდებოდა ბ. ზუხნერის მაღაზიაში, გოლოვინის გამზირზე), ლეჩაქი შლიაპაშ შეცვალა, ქოშები — ბაშმაკებმა.

ეროვნულ ტანსაცმელს თანდათან ევროპული ცვლიდა. გრიგოლ თრბელიანი ერთ-ერთ თავის წერილში იკონებდა: „მახსოვს, ერთხელ ივანე მალხაზიჩის (ანდრონიკოვის) დედასთან, მარიამთან შევედი და ბატონიშვილი დიდად გაჯავრებული დამხვდა. — რაო, ბატონიშვილო, რამ გაგაჯავრა ასე, ვინ რა გაწყენინა?“

— როგორ რამ გამაჯავრა. უი, სირცევილო! შვილო, გაგონილა? თთარის ცოლსა ქოშები გაუხდია და ბაშმაკები ჩაუცვამს.

— მერე, ბატონო, რაო, რომ ბაშმაკები ჩაუცვამს.

— ის, შვილო, რომ დღეს რომ ქოშები გაიხადა, ხვალ სხესაც გაიხდის.“

ქალებს არც კაცები ჩამორჩებოდნენ სიკოხტავეში და „მოდურად“ იცვამდნენ. მოუშვეს ბაკენბარდები. ჩოხა-ახალუხს ქალაქის არისტოკრატია აღარ იცვამდა. იგი თბილისის ხელოსნის, წერილ ვაჭართა, „პროვინციელთა“ ტანსაცმელადღა დარჩა.

„ივანე სარდალმა თრბელიანმა ნიშნად ერთგულებისა რუსე-

თისადმი მოიპარსა წვერი და მრავალთა თავადიშვილთა მოაპარსეინა
წვერი თავისთანავე. ასე რომ, ტომრები ბალნით გატენილი გადა-
ყარეს მტკვარში” (გრ. ორბელიანი).

ძველი ყაიდისა და ადათის მიმდევარი მამაკაცები კი ჭერილები
შუაბაზარში, აქაურ „სადალაქოში“ — იპარსავდნენ წვერს.

შუა ბაზარში არა მარტო სავაჭრო აღვილი, „ლია ვერანდაც“
იყო, სადაც სხვადასხვა სააღებმიმცემო და ხელოსნურ საქმიანო-
ბასთან ერთად შეგეძლოთ გენახათ, როგორ იღვა პირდაპირ ქუჩაში,




ბზის მოედანი

ყოველგვარი საჩრდილობელის გარეშე, ბასრ სამართებელმომარ-
ჯვებული სპარსი დალაქი მუშტრის მოლოდინში. აი, მოშორებით
მეორე დალაქი უკვე უშოვნია მუშტარი, დაუსვამს ლია ცის ქვეშ
მოწყობილ საპარიკმახეროში, გულწე პატარა წინსაფარი აუფარებია
6. თ. ბერიძე

და წვერს პარსაცს მავან ქართველ „ფრანტს“. იქვე სხვა დალაშის ინით
ფრჩხილებშელებილი მუსულმანი წამოუსკუპებია სკამზე და თავი
სამართებლით ისე პირწმინდად მოუპარსია, რომ მზეზე ლაპლაპი
გააქვს.

დალაქები დროს არ კარგავდნენ — თან მუშაობდნენ და თან
ბაზარში გაგონილ ახალ-ახალ ჭორსა თუ მართალს პყვებოდნენ.

პორტ — სალაფებო



ნობილია, რომ ძველ თბილისში (XVIII ს.) არც ბეჭდური და არც ხელნაწერი გაზეთი არ გამოღიოდა. ახალი ამბის გაგება და გავრცელება ხდებოდა ე. წ. „მოლაყბის“ — მართალი თუ მონაცონი ამბის მცირე პირთა საშუალებით.

ახალი ამბის გაგება შეიძლებოდა სიონის უბანში, სიონის ტაძარსა და ანხილებატის ეკლესიას შორის მდგარი ქართლის მეფის სასახლის წინ, ე. წ. მეფის (ბატონის) მოედანზე (დღეს ერეკლე მეორის სახელობის მოედანი). ამ მოედანზე ახალი ამბის მოლოდინში ყოველდღე იქრიბებოდნენ არა მარტო ცნობისმოყვარე ქალაქელები, არამედ შორი გზიდან მოსულებიც. აქ გაიგონებდით თურქეთის ხონთქრისა თუ ირანის შაპის, რომის პაპისა თუ რუსეთის ხელმწიფის, შორეული ინდოეთიდან დიდი ქარავნის მოსვლისა და სხვა ამისთანა ამბებს.

1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, დამპყრობელმა დაანგრია და გაძარცვა მეფის სასახლე.

მეფე ერეკლე ისე გარდაიცვალა (1798 წ.), რომ სასახლის აღდგენა ვერ მოასწრო. სასახლის აღდგენა ვერც მისმა მემკვიდრემ გიორგი XII შეძლო. მას ამისათვის არც დრო ჰქონდა და არც სახსრები. მეფე გიორგი XII ამავე მოედანზე მდგარი მეფე სიმონის სასახლეში ცხოვრობდა (ახლა აქ თეატრის ისტორიის მუზეუმია მოთავსებული), სადაც 1801 წლის დამლევს გარდაიცვალა კიდეც.

და აი, ქართლ-კახეთის მეფის სასახლის ადგილზე იგო შენობა, სადაც ცხოვრობდა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორი. ამის გამო ამიერიდან მეფის მოედანს გუბერნატორის მოედანი შეერქვა. 1812 წელს ოხუთმეტსაუკუნვანი მართლმადიდებლური ქარ-

თული ეკლესია კარგავს ავტოკეფალიას, დამოუკიდებულობას და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მაგივრად ქართულ ეკლესიას მღვდელმთავრად უნიშნავენ ეგზარქოსს. ეგზარქოსის სინოდალური კანტორა და მისი უწმინდესობის ადგილსამყოფელი აშენდა სამოქალაქო გუბერნატორის მიერ მიტოვებული რეზიდენციის ადგილას. ამრიგად, გუბერნატორის მოედანს სახელი გადაერქვა და ეგზარქოსის სახელი დაერქვა. მიუხედავად იმისა, რომ მოედანი სახელს იცვლიდა, იქ არსებული ტრადიცია მაინც გრძელდებოდა. ახალი ამბის მოყვარულნი ისევ აქ იკრიბებოდნენ, კამათობდნენ და „ლაყბობდნენ“. ამიტომაც უწოდებდნენ ამ მოედანს „სალაყბოს“.

XIX საუკუნიდან თბილიშა განაშენიანება ძირითადად ჩრდილოეთის მიმართულებით დაიწყო და სულ მალე თითქმის მთელი გარეთუბანი „ახალმა თბილისმა“ აითვისა, „დაიპყრო“.

ქალაქის ჩრდილოეთ ზღუდეში დატანებული „კოურის“ კარის წინ, ივანაანთ ხევის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე, ცარიელი აღგილი ბაზრის მოედანს ჰქონდა დათმობილი. ამ მოედანზე იყიდებოდა შეშა და თივა.


როგორც უკვე ვიცით, 1827 წელს, გენერალ პასკევიჩის მიერ ერევნის ციხესიმაგრის აღებასთან დაკავშირებით (ერევნის სამხედრო ოპერაციის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე იყო ივანე ბაგრატიონი, ძმა ცნობილი მხედართმთავრის პეტრე ბაგრატიონისა) გარეთუბნის ბაზრის მოედანს ერევნის სახელი ეწოდა.

აი, აქ, ძეველი ქალაქის მეორე მოედანზეც იკრიბებოდნენ ახალი ამბის მოყვარულნი. მათ „ამბავისტებს“ ეძახდნენ. შუა მოედანზე დაყრილ დიდ ხის მორებზე უყვარდათ ჩამოსხდომა „კორის“ მოყვარულებს.

XIX საუკუნის მეორე მეოთხედში ჩვენში ჩამოსული ერთ-ერთი უცხოელი აგვიწერს თბილისა და მის მცხოვრებთა წეს-ჩვევებს, ქალაქურ ადათებს. მისი თქმით, ძეველი თბილისელები მეტისმეტად ცნობისმოყვარენი, ახალი ამბების მოყვარულნი ყოფილან. ორი ქართველი შეხვედრისთანავე ერთმანეთს ასე ეკითხება: „რა ამბავია?“, სომეხი — „ინჩ ხაბარ?“, ხოლო მუსულმანი — „ნა ხაბარ?“-ო.

ანეგდოტიამდე მიდიოდა აქაურ „ამბავისტთა“ საქმიანობა. ერთხელ თურმე ერთი ჩინოვნიკი სამსახურში დანაპირებ ადგილს

ელოდებოდა, მაგრამ ზუსტად არ იცოდა, როდის დაწინაურებდნენ, ამიტომ ძალიან ღელავდა. ერთხელ ის ქუჩაში ნაცნობს შეხვედრია, თავისი გასაჭირი შეუჩივლია, ნაცნობს ურჩევია, ბაზრის შოედანზე გაეგზავნა ვინმე ნდობით აღკურვილი პირი ამბის გასავებად! ჩერ-ნოვნიკი ასეც მოქცეულა. ეს კაცი საღამოთი მისულა ამ ჩინო-



ლფინის აღმართი და ბზის მოედანი

ვნიკთან და მოედანზე მოსმენილი ახალი ამბავი მოუხსენებია: მავან-სა და მავანს ამა და ამ ადგილზე ნიშნავენო. მეორე დღეს ჩინოვნიკი მართლაც მიუღიათ სამსახურში.

ასევე, მოედანზე თურმე ხუთი თვით აღრე ლაპარაკობდნენ ქავებასის მთავარმართებელ გოლოვინის ნაცვლად გენერალ ნეიდ-გარდტის დანიშვნის შესახებ.

ახალი ამბის — „ჭორის“ — გაგება მარტო მოედნებზე როდი ხდებოდა. კარგი „ჭორის“ მოსმენა შეიძლებოდა ახალი თბილისის ევროპულ ყაიდაზე მოწყობილ საპარიკმახეროებში, მაღაზიებში, სა-

დაც ხშირად მიღი-მოდიოდნენ თბილისის მაღალი ფენის წარმო-
მომადგენლები.

ერთ-ერთ ასეთ ადგილად ითვლებოდა თბილისელი კომუნისან-
ტის საფაროვის მაღაზია; გრიგოლ ორბელიანი ტიმჩურა. ჭორვილ-
სადმი მიწერილ წერილში (1858 — 11. VIII) ამბობს: „ნაპოლეო-
ნის თავის მოკვეთა საფაროვის მაღაზიაში პირველად ითქვა და იქი-
დან სვიმონს (სვიმონ შალიკაშვილი, თ. ბ.) ახარეს“. ლაპარაკია ნა-
პოლეონ მესამეზე (1868—1873), რაც, ცხადია, სინამდვილეს მოქ-
ლებულია.



საქართველო
მინისტრის
თბილისში გაზარი



ვიღ თბილისში რამდენიმე ბაზარი იყო.

თათრის მოედანზე იყიდებოდა: ხილი, წერილ-ფეხია და მსხვილფეხია საქონელი, ტანსაცმელი, აღ-ჭურვილობა...

სარდარ-აბასის მოედანზე — ხილი, ხორბალი,

ქერი, შერია...

ავლაბრის მოედანზე — ხილი და სხვადასხვა პროდუქტი.

რიყეზე ყიდდნენ ცხენებს, თევზს, მარილს.

გარეთუბანში, ერევნის მოედანზე, იყიდებოდა შეშა, თივა.

რუსის ბაზარზე (სალდათის ბაზარი), დღევანდელი კოლმეურნეობის ბაზრის სიახლოეს — ჯარისკაცების ძელმანები, ფარავა, ჩექმები, აგრეთვე ძელი ჯვეფი. ამიტომაც ერქვა ამ ბაზარს სალდათისა, ზოგჯერ „იარმუქასაც“ ეძახდნენ, რადგან იქ მუდმივ კი არ იყო გამართული ბაზრობა, არამედ მხოლოდ ქვირაობით (სახელწოდება ნაწარმოებია რუსული სიტყვიდან „Ярмарка“).

XX საუკუნის 10-იან წლებში, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, რუსეთის ჯარიდან გამოქცეული, დეზერტირები რეინიგზის სადგურიდან მოშორებით უჩუმრად ყიდდნენ თავიანთ ტანსაცმელს: ფარავას, ჩექმებს და სხვ. ამიტომ შეერქვა ამ ადგილს „დეზერტირის ბაზარი“ (ამეამად იქ პირველი მაისის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარია).

მაგრამ ძირითადი, მთავარი და ყველაზე კოლორიტული ბაზარი, სადაც ნათლად ჩანდა ძელი თბილისის ეგზოტიკური სახე, იყო შეა ბაზარი.

შეა ბაზარი — ძელი ქალაქის სავაჭრო ცენტრი — წარმოადგენდა ვიწრო ქუჩას, რომლის ორივე მხარეს ჩამწერილი იყო სხვადასხვა ხელობის ხელოსანთა დუქნები და სავაჭროები. შეა

ბაზრის დუქნები, ძირითადად, ერთსართულიანი შენობები იყო, რომელთა სიმაღლე 5—6 მეტრს არ აჭარბებდა. დუქნის წინა რთაში სავაჭროდ იყო გამოყენებული, უკანა კი — საქონლის საწყობად, ანდა სახელოსნოდ. თუ დუქნის ორსართულიანი იყო, მეორე სართულზე, ე. წ. ბალახანაში, ცხოვრობდა დუქნის პატრონი.

შუა ბაზარი იწყებოდა ქალაქის კედელში დატანებულ კოქრის



ქველი თბილისის ბაზარი

გართან და მიუყვებოდა ქვევით (დლევანდელი ლესელიძის ქუჩით) მეიდნამდე.

ქუჩას შუა ბაზარი ეწოდებოდა იმიტომ, რომ იგი ქველ ქალაქს ორ ნაწილად, ქვემო და ზემო უბნებად ჰყოფდა. ქვემო უბანი ეწოდებოდა შუა ბაზრის მარჯვენა მხარეს მდებარე ქალაქის ნაწილს, ზემო უბანი — შუა ბაზრის მარცხენა მხარეს მდებარე ნაწილს. ამბობენ, თურმე ქვემო უბნელი ვაჭარი ზემო უბნელ მუშტარს საქონელს არ იძლევდათ.

შუა ბაზარში მოხვედრილ უცხოელს ოცებდა აქ საგაჭროდ გა-
მოტანილი საქონლის ნაირსახეობანი და ნაირფეროვნება.

შუა ბაზარს ჩაუყვებოდით და მიადგებოდით ბაზაზებს, რომლე-
ბსაც თავიანთი დუქნის წინ გამოეტანათ სხვადასხვა ფერის, მაფი
და ზონარი; ბაზაზებანაში თვალს იტაცებდა ფარჩეული, მაუდის,
ჩითის, სელის ქსოვილები. ყაფარდუზების დუქანთან თულუხები
და მოხევეები ცხენის გავაზე გადასაფარებელ ორთუქს არჩევდნენ;
იქით ჭონებს იმდენი ქუდი გამოეკიდათ, გეონებოდათ, მოელი დუ-
ნია ხალხი უქუდოა და აქეთ მოეშურება თავსაბურავის შესაძენადო.
ჩაუვლიდით ხარასხანს და გაგაოცებდათ ოქროს და ვერცხლის ნაკე-
თობათა სინატიფე. ხელოსანს წინ დაედო ხანგლის ქარქაში და სპი-
ლოს ძვლითა და ოქრო-ვერცხლით ოთავდა; სარაჭს დუქნის წინ
ვერცხლით გაწყობილი ცხენის მოსართავები ეჭირა ხელში და მუშ-
ტრის ყურადღების მისაცემად გულმოდგინედ აქარუნებდა; ცო-
ტას აუყვებოდით და ქუქჩებთან მოხვდებოდით, რომელთაც ნაირ-
ნაირი ბეჭედული გამოეფინათ: კურდლისა, დათვისა, მელისა, წა-
ვისა... ხარაზს ხელში გასანთლული ძაფი ეჭირა და ცდილობდა, ნე-
მსში გაეყარა, იქვე კი მუშტარი იდგა და გასაყიდად გამოფენილ მა-
შიებს, ფეხსაცმელებს, წულებს ათვალიერებდა; ცოტა იქით ნალბან-
დები ცხენის და ვირის ნალებით და სხვადასხვა ზომის ლურსმნებით
გაჭრობდნენ; ჩილინდრები — კლიტებითა და გასაღებებით, მეჭურ-
ულები — სხვადასხვა ზომის კოკებითა და თეფშებით; აქვე
ნახავდით დაირისა და ჩინგურის მქეთებლებს; ალაჟებს —
მეპურეებს; ბაყლებს — ნაირნაირი თევზით (თართი, დოში,
ზუთხი, ლოქო, წელა, ხრამული); თაროები იზნიქებოდა ხიზილალას,
ბრინჯის, ერბოს სიმძიმისაგან; ყაბებს პირდაპირ ქუჩაში გამოეტა-
ნათ და უზარმაზარ ჩანგლებზე დაეკიდათ საქონლისა და ცხერის
ხორცი...

შუა ბაზრიდან შეგეძლოთ მოხვედრილიყავით ლილახანაში, სა-
დაც სალებავებით საესე სხვადასხვა ზომის ქვევრები იდგა. იქვე იყო
ბარდანებად შექრული ბამბა, ზუბუნი, საბნები... გარდა ამისა, დუქ-
ნებში იყიდებოდა ათასგვარი წერილმანი: ნამკლები, მაკრატლები,
სარკეები, ჭიქები, ნემსები, დანები და სხვა.

ბინდი ჩამოწვებოდა თუ არა, გაცხოველებული ვაჭრობაც თანდა-
თან ცხრებოდა, ყაყანი და ერიამული ნელდებოდა: დუქნებში ერთი-

შეორის მიყოლებით ინთებოდა ზეთის ფარნები და სანთლები, შეკუტავ სინათლეზე მეღუქნები მთელი დღის ნავაჭრი ფულის თვლას იწყებდნენ, შემდეგ კი სავაჭროებს კეტავდნენ და დუქწებულ დარბებით იხურებოდა.

ქალაქის ბაზრებს სურსათ-სანოვაგით ძირითადად თბილისის შემოგარენში მდებარე სოფლები ამარავებდნენ.

დილააღრიან, მზე რომ ჭერაც ამოსული არ იყო, ჩაძინებულ ქალაქს აღვიძებდა წყნეთელი, კუმისელი, ტაბახმელელი და ოქროყა-



ხალიჩების გამუიღველი

ნელი მემაწენეების ყვირილი და შეძახილები. სახედარზე გადაიდული ფერად-ფერადი ხურჯინები გამოტენილი იყო ლურჯად, მწვანედ და ყავისფრად მოჭიქული მაწვნის ქილებით.

გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე დაწნული გოდრებით შემოდიოდა ქალაქში კუმისური ცვრიანი ლელვი, სახეჩი და სახრავი ატამი, ქუჩა-ქუჩა დაპქონდათ სხვადასხვა ხილი.

მოსალამოვდებოდა და წყნეთის, ტაბახმელის და კუმისის გზა

გაიქვედებოდა „ტრანსპორტით“: ტვირთისაგან განთავისუფლებული სახედრები კუნტრუშითა და ტლინჯაობით მიუყვებოდნენ ვზას, რათა მეორე დღეს, გარიყრაჟზე, ისევ დატვირთული და თავისინდრული ხლებოდნენ ჩაძინებულ თბილის.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქის ბაზრებში თურმე ძალიან მომრავლებულან ჩარჩი-ვაჭრები, რის გამო ბაზარში სურსათი გაძირებულა. ჩარჩი-ვაჭრები თბილისში მომავალ გლეხებს დილაადრიან ქალაქის შემოსასვლელთან, ანდა თვით მეიდანზე ხვდებოდნენ და ჩამოტანილ საქონელს იაფად ყიდულობდნენ, შემდეგ კი მათ ზედმეტ ფასებში ყიდდნენ.

ამის გამო ქალაქის გამგეობაშ ბაზარში ზედამხედველი დანიშნა, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა ბაზარში არსებული



ჩარჩები და გლეხები ბაზართან.

მდგომარეობისათვის — არ უნდა დარღვეულიყო ვაჭრობის წესი, გამყიდველებს გასაყიდ საქონელზე დაწესებული ნიხრი არ უნდა დაერღვიათ და სხვა. მაგრამ, ეტყობა, ამ ლონისძიებას საქმისთვის ვერ უშველია. აი, რას წერდა გაზეთი „ივერია“ (1895 წ. № 80, 18


აპრილი) „ახალ ამბებში“: „არ იქნა, უერ აილაგმა ტფილისეულ ყალბების თავ-გასულობა. ხორცის ავ კარგობას ვინდა ჩივის, ნიხრიც აღარ არსებობს მათთვის, მრავალგან მხოლოდ ერთს ამბავს მოგანს, სენებთ, რომელიც მე თვითონ გადამხდა თავზედ: წარსულ შაბასს სალამოზედ, სალდათის ბაზარში შეველ ყასაბთან, ივაწონინე ოთხი გირვანქა ძროხის ხორცი და გირვანქაში 8-კაპ. (როგორც ნიხრია) მინდოდა მიმეცა, ყასაბმა ფული უკან გამომიბრუნა და ზედაც დაუშატა, ჩვენ 8-კაპ. ხორცი არა გვაქვსო. თუ გნებავთ გირვანქაში 9-კაპ. მოგვეციო. მე არ დავთანხმდი. ბევრი ლაპარაკის შემდეგ უკანვე გამოვბრუნდი და იქვე ერთ პოლიციელს ვსთხოვე, გამომყოლოდა ზემოსენებულ დუქანში. პოლიციელი სიხარულით დამთანხმდა და დამარიგა: „შენ დუქანში შედი, მე გარედან დავზეერავ, რამდენიც გთხოვოს გირვანქაში, მიეცი, მე უცბად შემოვალ და ფულით ხელში იმ ყასაბს მილიციაში წავიყვანო, ამგვარად თუ მოიქეცი, ფულიც უკან დაგიბრუნდება და ხორცი კიდევ მეტი იქნებაო. მე, რასაცვირველია, დავთანხმდი, შეველ დუქანში, გადაუხადე გირვანქაში 10-კაპ. (მაგირ 9-კაპ) და ველოდები, აი, ან ახლა დაეცემა მართლმსაჯულების რისხევა ამ ყასაბს ან ახლა მეთქი, მაგრამ თქვენ არ მომიკედეთ, პოლიცია არსად გამოჩეულ გარეთ, აღარც იქ არის პოლიციელი. ამგვარად, ამ ჩემმა ჭკუის დამრიგებელმა ყასაბთან ერთად მომატყუა.“

ყასაბი დარჩო ასე ჩიოდა:

„ძვირფასო მოქალაქენო!
ძროხის ბაეთ გახდა ძვირი
და ამიტომ განვიძრახე —
დლეის შემდეგ დავკლა ვირი.“

(„მათრახი“, 1914 წ., № 7)

თუ ლუხჩია გი



ველი თბილისური ყოფა-ცხოვრება წარმოუდგენელი იყო თულუხხის გარეშე.

ქალაქელები ოდითგანვე სასმელ წყალს მტკვრიდან იღებდნენ. დახრამული და ფლატე ნაპირის გამო ეს ყველგან არ ხერხდებოდა. ამიტომაც გაკეთებული იყო მდინარეზე მისასვლელი თუ ჩასასვლელი საგანგებო ბილიკები¹. წყალი დაპქონდათ ხარის ტყავისაგან საგანგებოდ შეკერილი რუმბით — თულუხით, რომელსაც ბეჭვიანი მხარე შიგნით ჰქონდა მოქცეული. მას წყლის ჩასასმელად და გადმოსასხმელად უკეთდებოდა ვიწრო ყელი. თულუხი ცხენს ან ჭორს პქონდა აყიდებული ორივე გერდზე. ცხენს, ზურგი რომ არ გახეხოდა და წყლის შეცეცისაგანაც დაცული ყოფილიყო, ბეჭვიან ტყავს უფენდნენ. ვისაც ცხენი ან ჭორი არა პყავდა, თულუხს ზურგით ატარებდა. წყალი ზურგზე მოკიდებული კოკებითაც და კისრებითაც. წყლის გამყიდველს თულუხხი ერქვა.

თულუხხები თან საწყაოსაც (ველროს) ატარებდნენ. ვედრო წყალი ვერცხლით 1—3 კაპიკი ღირდა, იმის მიხედვით, რა სიშორიდან და მტკვრის რომელი ადგილიდან იყო აღებული. თულუხი გაყიდული წყლის ფულს მუშტრისაგან კვირის თავზე ღებულობდა. ან-გარიში რომ არ არეოდა, მუშტრას ჭოხს — ლარტყას აძლევდა, რომელზეც ნაჭდევს აკეთებდა წყლის ყოველ მიტანაზე.

¹ თბილისში წყალსახიდმა, თუ წყალზე მისასვლელმა ბილიკებმა განაპირობეს ისეთი მიჯროტოპონიმების გაჩენა (ქუჩათა სახელების სახით), როგორიც იყო ჩუღურეთში წყალსაწევის ქუჩა, ხოლო ძველ გარეთუბანში — წყალსაზიდის ქუჩა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში თბილისში დაახლოებით 240 თულუხები იყო.

1851 წელს ქალაქის პოლიციის შენობის წინ (სადაც ამჟამად ქალაქის ოლმასრულებელი კომიტეტია) სოლოლაკის წყაროებიდან



თულუხები

გამოყეანილი წყალსადენის საშუალებით მოეწყო შადრევანი და აუზი (1000 ვედრო წყლის ტევადობით).

1861 წელს გენერალმა ყორელანოვმა ორთქლის მანქანით მომუშავე პირველი წყალსაქაჩი დადგა მტკვარზე, ვერის ხილის მიდამოებში, „სატიოს“ შორიახლოს. წყალსადენის სიგრძე 5,5 კმ უდრიდა.

მტკვრის წყალი რკინის მილებით ამოდიოდა გოლოვინის ქუჩაზე, შემდეგ გრიბოედოვის ქუჩასთან თეოდოსის ეკლესიასთან ახრის (ახლა ამ შენობაში საქ. კომკავშირის ისტორიის მუზეუმია მოთავსებული), რეზერვუარში გროვდებოდა და წნევის საშუალებით მოდერინდა მომხმარებელთან. ახალი წყალსაქაჩის საშუალებით ირწყვი-



თუღუსჩები ცხენებით

ბოდა ალექსანდრეს ბალიც, სადაც 1862 წელს შადრევანიც მოეწყო მშენიერი აუზით (24 000 ვედრო წყლის ტევადობით).

ვერაზე მოწყობილი წყალსაქაჩი წლიურად მილიონ ვედრო წყალს იძლეოდა, მაგრამ ესეც ვეღარ აქმაყოფილებდა წყალზე ქალაქის მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას.

XIX ს. 80-იან წლებში ქალაქის მმართველობამ გადაწყვიტა, საკუთარი ხარჯებით მოევლო წყლის პრობლემისათვის. ახალი წყალსადენისათვის ადგილის გამონახვა დაევალა ქალაქის არქიტექტორს ოზეროვს.

დაიწყო პირველი საძიებო სამუშაოები დიდუბეში. არ გასულა დიდი ხანი, რომ გადაწყდა წყალსადენის მშენებლობა დაწყოთ ავჭალაში. ავჭალის წყალსადენის საბოლოო პროექტი შეაღვინა ინჟინერმა მასკელემ. მშენებლობის ხელმძღვანელებად დაინიშნენ ქალაქის ინჟინერები კონრადი და ოზეროვი. მშენებლობა დაიწყო 1883 წელს და დამთავრდა 1887 წლის სექტემბერში.

ქალაქისპირა სოფლების შემოერთების შემდეგ თბილისის საზღვრები სულ უფრო და უფრო იზრდება ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით. ამასთან ერთად მატულობდა ქალაქის მოსახლეობაც.

ქალაქ მაღე ველარც ავჭალის წყალსადენი აქმაყოფილებდა ქალაქს სასმელი წყლით. ავჭალის წყაროს წყლებში დაიწყეს გაფილტრული მტკვრის წყლის შერევა.

ავჭალის წყალსადენის გაფართოება-გაზრდასთან ერთად მიმდინარეობდა საძიებო სამუშაოები¹ ნატახტარისა და ბულაჩაურის წყაროების შესასწავლად. ყურადღება შეჩერდა წალკის წყალსადენის პროექტზე.

1895 წელს წალკის წყალსადენის პროექტი შეაღვინა ინჟინერმა მეცმა. შემუშავდა სამი პროექტი, მაგრამ ქალაქის მმართველობის უსახსრობის გამო არც ერთი მათგანი არ განხორციელებულა.


ქალაქის კეთილმოწყობის, მისი პავის გავანსაღების მიზნით, ახალ თბილისში XIX საუკუნის 90-იან წლებში მოეწყო საკანალიზაციო ქსელი.

მთაწმინდის კალთები, ჩუღურეთის, კუკიის, დიდუბის, ავლაბ-ბრის, ნაეთლულისა და სეიდაბადის — ხარფუხის ტერიტორიები და-სერილი იყო ხევებითა და ლრანტებით, სადაც დიდი წვიმების დროს ღვარულფად მოვარდნილი წყალი ყველაფერს ავერანებდა და რაც კი გზაში შეხვდებოდა, ყველაფერს წალეკვით ემუქრებოდა. ხშირი იყო უბედური შემთხვევებიც. „მაისის ოც და ცხრას საღამოს მეცხრე საათზე დაჭრა თფილისში საშინელმა ელვა-გრგვინვამ. წამოვი-

1. ეს მოხდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ქალაქის თავის დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით. 1892 წ. შექმნილ თბილისის წყლით მომარაგების საკითხის გაუმჯობესების კომისიაში შეტანილი იყო: ნ. ნიკოლაძე, ვ. მაჩაბელი, დ. სარაჯიშვილი, ნ. ცხევდაძე, გ. ქართველიშვილი და სხვანი.

და სეტყვა და შემდეგ დასხა კოკური წვიმა. აეჭალისა და მთაწმინდის ქუჩებზე წამოსკდნენ დიდი ხევები, რომელთაც მრავალი ზარალი პქნეს და კაცები იმსხვერპლეს.

ნავთლულის რკინის გზის სადგურის მახლობლად ხევმა მოისიარება ტაცა სათიბებიდან მონავალი ფურგუნი სამი ცხენით. ფურგუნში მსხდარან ცხრამეტი სალდათი დრაგუნის პოლკისა. ეს ფურგუნი



გოლოფინის ქუჩის მოეირწყველა

ცხენებიან-კაცებიანა ხევმა ჩაიტანა მიწის არხში და გაიტანა მტკვარში. დამხრჩვალთაგანი აქამდის მხოლოდ ერთი კაცი გაუგდია მტკვარს კიდეზე თფილისიდან ქვემოთ რვა ვერსის სიშორეზე", — წერდა გაზეთი „კვალი“ 1897 წლის № 23-ში.

ასეთი წყალდიდობანი კი უცხო არ იყო თბილისისათვის. ამიტომ გადაწყდა, როგორმე მოეგვარებინათ ქალაქის კანალიზაციის საქმე. პროექტის შედგენა დაავალეს ეკროპაში ცნობილ ინჟინერს ლინდლეის. მან 1895 წელს შეიმუშავა პროექტი, რის მიხედვითაც

საქანალიზაციო მილებისა და კოლექტორების საშუალებით მთელი სიბინძურე ქალაქგარეთ, ნავთლულის იქით გავიდოდა, ავტოტევე, წვიმისა და დამდნარი თოვლის წყალი. ქალაქი განთავისუფლდებოდა და იმ ჭუჭყისაგან, რომელიც დიდი წვიმების შემდეგ გრძელდებოდა ქუჩებსა და მოედნებზე. პროექტი მოიწონეს, მაგრამ მისი განსაზღვრელებისათვის საჭირო იყო დიდი თანხა, რის გალება (თუ გამოძინა) ქალაქის გამგეობამ ვერ მოახერხა. ასე რომ, ეს შესანიშნავი პროექტი ქალაქის გამგეობის კანცელარიის თაროებს არ გასცილებია.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ქალაქის გამგეობის წინაშე დაისკავა თბილისის ქუჩების კეთილმოწყობის, კერძოდ, მოკირწყვლის საკითხიც.

1862 წელს პირველად მოიკირწყლა მაშინდელი თბილისის ყველაზე გრძელი ქუჩა — მიხეილისა, სიგრძით 1130 საენი. იგი იწყებოდა ვორონცოვის მოედანთან და მთავრდებოდა მუშტაიძის ბაღთან. შემდეგ მოიკირწყლა ალექსანდრეს ბაღის ახლომახლო ქუჩები. ვოლოგინის — ყველაზე განიერი ქუჩა იმდროინდელ თბილისში (20 საენი) და ბარიატინსკის (ჯორჯიაშვილის). 1865 წლისათვის თბილისში უკვე 5 მოედანი და 56 ქუჩა იყო მოკირწყლული. მოსაკრწყლი იყო 6 მოედანი და 158 ქუჩა.

„შველა კარგად დაესწარით
მრავალ ახალ ფელს დილითა“



საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის ძველი
თბილისი, თავისი განუყრელი პერსონაჟებით, სხვა-
დასხვა რჯულისა თუ ეროვნების მოსახლეობით,
ადათებითა და წეს-ჩვეულებით, ღია ცის ქვეშ გაშ-
ლილ დიდ თეატრს მოგაონებდათ.

ძველი თბილისის ქუჩაბანდებში შეგეძლოთ გენახათ ყოჩების
შიდილი, მამლების ძიძგილობა, ყევნობა, მზითვის ჩეკნება, ამქა-
რთა სადღესასწაულო სვლა, ყარაჩოხელთა ქეიფი, ლოკებდაბერილი
მედუდუკეები, არღანზე მოქეიფე კინტოები, მექელეხეები, კრიფი,
ქართული ჭიდაობა, წრე-ლახტი, ჩილიკაჭოხი და კიდევ მრავალგვა-
რი სანახობა. გარდა ამისა, ქალაქელთა ყოფაში დიდი ადგილი ეკა-
ვა საეკლესიო დღესასწაულებს: „წყალკურთხევას“, „ქვირაცხოვლო-
ბას“, „მამადავითობას“, „ბარბარობას“, „თელეთობას“, „სიონობას“,
„ანჩისხატობას“ და მრავალ სხვას.

წლის პირველი დიდი დღესასწაული, რომელსაც ერთნაირად
სცემდა პატივს ყველა, განურჩევლად საზოგადოებრივი მდგომარე-
ობისა, იყო ახალი წელი, ვინაიდან ახალი წელი იყო სიკეთის, ბარა-
ქის, იმედის მომცემი წელი.

ახალი წლის დადგომამდე, რამდენიმე დღით ადრე, ოჯახის დია-
სახლისი იწყებდა სახლის საგულდაგულო დალაგება-დასუფთავებას-
ინვეტებოდა ოთახები, იბერტყებოდა ფერად-ფერადი ნოხები და
ფარდაგები; მზადდებოდა ნაირ-ნაირი პირის ჩასაკოკლოზინებელი
ტქბილეული და ნამცხვარი, და ჩაც მთავარია, გოზინაყი.

ახალი წლის წინადღეს, 31 დეკემბერს, არ იყო ოჯახი, რომელიც
გოზინაყისთვის წერილია არ ჭრიდა ნიგოზს, ინდა ნუშს. დაჭრილ

ნიგოზს კერ ცეცხლზე მოხალავდნენ, შემდეგ კი ადულებულ თაფლთან ერთად მოხარშავდნენ. ცხელი ნიგვზის ფაფას ცივი წყლით დასცელებულ საგანგებოდ დამზადებულ ფიცარზე, ანდა სინზე მოასხამდნენ და გააბრტყელებდნენ. გაციების შემდეგ ჯოზინაყს ჭრიდნენ სამკუთხედის ანდა რომბის ფორმის პატარ-პატარა ნატრებად.

ქართველის ოჯახში გოზინაყთან ერთად ამზადებდნენ ანთროპო-მორზული ფორმის ადამიანის გამოსახულების მქონე ნამცხვარს — ბასილას, რომელიც ქრისტიანულმა რელიგიამ წმინდა ვასილ დიდს დაუკავშირა! ცხვებოდა აგრეთვე სხვადასხვა ფორმის ნამცხვარი, რომელთაც ბედნიერების მოტანის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული.

ბედნიერების მომტან ნამცხვარს იყრიდნენ ქიშმიშს. ცხობის პროცესში ცომი კარგად უნდა გაფურებულიყო და აწეულიყო. ცომის დაცემა ცუდის მომასწავებელი იყო.

ახალი წლის დადგომის წინ ძველ თბილისში ისეთი თოთვების სროლა და ყიჯინა ატყდებოდა ხოლმე, რომ, თუ არა სადღესასწულოდ განათებული ქალაქი, კაცს მტრის შემოსევა ეგონებოდა.

ახალი წლის დადგომისას ოჯახის დიასახლისი ტაბლაზე დადგამდა მურაბით, ვოზინაყით, ნამცხვრებითა და ხილით სავსე სინს და ტაბლას გარშემო წმინდა სანთლებს დაუნთებდა.

გათენებისას ოჯახის უფროსი გარეთ გადიოდა და ნაკოდალი (შეშის ნაჭერი), ანდა მუგუზალი შემოქმნდა. შემდეგ მუგუზალს ბუხართან ან კერასთან მიიტანდა და ძირს დარტყმით უამრავ ნაპერ-წერალს გააყრევინებდა, თან გაიძახოდა: ამდენი ოქრო, ხორბალი, პურით და ა. შ. იღებდა ჭიბიდან ხორბალს და ოთახის ყოველ კუთხეში აბნევდა, რათა ოჯახს ბარაქი და ხორაგი არ მოკლებოდა. თაფლში ამოვლებულ პურს აქმევდა ოჯახის ყოველ წევრს, ასე ტკბილად დაბერდითო.

1 ვასილ დიდი (დაიბადა 329 წელს) კაპიდოკიის მართლმადიდებლური სკოლის წარმომადგენელი იყო, ეწეოდა ასკეტურ ცხოვრებას. ყველა კეშმარიტ მორწმუნებულ ასკეტური ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა. იმოგზაურა სიჩიაში, პალე-ტიბაში, ევეპტეში; იყო მშობლიური ქალაქის კესრიის არქიეპისკოპოსი, გარდა იცვალა იმვე 378 წ. 49 წლის ასაკში; ავტორია მრავალი წიგნისა — ასკეტური ტრაქტატებისა, ფსალმუნებისა და მრავალი სხვ.

წმინდა ვასილის დღე იდლესასწავლებოდა 1 იანვარს, იესო ქრისტეს ებრაული წინადაცევის წესით მონათელის დღეს.

ახალი წლის ცერემონიალში დიდი ადგილი ეკავა ოჯახის შეკმარება, რომლის „ფეხზეც“ დამოკიდებული იყო ოჯახის ბეჭნიერება თუ უბედურება. როგორც წესი, ოჯახი წინასწარ ირჩევდა სასურველ მექვლეს. მექვლე არჩეულ ოჯახში აღრე უნდა მისულიყო, რომ მისთვის სხვას არ დაესწრო. ზღურბლს გადააბიჯებდა ტუ არა, უნდა წარმოეთქვა:

შემოედგი ფეხი,
გწყალობდეთ ლშერთი,
ფეხი ჩემი
კვალი ანგელოზისა,


შემდეგ გადაკოცნიდა ოჯახის ყველა წევრს, ტკბილის მიწოდებით დააბერებდა და ასე შემდეგ. მთელი დღე ქალაქში დუდუკის, ზურნის და არლის ხმა ისმოდა.

ამ, როგორ ილოცებოდა ერთ ხალხურ ლექსში მექვლე:

ხელში ორ ჭიქას ავიღებ,
ვილოცებოდე ლვინითა,
ცყვლა კარგად დაესწარით
მრავალ ახალ წელს დილითა.
ნათლიმაშა თან მოგდევდეს,
თაული მოპქონდეს ქილითა,
ხურჭინი საესე მოპქონდეს
ჩურჩხელითა და ხილითა.
დილითვე არაყს მიირთმევთ,
ხილსაც მოგართმევთ სინითა,
ეს ჭიქა დიღი ყოფილა,
მეც ხომ ვითვრები ღვინითა,
როცა ძაან დავითვრები,
გვიან ავდგები დილითა.
თქვენი კოდები ყოფილა
საესე და წმინდა ფქვილითა;
თქვენი ქვევრები ყოფილა
საესე წითელი ღვინითა...

ახალ წელს ქალების ოჯახიდან გასვლა აქრძალული იყო. ისინი შინ უნდა მსხდარიყვნენ და სტუმრები მიეღოთ.

„მე ნათელ გვემ თაშან...“



რონოლოგიურად იანვარშივე ალინიშნებოდა წყალ-კურთხევა—ექვს იანვარს (ახალი სტილით 19 იანვარს). ეს იყო ღმერთის გამოცხადების, ნათლის-ცემის დღე.

მათე მოციქულის სახარება მოგვითხრობს, რომ ჩვილი ბავშვების სიკედილით დასჭის შიშით შეპყრობილ იესო ქრისტეს ოჯახს დაუტოვებდა იუდეველთა სახელმწიფო და უცხოეთში, ეგვიპტეში განიხინულა. ჰეროდე იუდეველთა მეფის გარდაცვალების შემდეგ კი იესოს ოჯახი სამშობლოში დაბრუნდა. ამ დროს მთელ იუდეველთა ქვეყანაში მოფენილი იყო იოანე ნათლისმცემლის სახელი, რომელიც უდაბნოში ცხოვრობდა და ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა. მდინარე იორდანეს ნაპირთან სახლობდა და წყალში ჩაყვანით ნათლავდა ხალხს.

ეგვიპტიდან წამოსული იესო გამოეცხადა იოანეს და მისგან ნათელსიცა—მოინათლა მდინარე იორდანეში. ამიტომ შემდეგ ეშირად ამ დღესასწაულს — წყალკურთხევას — იორდანეს სახელითაც მოიხსენიებდნენ.

ნათლის მიღება, მონათელა ქრისტიანული რელიგიის იმ შეიდ საელდებულო და საიდუმლო რიტუალთაგანია, რომლის დაცვა და შესრულება ევალებოდა ყოველ ჸეშმარიტ, მორწმუნე ქრისტიანს.

ძველ თბილისში წყალკურთხევის დღეს, ეკლესიაში წირვის დამთავრების შემდეგ, მღვდელი ჭვრით ხელში ხალხს მდინარე მტკვრისაკენ გაუძლვებოდა, სადაც საგანგებოდ იყო მოწყობილი „იორდანე“— წყალთან მისასვლელი ხის ხიდი, ბაქანი. სადღესასწაულო სკლაში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის ამქრები თავიანთი ღროშებით და ქალაქში განლაგებული ჭარი.

ლოცვა-კურთხევის შემდეგ მღვდელი მდინარეში ჩაუშეებდა, განბანდა ჯვარს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მდინარის წყალი წმინდა იყო და, ვინც შიგ განიბანებოდა, ცოდვებისაგან განიწმინდებოდა, მოუხედავად ზამთრის სიცივისა, წყალკურთხევის ადგილი — „იორდანე“ — ხალხით იყო ხოლმე სავსე. ბევრი გაბედული შიშვლდებოდა და მდინარეს გადასცურავდა, ზოგიც შარვალდაკარწახებული ნაპირთან ჭყუმპალაობდა. ზოგი ცხენით შესულიყო წყალში და ცდილობდა, ცხენის მკერდს „ნაკურთხი“ მდინარის ტალა შეხებოდა...



მუხრანის ხიდი 1911 წლის 24 აპრილს.

ბევრი სულსწრაფი ცოდვილი ვერ ითმენდა და „ნაკურთხი“ მდინარის წყალს იქვე სვამდა, რათა სასწრაფოდ განწმენდილიყო ცოდვებისაგან.

იყო შემთხვევები, როცა მოზღვავებული ხალხის სიმძიმეს სახელდახელოდ მოწყობილი ხის ბაქანი ვერ უძლებდა და ტყდებოდა, რასაც ბევრი ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა.

წყალკურთხევა მთავრდებოდა ნაკურთხი წყლის — აიაზმის — შინ წალებით. ოჯახში მიტანილ წყალს ასმევდნენ საქონელს (კარგი

წველადი რომ ყოფილიყო და ავ თვალს არაფერი ეგნო), რწყაფლნერ
ეზოს, აპკურებდნენ სახლს, ოთახებს და სხვა.

ეკლესიიდან წამოღებულ ნაკურთხ წყალს მომავალ წუალეურთ-
ხევამდე ინახავდნენ. ბევრი მორწმუნე ნაკურთხი წყლის გამძლეობას
მის სასწაულმოქმედებას მიაწერდა. სინამდვილეში მიზეზი სხვა:
წყლის საკურთხებლად იხმარებოდა ვერცხლის ჯვარი და წყალიც
ვერცხლის ჭურჭელში ესხათ ხოლმე. ცნობილია, რომ ვერცხლს აქვა
ბაქტეროციდული თვისება. ვერცხლის ჭურჭელში ნადგომი წყალი ას-
შმორდება, მას ბაქტერიები არ ეკარება.

გაზაფხულის დღესასწაული



პილისში გაზაფხულის დაღგომა საყოველთაო-
რახალხო დღესასწაულით აღინიშნებოდა.
გაზაფხულის დღესასწაული ბუნების გაღვიძე-
ბას ეძღვნებოდა. მსოფლიოს ძეელ ხალხებში სამყა-
რო წარმოდგენილი იყო, როგორც ნახავი ზესკნე-
ლისა და ქვესკნელისა, სიცოცხლისა და სიკვდილისა, სიკეთისა და
ბოროტებისა. აღამიანთა წარმოდგენაში ეს ორი ძალა ყოველთვის
შეუსოვრად ებრძოდა ერთმანეთს.

ძეელ ხალხებში, მათ მიერ გათამაშებულ სიკეთისა და ბორო-
ტების ბრძოლის რიტუალებში განსახიერებული იყო წლის ორი
დრო — გაზაფხული და ზამთარი. გაზაფხული — კეთილი და ზამთა-
რი — ბოროტი. ამ ბრძოლაში ყოველთვის, მართალია, დიდი ბრძო-
ლისა და მრავალი წინააღმდავობის გადალახვის შემდეგ, სიკეთე —
გაზაფხული იმარჯვებდა.

ნამდვილი გაზაფხულის თვე აპრილია, როცა თითქმის ყველაფე-
რი ცოცხალი — ხე, ბუჩქი, მინდვრის ყვავილი — აყვავებულია და
ხარობს.

ქართველები, როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხი, ყო-
ველთვის ზეიმით აღნიშნავდნენ ბუნების გაცოცხლებას, გაღვიძებას,
აყვავებას, წლის ამ მშვენიერ დროს.

ძეელ თბილისელებს ჩვევად ჰქონდათ, აპრილში ქალაქებრეთ გა-
სულიყვნენ და მინდვრად, ანდა რომელიმე ბაღში, ხის ჩრდილში გაშ-
ლილ ლურჯ სუფრასთან მოელხინათ. ხელიდან ხელში გადადიოდა
აზართვება თუ ჭიხვის რქა, კულა თუ ჭინჭილა, თიხის ჭამი და ფიალა.
ყოველი მხრიდან ისმოდა სიცოცხლისა და სიყვარულის საღლეგრძე-
ლოები. იქით დუდუკი კვნესოდა და მომლერალი გულში ჩამწვდომ

სიმღერას მღეროდა, აქეთ საზანდარი, დაირა და არლანი ართობდა ხალხს. მოქეიფეთ ჩოხის სახელოები აეკეცათ, ახალუხის საყინძე შეწესნათ, აყვავებული ნუშის რტოებით დამშენებული წიწუაჭმული დებით თავები დაემშენებინათ და ბუნების, სიცოცხლის განახლების, გაზაფხულის სადღეგრძელოებს გრძნობით წარმოთქვამდნენ.

აყვავებული ნუშის ტოტებით იყო მოფენილი მიწაზე გაფენილი ჭრელ-ჭრელი ნოხები და ფარდავები. ჭიხვის რქის ყანწევე ისე შემოეხვიათ ნუშის რტო, გეგონებოდათ, იმ დალოცვილ ჭიხვს ჩქასთან ერთად ნუშის ხეც ამოზრდია თავზეო. ირგვლივ აყვავებული ნუშის სამო სურნელი იდგა.

თბილიში ამ დღესასწაულს XIX საუკუნის მეორე ნეხევრიდან დაერთო რუსების მიერ ევროპიდან გადმოღებული დღესასწაული, რომელსაც „გვირილების დღე“ ეწოდებოდა.

ეს დღესასწაული აპრილ-მაისში იმართებოდა. ეს იყო ყვავილების ზეიმის დღე. ამ დღეს ქალაქის ქუჩებში დიდისა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს მკერდზე ყვავილი ჰქონდა მიბნეული. მთავარ ქუჩებში, ბაზარსა თუ მოედნებზე, ყველგან ყვავილები იყიდებოდა. ამ ყვავილებს ქუჩა-ქუჩა დაატარებდნენ პატარა გოგონები და ყიდდნენ. ყვავილებთან ერთად მათ პატარა თუნუქის კოლოფიც ეკავათ ხელში და „ნაეაჭრ“ ფულს ყრიდნენ. ეს იყო საქველმოქმედო ღონისძიება. შეგროვილი ფული ხმარდებოდა ფილტვებით დაავადებულ, უპატრონო იყადმყოფებს. „გვირილების დღეც“ ამიტომ ერქვა — გვირილა ხომ ჭლექით დაავადებულთა, უფრო ზუსტად, ჭლექის ავადმყოფობის სიმბოლოა. ამიტომ გაზაფხულის ამ სადღესასწაულო დღეს ერთგვარი სერდაც ახლდა.

საზოგადოებრივ დღესასწაულები



აზაფხული ყველაზე მდიდარი იყო დღესასწაულებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია საყველიერო დღესასწაულები, რომლებიც დიდმარხებს უძლოდა წინ. დიდმარხება კი აღდგომის წინა მოსამზადებელი პერიოდია. ესეც ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი იმ შეიდ საგალდებულო წესჩევეათაგანია, რომლის შესრულებაც ევალებოდა ყოველ ქრისტიანს.

ყველიერის კვირა იყო დრო სინანულისა და ყოველგვარი აქვეყნიური ადამიანური ცოდვებისაგან განწყობისა. ამ დროს ეკლესია კრძალავდა ხორცეულის ჭამას და მორწმუნეთაგან მოითხოვდა მოქმედებაში ზომიერებას, მოთმინებას, რათა თანდათან შეჩერდნენ მომავალ დიდმარხებას.

ყველიერის მთახლოებისას ყველა ოჯახი იმარაგებდა ფქვილს, რათა ყველიერის ორშაბათს ნაზუქები და ქადები გამოეცხოთ. XIX საუკუნეში საქართველოში ჩამოსახლებული რუსების გაულენით ქართველებმაც დაიწყეს საყველიერო „ბლინების“ გამოცხობა.

ყველიერის კვირაში ძეველი თბილისის ნებისმიერი სახლის ეზოში შეგეძლოთ დაგენახათ საზეიმოდ გამოწყობილი გოგონები, რომლებიც ხეზე, ანდა პანიანი სახლის კვეშ სახელდახელოდ მოწყობილ საქანელაზე შემომსხდარნი მღეროდნენ:

ყველიერში ყველი ეჭამე,
აღღვომას კი კვერცხები...

მოსალამოვდებოდა თუ არა, ძეველი თბილისის სახლების ბანებზე თუ ეზოში ლხინი იმართებოდა. ისმოდა დაირის ხმა, სიმღერა, ძველ უბნებში შეიძლებოდა მესტვირე-იმპროვიზატორსაც შეხვედ-

როდით, რომელიც გუდა-სტვირზე მღეროდა ამა თუ იმ საგმირო ამბავს.

ყველიერში ქალაქი მეტისმეტად საზეიმო იერს ატარებდა... ასე წარმოიდგინეთ, მედუქნებიც კი თავიანთი სავაჭროებისა თუ სახელოსნოების წინ გამოდიოდნენ და ბურთაობდნენ. ზშირად გამჭელელ-გამომვლელსაც ლაზათიანად უთავაზებდნენ ბურთს და თან გაძახოდნენ: „ყველიერია, ყველიერი!“ ზოგ მედუქნეს ძველი ქურქი წამოესხა და ქუჩაში მოსირულეთ აშინებდა.

ბურთაობის გარდა ყველიერში თამაშობდნენ წრე-ლახტას.

მოწინააღმდეგენი შემოხაზავდნენ წრეს. წილისყრის შემდეგ, ერთნი წრის შიგნით ჩადგებოდნენ, მეორენი წრის გარეთ დაიკავებდნენ აღვილს. წრის ხაზთან იმდენი ქამარი იდო, რამდენი მოთამაშეც მონაწილეობდა (ერთით მეტი, ან ნაკლები). თითო ქამარს თავის დარაჯი — მცველი ჰყავდა. წრის გარეთ მდგომთა მოვალეობა იყო, ისე გაეტაცათ ქამრები, რომ არ ჩაჭრილიყვნენ. ეს კი დიდ სისწრაფესა და მოხერხებულებას მოითხოვდა. ქამრის გატაცება სხვადასხვა ხერხით ხდებოდა. ჩვეულებრივ, თამაში იწყებოდა დაწვერვით. ქამრის დამცველი თუ სხვებთან შედარებით ფიზიკურად სუსტი იყო, შეტევა მისგან იწყებოდა. ხელის ჩაჭრიდებით ცდილობდნენ წრიდან მის გარეთ გაყენას. თუ ამას მოახერხებდნენ, „ტყვედ“ წაყვანილს იყენებდნენ „ტომრად“. „ტომარა-ტყვე“ გარეთ მდგომთათვის დაცვაც იყო. მათ შეეძლოთ მისი თანხლებით წრეში შესვლა, შიგ სიარული ისე, რომ ვერ ჩაჭრიდნენ. ბოლოს „ტომარა-ტყვეს“ ისე მოხერხებულად შეაგდებდნენ წრეში, რომ ქამრის გატაცება შეძლებოდათ. ქამრის გატაცება ჩაგორებით, მიწაზე გაგორებითაც ხდებოდა. თუ ერთი ქამრის მოტაცებას მოახერხებდნენ, იწყებოდა ამ მოტაცებული ქამრის საშუალებით ქამრის გარეთ გაგდება. წრეში მდგომი თავის ქამარს ფეხს ჩაუდგამდა, გარეთ მდგომი კი ქამარს იქამდე სცემდა, სანამ ქამარს გარეთ არ გავარდებოდა. ამ დროს ქამრის მორტყმა ფეხის კოჭს მაღლა აკრძალული იყო. წრეში მდგომთ გარეთ მყოფნი ფეხის დადგმით, ანდა მორტყმით უნდა ჩაეჭრა. შეიძლებოდა გატაცებული ქამრის უქან წართმევა. წრიდან კველა ქამრის გატაცების შემდეგ იწყებოდა „ახურება“. ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ რომელიმე გარეთ მყოფთაგანს არ ჩაჭრიდნენ. ამის შემდეგ როლები იცვლებოდა.

ყველიერში არსებობდა ერთი მეტად საინტერესო ჩვეულა, რომელსაც „სახ ლიდან თაგვების განდევნა“ ეწოდებოდა.

ხუთშაბათს, წმინდა შიოს დღეს, ოჯახის დიასახლისი ცალ ხელში ახალგამომცხვარ პურს დაიკავებდა, მეორეთი ასკილის ტოტს და იწყებდა სახლის გარშემო სიარულს, თან ასკილის ტოტს სახლის ყოველ კუთხე-კუნძულს ურტყამდა და გაიძახოდა: „თაგვო, თაგვო, გამოდი!“ ასე შემოივლიდა მთელს სახლს და შემდეგ პურსა და ასკილის ტოტს სწრაფად გადასცემდა კართან მდგარ პატარა ბიჭს. ეს უკანასკნელი, მიიღებდა თუ არა აღნიშნულ „მარათონს“, უკანმოუხედავად გარბოდა რაც შეიძლებოდა შორს (წინააღმდეგ შემთხვევაში, თავიბი უკანვე დაბრუნდებოდნენ) და იქ იწყებდა გადაცემული პურის ჭამის. შემდეგ საგანგებოდ მოტოვებულ პურის ქერქს ასკილის ტოტზე წამოაცვამდა, შორს გადააგდებდა და გამარჯვებული სახით ბრუნდებოდა შინ. ოჯახის ყველა წევრი დარწმუნებული იყო, რომ ამ ხერხით, ტყუილი ფანდით, ოჯახიდან თაგვები გაიტყუეს.

ყველიერში იმართებოდა მუშტიკრივიც.

კველ თბილისში სხვადასხვანაირი კრივი იცოდნენ: ხრიდოლი — კრივი ცალი ხელით, სალდასტი — ქვით კრივი და მუშტიკრივი. ყველაზე მეტად ეს უკანასკნელი სახეობა იყო გაერცელებული.

კრივი იმართებოდა აელაბარში, სიონის ქუჩაზე, აბას-აბადისა და პურის მოედანზე. მუშტიკრივმა, აღრე რომ ყველიერის კეირაში იმართებოდა ხოლმე, როგორც სხვა თამაშობებმა, „ძველი შეზღუდვები“. დაფარგა და ეს ვაჟკაცური სანახაობა თითქმის ყველა დღესასწაულის ფინალად იქცა.

კრივის საცქერად უამრავი ხალხი იყრიდა თავს. კრიცობდნენ უქუდოდ, გულგალელილნი, ჩოხის კალთააქრეფილნი, ახალუხისიამარანი, წინდებით. მოკრივეთა ორივე მხარეს თავისი არბიტრი ჰყავდა. არბიტრი ცხენზე მჯდომი ხელმძღვანელობდა კრივი.

მოკრივენი რამდენიმე რიგად იდგნენ. მცირეწლოვნები წინა რიგს იკავებდნენ. მოკრივეთა რიცხვი განუსაზღვრელი იყო. ხშირად ფალავნები ამ საერთო რიგში არა დგებოდნენ, ქუჩის კუთხეს იყვნენ მოფარებულნი.

კრივი იწყებოდა ხალხის ყიუინით. აქეზებდნენ ხან ერთ, ხან მე-

ორე მხარეს, იმის მიხედვით, ვინ იმარჩვებდა. მალე მოწინააღმდეგუნი ხელჩართულ ბრძოლაზე გადადიოდნენ.

ამ დროს ხის ხმლებსაც ხმარობდნენ. კრიფის შემდეგ/შედოულნენ აბანოში და ლაზათიანი ქისით იზელდნენ დაუეჩულ/და დაბრეგულ ტანს.

მაგრამ ზოგჯერ ბრძოლა ასე მშვიდობიანად არ მთავრდებოდა. საქმეში ერეოდა ქვები, აგურები, ყველაფერი, რაც კი ხელში მოხვდებოდათ.

სწორედ ასეთი ამბავი დატრიალდა 1851 წლის 2 ოქტომბერის სიონის ქუჩაზე გამართული მუშტი-კრივის დროს. მოკრივებს ქვები და აგურებიც უხმარიათ, რის შედეგადც რამდენიმე კაცი დაშავებულა, ახლომახლო სახლებისა და დუქნების მინები კი ჩამსხვრეულა. ბოლოს ამ ამბავს მოჰყევა ის, რომ მეფის მთავრობამ აქრძალა მუშტი-კრივის გამართვა. ამის თაობაზე მეფის ნაცვალმა მ. კორონცოვმა (1845-1854 წ.). პეტერბუგში გაგზავნა ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც თავად ჩერნიშევს, ვინც მუშტი-კრივი აქრძალა, უხსნის, რა მნიშვნელობა პეტერბუგში გადასახლდა და, საერთოდ, ქართველი ხალხისათვის ამ თამაშობას: „აქ ძეველთაგან იყო ცნობილი მუშტი-კრივი, რომელშიც მონაწილეობდა განურჩევლად ყველა... როგორც ქართველ მეფეთა დროს, ისე მათ შემდეგაც, ჩვენი მფლობელობის დროს ის იყო გასართობი და სამხიარულო ყველასათვის, დაწყებული სამეფო გვარეულობით და თავადაზნაურობით, დამთავრებული უბრალო ხალხით. რუსული მმართველობის პირველ წლებში თამაში აქრძალული იყო, მაგრამ თბილისში ციციანოვის ჩამოსვლისთანავე ქალაქის მთელი მოსახლეობის თხოვნით მან ნება დართო ამ თამაშის გამართვისა. ციციანოვი თავადაც ესწრებოდა ხოლმე კრის, არა იმიტომ, რომ მასში ჩქეფდა ქართული სისხლი, არამედ იმიტომ, რომ ის ამ თამაშს აქაური ხალხის მებრძოლი ხასიათით ხსნიდა. მუშტი-კრივის მთლიანად აქრძალეა არა მარტო ქალაქის შიგნით, არამედ მის გარეთაც დააღმინებს აქაურ მოსახლეობას, რომელზედაც შეილიდან შვილზე გადმოდიოდა ეს მათი საყვარელი გასართობი, ასე მჭიდრო კაეშირში რომ არის ხალხის ხასიათთან, მათ გმირობასთან, რაც ესოდენ დამახასიათებელია ქართველთათვის, და აქცევს მათ ბრძოლის უნარიანად თავიანთი საზღვრების დასაცავად“.

ასეთი ახსნა-განმარტებითი ბარათის წარდგენის შემდეგ მთავ-

რობამ მუშტი-ქრივი დაუშვა, ოლონდ ქალაქგარეთ — კვირაცხოვლის ეკლესიასთან.

ქართველთათვის მუშტი-ქრივი არა მარტო გასართობი სანახაობა იყო, არამედ სამხედრო ვარჯიშიც. მოკრივე ეჩვეოდა თვალის ხისწ-რაფეს, სიმარჯვეს, ავარჯიშებდა ხელის კუნიებს და ზხვა. ყამთა სვლა ამ ვარჯიშსაც უკარგავდა თავის პირეანდელ მნიშვნელობას; ბოლოს იგი უბრალო სანახაობად — „საიშკილბაზო და სამაზალო“ საქმედ იქცა.

ასეთ განწყობილებას კარგად ასახავს ეურნალ „ცისკარში“ და ბეჭდილი ეს მასალა: „მოდი, გავიღეთ სეიდაბაღში, იქ დამოუნის (საბაჟოს) წინ იმართება ხოლმე ქრივი, მაგრამ, ვგონებ, ახლა ვერც იმან გყოსო კმაყოფილი. გექნებათ გაგონილი უწინდელი ქრივიანობა, რომელშიც გაერეოდნენ დიდი გვარის პირნი, განაგებდნენ და განამხნევებდნენ მოკრივეთ... ახლა ვინდა არიან. იმათ მაგირ ხედავთ ვიღაც აღამიანებს კარტუზებითა და გაგლესილის პალტოებით; ნაცვლად ძველი კალმუხის ქუდებისა და ფარსაკიანის ქულაჭებისა“...

ძველ თბილისში იყვნენ განთქმული მოკრივე-ფალავნები: ლო-ხოშა, ჭიანუა, კუნძუა და კიდევ ბევრი სხვა.

„პიღაობას რა უნდა...“



ართული ჭიდაობაც, მუშტი-კრივის მსგავსად, თან ახლდა ყველა დღესასწაულს. იმართებოდა ღია ცის ქვეშ: ავლაბარში, ჩუღურეთში, ელიაზე, კვირა-ცხოვლის ეკლესიის ეზოში, ახალ კუკიაში, მუშტაი-დის ბაღის მოპირდაპირე მხარეს, სადაც იტალიე-ლებს იგარით ჰქონდათ ოღბული მიწის ნაკვეთი, ე.წ. „იტალიელების ბაღი“ (დღეს ამ ადგილს ტრამგაის მუშაქთა საცხოვრებელი სახლებია აღმართული, პლეხანოვის გამზირშე; ვე-რაზე, ფიქრის გორაზე ჭიდაობას მიყიტანი ბაჭყაჭუა და წვერიანი ალ-ექსა მოთავობდნენ).

დიდუბეში — ღვთისმშობლის ეკლესიის მახლობლად — ძეელი იპოდრომის პირდაპირ, მთკვართან, თავად ციციუშვილს თავის მამულში მოწყობილი ჰქონდა გაღახურული საჭიდაო მოედანი, რომელსაც „ქნიაზების კრუგს“ უწოდებდნენ.

ჭიდაობა ასე იწყებოდა. დღესასწაულზე, სადაც ხალხმრავლობა იყო, უცბად, მოულოდნელად ზურნა „აქცვიტინდებოდა“ და გაისმოდა რომელიმე საცეკვაო ჰანგი. ეს იყო თავისებური ხერხი ხალხის ყურადღების მისაცყორბად. თანდათან დამკვრელების გარშემო შეიქრიბებოდა ხალხის წრე. სად იყო და სად არა, გამოჩნდებოდა „არბიტრი“ — მსაჯი, ხელში სახრით და მაყურებლებს სოხოვდა, წრე გაეფართოებინათ. თან ფეხებთან სახრეს ურტყამდა. შემდეგ ზურნა საცეკვაოდან საჭიდაო ჰანგზე გადადიოდა. და აი, გაირღვეოდა მაყურებელთა წრე და მის შუაგულში გამოჩნდებოდა საჭიდაო ჩოხაში გამოწყობილი მოჭიდავე, მას მეორეც მოჰკვებოდა და ხალხისა და ერთმანეთის მისალმების შემდეგ იწყებოდა შერკინება.

საჭიდაოდ გამოდიოდნენ ცნობილი მოჭიდავეები. თითოეულ

შოჭიდავეს თავისი მომხრეები (გულშემატკიცრები) ჰყავდა, რომლებიც სანაძლეოს დებდნენ ერთმანეთში; ისინი თავიანთ ფალავნებს შეძახილებითა და ყიჯინით ამხნევებდნენ. ჭიდაობის შემდეგ შერჩებისაგან გახურებულ კუნთებს ჩაციებული ღვინით იგრილებდნენ. ეტლით მიეშურებოდნენ ქალაქის რომელიმე დუქანში და იქ ილხენდნენ.

ძველ თბილისში ქართული ჭიდაობის განთქმული ფალავნები იყვნენ: მეტივე დათა ხიზამბარელი, მედროვე ურეხა, ივანე ყირიმელაშვილი (კულა გლდანელი), ნიკა მეტეხელი, სარქისა ავლაბრელი,



ყოწების ცილილი

შეტაბელად თოხანა, პატარა მთაწმინდელი (ნასიბოვი), შაშო ვერელი (კახნიაშვილი), ლევან დილმელი, დათა ივლაბრელი, ქოლა იარ-მუკელი, ვანო გლდანელი (წამალაშვილი) და მრავალი სხვა.

ძველი თბილისის ერთ-ერთი საინტერესო სანახაობა იყო ყონიების ჭიდავის დილი, რომელიც ბაზრის მოედანზე იმართებოდა სადღესასწაულო ცერემონიალის ან მისი დამთავრების შემდეგ. საჭიდაოდ ყარაბილელი წინასწარ ყიდულობდა კარგ ერქემალს (სამი წლის ცხვარს) სახლში ჰყავდა დაბმული და სუსტებდა, თან ყოჩაობას ასწავლიდა. როცა კარგად გაწვრთნილა, ჩქებს გადაუხერხავდა, ქერით დაათრობდა, ყელზე ფერად ბაფთს შეაბამდა, შებლს ენდროთი შემ. თ. ბერიძე

ულებავდა და მოედანზე დასაჭიდებლად წაიყვანდა. მოედნის შეკ-
გულში ყოჩის პატრონი მეზობელი დუქნიდან საასპარეზოდ იწვევდა
მეორე ყოჩის პატრონს.

ყოჩებს ერთმანეთისაგან დაშორებით აყენებდნენ „ისინი უცი-
ხანს თავდახრილები ათვალიერებდნენ ერთმანეთს. მაყურებლები
ყიჯინით აქეზებდნენ მათ. ხალხის ორიანცელზე ყოჩები ელვასავით
სწყდებოდნენ ადგილს და ერთმანეთს შებლით ასკდებოდნენ.“

ყოჩების ჰიდილი მთავრდებოდა ქალაქის რომელიმე ღუქანში,



მამლების კინკლაობა.

სადაც გამარჯვებული და დამარცხებული ყოჩების პატრონებს ერთ-
მანეთს „არიგებდნენ.“

ყოჩების გარდა ძველ თბილისში აჭიდავებდნენ აქლემებს, აძიძ-
გილავებდნენ მამლებს.

საკინკლაო მამალს საგანგებოდ არჩევდნენ. მამლების ჩეუბი ეწ-
ყობოდა ბაზარში, ქუჩაში, სახლის ბანზე. მამლების პატრონები ერთ-
მანეთში ნიძლავდებოდნენ, სანაძლეოს მაყურებლებიც დებდნენ.

ქართულ საწესო ჩვევაში მამალი ოჯახის ბარაქის, კარგი მოსაბ-
ლის, მამრობითი სქესის სიძლიერის, მზის კულტის სიმბოლო იყო. მა-
დენად, ჩვენს ყოფაში მამლების კინკლაობის შემორჩენა შეიძლება
უძველესი წეს-ჩვევის გადმონაშთი იყოს.

სანახაობათა თვალსაზრისით, ყველიერი თავის კულმინაციას,
უმაღლეს წერტილს სახალხო კარნავალის! — ყენობის გამართვით
აღწევდა.

ყენობამ თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მრა-
ვალჭერ იცვალა სახე.

ყენობის წარმოშობის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა,
მაგრამ ერთ რამეში ყველას აზრი თითქმის ერთმანეთს ემთხვევა:
ეს უნდა იყოს ძევლი ქართული წარმართული რელიგიიდან შემორჩე-
ნილი სანახაობა, რომელსაც ფორმა მეტ-ნაკლებად შერჩა, შინაარსი
კი მთლიანად შეცვალა.

იგ. გავახიშვილი, ეხებოდა რა ზემო სვანეთში საყველიერო დღე-
სასწაულს, მურყვამობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ჩვევას: „კვი-
რიაქს“, „ადრეკილაქს“, „მელია ტულეფიას“, ფერხულ „კიშხოშს“
და ოთხ სხვადასხვა სიმღერას, ასკენიდა, რომ სვანეთში დაცულ ამ
ჩვევებში შეიძლება მეტნაკლებად დადგინდესო ყენობის პირველ-
ყოფაობა. ღრითა სელას დაუმახინჯებია წულიანობისა და ნაყოფი-
ერების მთავარი ღვთაების „კვირიას“ დღესასწაულის პირვანდელი
სახე. „კვირიას“ დღესასწაულის სახეცვლილებები ნათლად ჩანს
დღესასწაულის მონაწილე ჯგუფის მეთაურის სახელის ცვალებადო-
ბაში: „კესარი“ — კეისარი, „ყაინი“ — ყენი, „შაპი“.

ალ. ხახანაშვილი ყენობის საწყისს ხედავდა ძეველ ქართულ

1. იმასთან დაკავშირებით, რომ XIX საუკუნეში ყენობას კარნავალს უწო-
დებონენ, გაეიხსენოთ იტალიური კარნავალის ისტორია, რომელიც საერთო და
რელიგიური სანახაობების ნაზავს წარმოადგენდა. თვით სიტყვა კარნავალი თხა-
წილადი სიტყვა: Carno — ხორცი, Vale — გამარჯვება, სალამი, რაც აზრობრი-
ტად ქართულ სიტყვას — ხსნილს — ესადაგება. იტალიაში კარნავალი იმართებო-
და ყველიერთან დაკავშირებით და ასახავდა, ერთის მხრივ, ზამთრის — ბოროტისა
და მეორეს მხრივ, განათხულის — კეთილის ბრძოლას. ეს იყო ძეველი იტალიური
წარმართული რიტალიდან შემორჩენილი სანახაობა, რომელსაც არაფრი ჰქონდა
საერთო ცველიერთან. 1296 წ. სენატის საგანგებო დაღვნილებით აღნიშნული სა-
ნახაობა, რომელიც წლის სხვა ღრის იმართებოდა, ყენლიერში გადმოიტანეს და
ეწოდა კარნავალი.

წარმართულ რელიგიაში: „...წარმართული დღესასწაულების მთავრნება შემორჩენილია ქართველი ხალხის ყველიერის დროს გატარებაში (დათო-დათვი, ბერიყაობა, ჩალიჩობა), დიღმარსების ტრადიციას ყევნობის დაწესებით და სხვა. ყევნობა გვაგონებს ზომიერობის შემთხვევაში და გაზიაფხულისას, ბრძოლას, რომელიც თავდება გაზიაფხულის გამარჯვებით, თვით სახელწოდება კი ამ დღისასწაულისა გვარწმუნებს, რომ ძველს წარმართულს ნაშთს დაერთო რაღაც ისტორიული მოვნება სპარსეთის გავლენის დროისა...“

XIX საუკუნის 10-იან წლებში, კავკასიის მთავარმართებელ ერმოლოვის დროს (1816-1827 წწ.) გამართულა ყევნობა, რომელშიც



ყევნობა თბილისში 1886 წელს.

კერ კიდევ ყოფილა შემორჩენილი ძველი ელემენტები. ყევნობაში მთელი ქალაქი იღებდა მონაწილეობას, როგორც მდაბიონი, ისე — თავადაზნაურობა.

დიღმარსების ორშაბათის წინა დღეებში მთელი ქალაქის ხელოს-

ნები, თითქოს სხვა საქმე არა პქონდათ-რა, ამზადებდნენ ხის ხმლებს, ხანჭლებს, საცერე რგოლებსა და შურდულებს.

და აი, დადგა ნანატრი დიდი ორშაბათი. ქალაქი ორ ბანაკად იყო გაყოფილი — ისნელები და ნარიყალას უბნელები. ისნელებს ემხრო ბოლენ ავლაბრელები, ჩუღურეთელები და კუკიელები, ნარიყალას უბნელებს — ვერე და გარეთუბანი.

ორ ბანაკად იყო გაყოფილი ქალაქის არისტოკრატიაც. ნარიყალას მხარეზე იყვნენ მუხრან-ბატონი, ორბელიანები, ბარათშვილები, ერისთავები და მთავარმართებელი ერმოლოვი, ისნელთა მხარეზე — ქავჭავაძეები, ჩოლოყაშვილები, ვახვახიშვილები, ჯანდიერები, ჯორჯაძეები.

ვთქვათ, სანახაობის მთავარი გმირი — ყენი — ისნელია. ყენის სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმა ასეთი იყო: ის თავისი ჯარით ქალაქს დილით უნდა შესეოდა. ქალაქის დაპყრობის შემდეგ გზაჯვარედინებზე თავის მოხელეებს დააყენებდა, რომლებსაც გამვლელგამომვლელი უნდა დაეხარკათ და ხარჯი, ფულადი გადასახადი იეკრიფათ. თეოთ ყენი თავისი ჯარის — „მხედრიონის“ — მოქმედების სათვალთვალოდ, სეიდაბადის მაღლა მდებარე თაბორის ციხის ნანგრევებთან დაიბანაკებდა ცოლთან ერთად¹.

ყენის ჯარს არა მარტო ქალაქი, მისი გარეუბნებიც უნდა დაეპყრო.

ამ დროს არც „მოწინააღმდეგე“ მხარე იდგა უქმად, იგი მომხდეურის დასახვედრად ეშზაღებოდა, თავიანთი „ჯარი“ მათ სოლოლაკის ხევში ჩაესაფრებინათ.

დაიწყო ყენის ჯარის ახალი შემოტევა. მან დაიპყრო მთელი ქალაქი, მისი გზაჯვარედინები და გამვლელებისგან ხარჯის — ფულის აკრეფა² დაიწყო. ვისაც დაიჭერდნენ, ყენთან მიპყვდათ თაყვანის საცემად.

1. ყენის შეულლე ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი იყო, რაც ამ სანახაობის კიდევ უფრო კომიკურს ხდიდა.

2 საგარაულოა, რომ „ფულის აკრეფა“ თბილისურ ყენობაში მესლიმანებმა შეიტანეს მოგვიანებით. ეგვიპტეში ახალ წელს ხალხი ნიშნავდა საახალწლო თავადს ამირ ან-ნაურუზს. იგი სახეგაონუნდღი (კირით ან უქვეილით), წითელ-ყვაითელ ხალათში გამოწყობილი, დაეთხრით ხელში, როგორც ბაზრის ზედამხედველი (მუჭათასიბი), ქუჩა-ქუჩა დადიოთდა და ზეგრავდა მდიდრებს, ფულს ართმევდა. ურჩ

ქალაქზე ყევნის ბატონობა შუადღემდე გრძელდებოდა. ნაშენი დღევს ყევნს მოახსენებდნენ, ქალაქი აჯანყდათ: ქართველები განდგომოდნენ და სოლოლაკის ქედი დაეკავებინათ.

და ის, ყევნი საომრად მოემზადა. ის და მისი მეუღლე, სახუდარებზე შესხდნენ და ჭართან ერთად განდგომილებს შეუტიის.

ბრძოლა შურდულებით დაიწყო. ზუზუნი გაპქონდა შურდულით გატყორცნილ რიყის ქვებს. მერე „მოწინააღმდეგენი“ ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ; ზოგი მუშტით იბრძოდა, ზოგი — ხის ხმლებითა და ხანჭლებით. ამ „ბრძოლაში“ ბევრი შავდებოდა, თავ და ცხვირგატეხილს ბევრს ნახავდით ქალაქის ქუჩებში.

ნარიყალელებმა დაიფრინეს ყევნის გუნდი. თვით ყევნი და მისი მეუღლე ტყვედ ჩაიგდეს, სახედარზე პირუკულმა შესვეს, მტკერის ნაპირზე ჩაიყვანეს და ორივენი მდინარეში ჩაყარეს. ამით თავდება ყევნობა. „ასე წარმოადგინეს მტრისაგან ქვეყნის დაპყრობა, მერე ქვეყნის განდგომილება და ბოლოს ყევნის ხელიდან ქვეყნის დახსნა“ (გორგი წერეთელი).

თავისი არსებობის მანძილზე ყევნობამ მრავალჯერ იცვალა სახე. თუ XIX საუკუნის დასაწყისში ყევნობაში ქალაქის მოსახლეობა ორად იყო გაყოფილი, საუკუნის შუა ხანებში თითქმის ქალაქის ყველა უბანს თავისი ყევნი ჰყავდა. მათი მოქმედების არც იმ უბნით შემოიფარგლებოდა, რომელი უბნიდანაც ის იყო. ერთი უბნის ყევნს მეორე უბანში გადასვლის უფლება არ ჰქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ატყდებოდა აყალ-მაყალი და ხშირად ასეთ წესრიგის „დარღვევას“ ხელკეტებით ჩხებიც მოჰყვებოდა ხოლმე.

XIX საუკუნეში თბილისური ყევნობა უკვე ჩამოყალიბებული თეატრალური სანახაობა იყო, რომელიც წარმოიქმნა ხალხური შემოქმედების მდიდარ ბაზაზე. ეს იყო ზეპირად შექმნილი წარმოდგენა, რაც მონაწილეებს საშუალებას აძლევდა, შემოქმედებითად გამოეყენებინათ თავიანთი სამსახიობო ნიკი. შემთხვევითი არც ის

გადამხდელს წყლით წუშვდა. ამ დღეს ქუჩებში იმართებოდა ქართული წრე-ლახტის მსგავსი თამაში. ეს იყო ეგვიპტური კარნავალი.

ძეველ ირანში იყო ასეთივე სანახალწლო წეს-ჩევევა. სანახაობის მთავარ გმირს „კარნავალის თავიაღს“ ეძახდნენ. იგი კორჩე ამხედრუბული ირანის ქალაქებში დაღინდა და გადასახადს კრეფდა. უჩჩებს ტანსაცმელზე წითელ თიხას უსვამდა.

იყო, რომ ყევნის როლის შემსრულებელს საგანგებოდ არჩევდნენ. ყევნი გამოიჩინეოდა თავისი კომიქტურობით და იუმორით.

ყევნობა პატრიოტული სულისკვეთებით აღსავს წარმომადგენერალი იყო, რომელსაც განასახიერებდა ხალხი და ყევნი-იმპრეზიტორი რი პანტომიმის საშუალებით. გასული საუკუნის 80-იან წლებში ყევნი ტყაპუჭის ნაცელად იცვამდა კიტელს, რითაც ანსახიერებდა ლოთ და სამსახურიდან გადამდგარ თფიცერს, მისი მოხელეებიც ჩინოვნიერების ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი.

ყევნი ჰყავდათ ავლაბრელებს, კუკიელებს, სოლოლაკელებს, ხარფუხელებს და შეაქალაქელებს. ყევნს ხელოსნები ირჩევდნენ თავიანთი რიგებიდან. ამორჩეული უარს ვერ იცყოდა. რომელი ამქრიდანაც იყო ყევნი, იმ ამქრის დროშა მიუძღვდა წინ. ყევნს სახეს გაუმურავდნენ და ვირზე პირიულმა შესმულს მთელს უბანს შემოატარებდნენ, მერე მტკვარში ისეთ ადგილს გადააგდებდნენ, არ დამხრჩეალიყო, შემდეგ ფულს აგროვებდნენ, ქეიფობდნენ და ყევნისაგან დახსნასა და მის სიკედლს უქმობდნენ. ხალხური გადმოცემით, ამით განასახიერებდნენ ირანელი მოხელის ქალაქიდან განდევნას.

მაგრამ ყევნობამ თანდათან პოლიტიკური სახე მიიღო და XIX საუკუნის 90-იან წლებში ადგილობრივმა ხელისუფლებამ იგი აკრძალა. მიუხედავად ამისა, ქართველი კაცის ძვალ-ჩბილში გამჯდარი ეს სანახობა, შეცვლილი სახით, მაინც განაგრძობდა არსებობას. ყევნობის ნაცელად გაჩნდა „ყევნობის კუდი“, ანუ „ისპანახობა“. „ისპანახობამ“ ყევნობის მხოლოდ ბოლო ნაწილი — ქეიფი — შემოინახა, ამიტომაც უწოდეს მას „ყევნობის კუდი“. მეორე სახელი — „ისპანახობა“ — იმიტომ დაარქევს, რომ საქეიფო სუფრაზე მხოლოდ სამარხევო საქმელი ჰქონდათ: ისპანახი, ჯონჯოლი, ლანძილი და სხვა. მაგრამ ეს სამარხევო საქმელები ქეიფს ხელს არ უშლიდა.

„ყევნობის კუდი“ ორთაჭალის ბალში იმართებოდა. ქეიფი გვიან ღამემდე გრძელდებოდა. რომ დაბინდდებოდა, ჩირალდნებით ხელში, ზურნა-დუდუკის დაკვრითა და ცეკვა-თამაშით მთელ ქალაქს შემოივლიდნენ ხოლმე, მერე ისევ საქეიფო ადგილზე მოიყრიდნენ თავს.

დღესასწაულის მონაწილეთ, გარდა იმისა, რომ ქეიფობდნენ და ლხინობდნენ, ერთი კარგი წესიც ჰქონდათ: ქეიფის დროს ფულს

ჩამოდიოდნენ, აგროვებდნენ, შემდეგ კი იმ ფულით რომელიმე ქალაქელის ლარიბ, გასათხოვაარ ქალს მზითევს უმზადებდნენ და თხორებდნენ კიდეც.

„ყეენობის კუდში“, ეტყობა, ამ მიზნით სოვდაგრები, გამოქვება და გამოჩენილი პირებიც მონაწილეობდნენ. „წელს,—წერდა გაზეთი „გვალი“ 1894 წელს, № 20-ში, — „ყეენობის კუდშე“ ჩევულებრივად დიდი გამოქვები და სოვდაგრები აღარ დასწრებიან... მათ ნაცვლად სხვაგვარად შესანიშნავ-პირებმა მიიღეს მონაწილეობა და უფრო ბაქების წარმომადგენლებმა... ფოტოგრაფს გადაულია იმათი სურათი და საუცხოვო სანახავიც არიან მოქეიფენი ქალალდის გვირგვინებით თავზე, ანუ ჩაჩებით!.. რომ წესიერება დაცული ყოფილა, ამას ის ამტკიცებს, რომ იქვე თავზე ადგათ მათ პოლიციის ბოქაული, რასაცირველია, უგვირგვინოთ. ფოტოგრაფია საუცხოოდ არის გამოსული. ასე, რომ ერთი შეხედვისთანავე იცნობ თეულს მათგანს, თუმცა ქალალდის გვირგვინები კი ადგათ თავზე.“

„ყეენობის კუდის“ ერთ-ერთი აუცილებელი წესი ყოფილა თავზე ქალალდის გვირგვინების, ჩაჩების დადგმა და ტანზე „პამპულას ტანისამოსის ჩატმა“.

ერთ-ერთ „ისპანახობაში“ მონაწილეობა მიუღია დიდ ილიასაც. ეს უნდა მომხდარიყო იმ წელს, რომელსაც აღწერს დამოწმებული „გვალი“, კერძოდ, 1894 წელს.

ხალხის მოხხოვნით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყეენობა, თავისი პირებანდელი სახით, დაუშვა 1914 წელს. ამიტომდან ყეენობა იმართებოდა არა ყველიერის ორშაბათ დღეს, არამედ შაბათს, და არა ქალაქში, არამედ მის გარეთ. მაგალითად, 1914 წელს ყეენობა ნაეთლულში გამართულა.

ყველიერის კვირაში ძეველ თბილისში ყეენობის გარდა იმართებოდა ბერიყაობა, ანუ დათოობა. ესეც ყეენობასაცით სამასკარადო სანახაობა იყო. მოხუცის ტანსაცმელში გამოწყობილი ნიღბიანი ახალგაზრდა კაცი ქუჩა-ქუჩა დადიოდა და მანქევა-გრეხითა და ცეკვით გამვლელ-გამომვლელს თავს აწონებდა, რისთვისაც ჯილდოდ თხოულობდა ფულს.

XIX საუკუნის ბოლოს თბილისში გამართულ ყეენობა-ბერიკობას, თავისი ხასიათით, თავისი საერთო-სახალხო საღლესასწაულო განწყობით უკვე აღარაფერი ჰქონდა საერთო რელიგიისთან. ამიტომაც ილაშქრებდა ეკლესია ყეენობა-ბერიყაობის წინააღმდეგ.

გაირამობა



აზაფხულზევე იმართებოდა მუსლიმანთა ერთ-ერთი დიდი დღესასწაული ნოერუზი ბაირამი, ანუ საახალწლო ბაირამი.

მაჰმადიანი მღლოცველები დილით იქრიბებოდნენ მეტების ხიდთან მდგარ შაპ-ისმაილის დროინდელ მეჩეთში, სადაც დილის 11 საათზე იწყებოდა ლოცვა. შემდეგ მღლოცველი, ორ დიდ ჭვეფად გაყოფილნი, ჰამქრის დროშებითა და ნიშნებით, ზურნის თანხლებით მიემართებოდნენ სოლოლაკის უბნისაკენ (დღევანდელი ჭონქაძის ქუჩა), სადაც იმყოფებოდა თბილისში სპარსეთის საკონსულო.

ამ, როგორ აღწერს ამ დღესასწაულს გაზეთი „ივერია“ (1886 წ. № 55): „კვირის, 9 მარტს, მუსულმან შიიტები თავიანთ ახალწლის პირველს დღესასწაულობრენ. ეს დღესასწაული ყოველთვის სამის დღით არის ხოლმე. ტფილისში მცხოვრებნი სპარსელნი პირველად თავიანთ კონსულს მიულოცავენ ხოლმე, მოდის მთელი ამქარი ზურნითა და დაფითა. კონსულის სახლი იმ დღეს მორთულ-მოქაზმულია. შარბათით გამოეგებება კონსული და მათგან რამდენიმე სიტყვის მოსმენის შემდეგ, თითონაც წარმოთქევამს ორიოდე სიტყვის. წლეულსაც, როგორც ყოველთვის, დიღის ამბით იდღესასწაულეს მუსულმანებმა თავიანთი ახალი წელიწადი. კონსულის შემდეგ, ზოგი მუშტაილის, ზოდი საბორტანიკო ბაღში გაემგზავრნენ სასეირანოდ. კონკის ვაგონები გაქვედილი იყო მათგან. ყოველს ნაბიჯზე შეხვდებოდით პირ-მცინარეს და მორთულს მუსულმანს.“

მაჰმადიანებს ბაირამის სახელით კიდევ ჰქონდათ დღესასწაული, ოლონდ მას ყურბან-ბაირამი (ყურბან მსხვერპლი) ეწოდებოდა და

იმართებოდა აგვისტოს თვეში. ეს იყო მცირე ბაირამი. იგი იდოესას — წაულებოდა მარხვის — რამაზანის შემდეგ — და გრძელდებოდა სამი დღე. ყურბან-ბაირამის დროსაც ულოცავდნენ სპარსეთის ქონის ულს. ამ დღესასწაულის დროს იკვლებოდა ცხვარი მოღაზნითან და წრებით. დაკლული ცხვრის ხორცს ქალაქში მცხოვრებ ლარიბ შესმაღანთა ოჯახებს უგზავნიდნენ.

კვირაცხოვლობა, ელიაობა




კვირაცხოველის“ ეკლესია მდებარეობს ჩუღურეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დიდხევის მარცხნიანი ნაპირზე, რკინიგზის ხაზთან, შემაღლებულ აღგილზე (დღეს მას ეკლესის სახე დაკარგული აქვს, საცხოვრებელ შენობადაა გადაკეთებული). ეკლესიის აგების ზუსტი დრო ცნობილია არ არის. სახელი „კვირაცხოველი“ კომპოზიტია — ორი სიტყვის ნაზავია — კვირია და ცხოველი. ცხოველი ცოცხალს ნიშნავს, ე. ი. კვირია სიცოცხლისა და ნაყოფიერების ღვთაებაა.

ქართველები კვირაცხოველობას დღესასწაულობდნენ აღდგომის სწორს. საქართველოში კვირაცხოველობას დიდი ზემო იცოდნენ. ამ დღეს ქართველებს წესად ჰქონდათ ბურთის თამაში. ეკლესიაში წირვის შემდეგ ორ ჯგუფად გაყოფილი ხალხი ერთმანეთს ეცილებოდა ბურთის ხელში ჩაგდებაში. მრევლს სწამდა, რომელი ჯგუფიც გაიმარჯვებდა და ბურთს აიღებდა, მთელი წელი უხევი ჭირნახული ექნებოდა. ზოგჯერ ბურთს ნაკუშ-ნაკუშად გლეჭდნენ და ინაწილებდნენ, იმდენად მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა მას. სულ პატარა ნაკუშის პატრონიც დარწმუნებული იყო, რომ მის ოჯახს მთელი წელიწადი სიუხვე და ბარაქა არ მოაკლდებოდა. კვირაცხოვლის გორას „წითელ გორას“, კრასნაია გორკასაც უწოდებდნენ კვირაცხოვლიბა დღეს აქ წითელი კვერცხების დაგორების გამო. ეს წესი რუსმა მართლმადიდებლებმა შემოიტანეს ჩვენში. გორის ფერდზე წითელ სააღვიშო კვერცხებს დაგორებდნენ და ვისი კვერცხიც შორს გავორდებოდა, მოგებულიც ის იყო.

ძველი თბილისის ჩრდილო-დასავლეთით, ავლაბარსა და ჩუღურეთს შორის, ჩუღურეთის ხევსა და რკინიგზის გადაღმა მხარეს ელიას უბანი ეწოდებოდა. უბანში სახელი მიიღო მახათას მთაზე მდგარი ეკ-

ლესის გამო, რომელიც ელიას სახელობისა იყო. ელიას ქართულ ღვთაებათა პანთეონში ამინდის გამგებლობა აკისრია.

ზაფხულობით, 20 ივლისს, თბილისისპირა სოფლელები—ჩულუკ-რეთელები, ავლაბრელები, კუპიელები, დიდუბელები და სხვანი ღრუბელთა მპყრობელის, დარიას და ავდრის ბატონის ელიას პატივსაცემად აკეთებდნენ თოვინას — „ელიას“ — და სიმღერით კარდაკარ ჩა-



წმ. ბარბარეს ძევალი ეკლესია

მოიელიდნენ. ოჯახის პატრონი მის კარზე მისულთ გამოუტანდა კეირცხს, ფქვილს, თოვინა „ელიას“ და წყალსაც გადაასხამდა ხოლმე. როცა მთელ სოფელს შემოივლიდნენ, ღმერთს ბატკანს შესწირავდნენ, თხას ელიას. თუ გვალვიანი წელიწადი იყო, ასეთი სიმღერა სრულდებოდა:

დიდება და დიდება,
ღმერთსა დიდება!
ღმერთო, მოგვე მოწყალება,
ღმერთსა დიდება!

ნე იდებ ჩვენსე ხელსა,
ღმერთსა ღიდება!
ჩვენო წმინდა ელია,
რისთვის მოგიშუენია,
ჩვენი თეთრი ბერწი ფური
შენთვის მოგვირთმევია!
აღარ გვინდა გორახი,
ახლა გვინდა ტალახი.
ღიდება და ღიდება,
ღმერთსა ღიდება!

ავდრის დროს „ელიას“ ასე შესთხოვდნენ:

ჩვენო წმინდა ელია,
რისთვის მოგიშუენია,
ჩვენი თეთრი ბერწი ფური
შენთვის მოგვირთმევია!
აღარ გვინდა ტალახი,
ახლა გვინდა გორახი,
ღიდება და ღიდება,
ღმერთს ღიდება!

გადმოცემის თანახმად, სანამ ღმერთი ელიას ცაში აიყვანდა და ღრუბელთა გამგებლიდ დანიშნავდა, მანამდე იგი ხარაზი-მეხამლე იყო. ერთხელ მას სახელოსნოში ქალად ქცეული ეშმაკი გამოეცხადა და ხამლის შეკერვა სთხოვა. ელია არ იღებდა შეკევეთას, მაგრამ ეშმაკმა თავისი ვაიტანა და ელია ფეხსაცმლის შეკერვაზე დაითანხმა. ხამლის თარგის ასაღებად ელიამ ქალად ქცეულ ეშმაკს ნაცარზე დააღებინა ფეხი. „ქალუშმაკა“ შიშველი ფეხი ზომაზე მეტად დაანახვა ელიას. ხელოსანმა ეს დიდ ცოდვად ჩათვალა და თავისივე ხელით დაითხარა თვალები. ამის მნახელმა ღმერთმა ბრძა ელიას საქციელი დაუმადლა, ცაში აიყვანა, თავის მრავალრიცხვან წმინდანთა ამაღლაში ჩარიცხა და „ცა და ღრუბელი“ ჩააბარა. მისცა ერთი ეტლი, რომლითაც ბრძა ელია უვლის თავის საბრძანებელს. იგი ხან აქ გამოჩნდება, ხან იქ. როცა ცაზე გაივლის, იწყება ჭექა-ქუხილი. ამიტომაა, სეტყვის დროს თოთს რომ ისცრიან და ზარს რეკავენ. ამით სოფლელები ბრძა ელიას ატყობინებენ, ქვემოთ სოფელია და არ დასეტყვოო.

პ ი ჭ ი რ ა



ლესასწაული ჭოჭოობა თბილისში აღდგომის შემდეგ, პირველ სამშაბათს ეწყობოდა. ამ დღესა-სწაულის თუ დღეობის არსი შემდეგში მდგომარეობდა: თბილისელი ქალები, განსაკუთრებით, ქალიშვილები, აიღებდნენ შაქრის რამდენიმე ნატეხს და ქალაქის ძველ უბანში — ავლაბარში, უფრო ზუსტად, ავლაბრის სამხრეთით, მტკვრის ნაპირზე მდებარე ძალის უბანში წავიდოდნენ. აյ, მტკვრის ქბოდე ნაპირზე იმართებოდა ჭოჭოობა. მორწმუნე ქართველი ქალები ლოცულობდნენ და თავიანთი სურვილების შესრულებას შესთხოვდნენ მამაზეციერს. ლოცვა-ვედრების შემდეგ ისინი თან წაღებულ შაქრის ნატეხებს უყრიდნენ მტკვრის ქარაფიან ნაპირზე ბინადარ ჭოჭოებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ რიტუალს — ჭოჭოობას — მრავალი მლოცველი ასრულებდა, მისი წარმოშობა XIX საუკუნის ქალაქელებს აღარ ახსოვდათ. ეს იყო ძველ თბილისელთა ერთ-ერთი იმ მრავალ წეს-ჩევევათაგანი, რომელიც შთამომავლობას შემოენახა, ოღონდ რაღაც სახეცვლილებით.

როგორც ყველა საერო, ისე სასულიერო წესს თავისი ლეგენდა, გადმოცემა აქვს. ირც ჭოჭოობა არის გამონაკლისი. მისი წარმოშობის შესახებ შემორჩენილია გადმოცემა, თითქოს ძალიან დიდი ხნის წინ აյ, ამ ადგილზე, ძველ ავლაბარში, ცხოვრობდა მავანი და მავანი უცხო კაცი, რომელიც თურმე სასწაულებს ახდენდა, ერთი ხელის მოსმით, თუ შეხებით კორფულს აქრობდათ. მაგრამ რა კავშირში იყო ძალლის უბნის ჭოჭო იმ სასწაულმოქმედ აღამიანთან, აღარავინ იცოდა.

არსებობდა კიდევ ერთი გადმოცემა, რომ ძველად ავლაბრის ამ ნაწილში, მტკვრის პირას, ერთ-ერთ ქვაბულს თავს აფარებდა ვინ-

მე დოდო, შემდეგში ცნობილი მეუდაბნოე, გარეჯის უდაბნოს ერთ-ერთი მშვენიერი ლავრის აღმშენებელი და მოწაფე დავით გარეჯელისა. საფიქრებელია, რომ დოდოს პატივსაცემად გაჩენილიყო უკადლესასწაული. დოდო რეალური პიროვნებაა, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა VII საუკუნეში. ადვილი შესაძლებელია, წმინდა დოდოს



წმ. ბარბარეს ახალი ეკლესია

ამბავი დავიწყებას მისცემოდა, დღესასწაულის სახელი დოდოობა გაუგებარი გამხდარიყო, მაგრამ შეცვლილიყო უფრო გაუგებარი სიტყვით ჯოვოობით.

აღსანიშნავია, რომ ქართულ საეკლესიო კალენდარში წმინდა დოდოს დღეს ქრისტიანულ-მართლმადიდებლური ეკლესია ამაღლების შემდგომ ოთხშაბათ დღეს აღნიშნავს.

პიაჲო პონაგა



ვნების კვირის ოფეშაბათ დღეს ძეელ თბილისში, მოსალაშოვდებოდა თუ არა, ეზოებსა და ქუჩებში ინთებოდა კოცონები და ქალაქი შორიდან მეტად საოცარი სანახავი ხდებოდა. კოცონებს თან ერთოდა თოფის სროლა.

ძველად ქართველ ხალხს, ისევე როგორც ყველა ძეელ ერს, სწამდა ავი, უხილავი სულების არსებობა, რომლებიც ვითომც წელიწადში ერთხელ იქრიბებოდნენ იალბუზის მთაზე. აქ ისინი მსჯელობდნენ, რა ევნოთ ადამიანებისათვის. მათ წინააღმდეგ ადამიანები თავიანთ ხერხს მიმართავდნენ, ანთებდნენ დიდ კოცონს, ჭიაკოკონას, რომელზეც ოჯახის ყველა წევრი უნდა გადამხტარიყო. ეს იყო ავი სულებისაგან დახსნის, ცოდვებისაგან განწმენდის ე. წ. პროფილაქტიკური რიტუალი. ეს ჩვევა საწყისს უნდა იღებდეს იმ დროიდან, როცა ქართველები ცეცხლთაყვანისმცემლები იყვნენ. ცეცხლს პქონდა მინიჭებული ცოდვებისაგან განწმენდისა და დაცვის ფუნქცია.

ჭიაკოკონაზე, სულ ცოტა, სამჯერ მაინც უნდა გადამხტარიყვნენ და თან ეძახათ: არი-ურული-ურული-ურული კუდიანებსა...

კუდიანებისაგან ოჯახის დაცვის რიტუალში შედიოდა კიდევ ერთი წეს-ჩვევა — ასკილის ტოტებით ამოექოლათ სახლის ქარფანჯრები და საკვამლე მილები.



მაღლების" წინა დღეს თბილისელი ქალები მიღიონენ ავლაბარში ხოჯევანის სასაფლაოზე. ციხანი ვიჰაეთ — მკითხაობა იყო. მკითხაობა მანტიური ზნე-ჩვევა არის, რომელიც სათავეს საუკუნეთა მიღმიღან იღებს. მისი მიზანია ისეთი რამის გაგება, რაც ბუნებრივი გზით ადამიანს არ შეუძლია.


ვიჰაეთისთვის სასაფლაოს იმიტომ ირჩევდნენ, თითქოს მიცვალებულთა სულიც ეხმარებოდათ მომავლის სწორ გაგებაში, ანსნაში. ვიჰაეთიც სწორედ ასნას, გამოცნობას, მკითხაობას ნიშნავს.

ვიჰაეთ ანიმისტური რიტუალი იყო.

ვიჰაეთ მკითხაობა ძალზე მარტივად ტარდებოდა. მკითხაობაში მონაწილე მავანი და მავანი ქალიშვილი სისხამ დილით დგებოდა (მზის ამოსელისთვის უნდა დაესწრო) და უჩუმრად გადიოდა სახლიდან, უჩუმრადვე უნდა შემოევლო მას შეიდი სხვადასხვა წყარო (ონჯანი, ჭა და ა. შ.) და ჭურჭელი წყლით აევსო. ეს იყო სამკითხაო, ვიჰაეთისათვის საჭირო წყალი. ვიჰაეთი მონაწილე სხვა ქალები — გოგონები — წყლიან ჭურჭელს ფერადი ნაჭრებით რთავდნენ და ყოველი მათგანი შიგ რაიმე ნიერს აგდებდა: ბეჭედს, საყურეს, სამაჯურს, სათითეს, კენჭს და სხვ. როცა ყველაფერი მომზადდებოდა, მაშინ შეეძლო წყლის შემგროვებელს ხმის ამოლება, დალაპარავება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ იგი აღრე დაილაპარავებდა, სამკითხაო წყალი კარგავდა თავის „ყოვლის შემძლეობას“ და მკითხაობაც იშლებოდა. მოტანილი წყალი უნდა გადაეღვარათ და ისევ ის ქალიშვილი წასულიყო ახალი წყლის მოსატანად.

თვით მკითხაობა საღამოს უამს, ნასადილეეს, სამხარზე იწყებოდა. წყლიანი ჭურჭლიდან ნივთები უნდა ამოელო საგანგებოდ მოყვ.

ବ୍ୟାକ୍‌ରୁଦ୍ଧ
ପାତାଳିମୁଖ



କନ୍ଧାଳ ପ୍ରାଚୀନ ଶ୍ରେଷ୍ଠ ବାଲାହାନ୍ତି, ହୋଇପୁର.

ვანილ პატარა გოგონას, რომელიც თავისი მშობლებისათვის პირველი შეილი იქნებოდა. ვიქაკის დროს ვინმეს თურქულ ენაზე უნდა ემღერა, ამიტომ მკითხაობისას იწვევდნენ თურქული ენის მცოდნული ნეს, რომელიც ნამღერ სტროფებს თარგმნიდა.

ვიქაკში მონაწილენი სხდებოდნენ წრიულად. თითოეული ნამღერი სტროფის შემდეგ გოგონა ხელს ყოფდა წყლიან ჭრეჭელში და იქიდან რამე ნივთს იღებდა. სიმღერისათვის ყველას უნდა ეგდო ყური, ვინაიდან მასში ლაპარაკი იყო ბეღნიერებაზე, სიცოცხლეზე, სიყვარულზე, სატრფოს დაბრუნებაზე, სურვილის შესრულებაზე, გათხოვებაზე, სიკვდილზე, ახლობლის დაკარგვაზე და ა. შ.

მკითხაობა — ვიქაკი მთავრდებოდა ვახშმით, რომელსაც მას-პინძელი მართავდა. იმართებოდა ტაშ-ფანდური და დაირაზე ცეკვა-თამაში.

თ ე ლ ე თ ო გ ა



ველი თბილისელები არამარტო ქალაქის ეკლესიებში დადიოდნენ სალოცავად, არამედ მის შემოგარენში მდებარე წმიდა აღგილებსა და სალოცავებსაც დიდი მოწიწებით ეკიდებოდნენ და თაყვანს სცემდნენ. მაგალითად, ასეთი იყო დიღმის თეთრი წმ. გიორგის, უძოს წმ. გიორგის, თელეთის წმ. გიორგის ეკლესიები.

ქალაქელები განსაკუთრებით მაინც თელეთობას აღნიშნავდნენ.

სოფელი თელეთი ქალაქიდან 10—12 კილომეტრით იყო მოშორებული და მისგან სამხრეთით მდებარეობდა.

დღეობა თელეთობა ქრისტეს ამაღლების დღეს, აღდგომის მეორმცე დღეს აღინიშნებოდა. რაღაც ქრისტეს აღდგომის დღერთსადამაცე თვეს არ ემთხვეოდა (იგი მოძრავი საეკლესიო დღესასწაულია), ამაღლებაც მოძრავი დღეობაა და ის გაზაფხულის სხეადასხვა თვეში ეწყობა ხოლმე.

თელეთობა დღეს ხალხი სოფელში მდგარ წმიდა გიორგის ეკლესიასთან მიდიოდა სალოცავად. თელეთის წმიდა გიორგის ეკლესიას ხალხი სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდა, ამიტომ აქეთ, როგორც წესი, სალოცავად ძირითადად ხეიბარნი, დავრჩომილნი, გლახავნი და უძეო და უშეილო ქალები და კაცები მოეშურებოდნენ.

თელეთობაზე მლოცველნი წინა დღით მიდიოდნენ ლამისთევით. ორთაჭალისა და კრწანისის მისადგომები გაჰქედილი იყო ქვეითად, ცხენით, ეტლითა თუ მოჩარდახებული ურმებით მიმავალი მლოცველებით.

აი, ქვეითად მიმავალ ქალაქელს მხარზე მოუგდია ჭრელი ხურჯინი და ნება-ნება მიუყვება კრწანისის ქედის დაკლაკნილ ბილის.

ხურჯინის ერთ ჯიბეში ნაზუქები, ქადები, შოთის პურები აწყვია. მეორეში ერთვედროიანი, ლვინით სავსე პირმოკრული ტიყი და სამღვ-თოდ შესაწირი ოქროსბიბილოიანი მამალი; მოჩარდახებულ, ხალებ-შებმულ ორულელა ურმებზე ისხდნენ ქალები და მოხუცებულები, ურმიდან თავი გამოეყოთ შუბლზე მურით ჭვარგამოსახულ ცხვრებს.

ზევიდან, თელეთის ქედიდან რომ გადმოგეხედათ ერთ მწკრი-ვად მიმავალი მოჩარდახებული ურმებისათვის, უზარმაზარი ფერა-დი ფიანდაზი გეგონებოდათ. მოქანავე ურმების ჭრიალი არღვევდა ლამის სიმყუდროვეს, თითქოს თელეთის სანახებს ჭრიჭინების დიდი გუნდი შესევიაო... ურემთა ჭრიჭინს თან ერთოდა უღელში შებმუ-ლი ხარების ხვენშა-ცოხნის ხმა. ყოველივე ეს, ბუნებასთან შერწყ-მული, საოცარ, განუმეორებელ ჰარმონიას, ენით გამოუთქმელ ზღაპრულ სილამაზეს ქმნიდა...

აი, როგორც იქნა, ირიყრავა, უძილო ღამე მიიღია. ეკლესიის გუმბათზე აღმართულ ჭვარზე მზის პირველი სხივი აკიაფდა. მზის ამოსვლას პირველად მამალი მიესალმა გამაყრუებელი ხრინწიანი ყიყილით. პირველ მამალს მეორე აჲყვა, მამლების ყიყილს ურმის ბორბალს გამობმული, სამსხვერპლოზე მოყვანილი ცხვრის განწი-რული ბლავილი შეუერთდა...

ეკლესიის ეზოში ამ დროს ზოგი ქადაგად დაცემულიყო და შვეუნიერებაზე ცოდვა-მადლის განკითხვებს მოითხოვდა; ზოგი მლო-ცველი, წმინდა სანთლით ხელში, ჩოქვით უვლიდა ეკლესიას და თან ლოცვას ბუტბუტებდა: იქით მავან ცოდვილს ქისერზე მსხვილი გაჭ-ვი ჩამოვეკიდა და ღმერთს, უზენაესს ამქვეყნიური ცოდვების შენ-დობა-პატიებას შესხოვდა. აგერ, უშვილო ახალგაზრდა ცოლ-ქმა-რი ფეხშიშველა, ჩოქვა-ჩოქვით გარს უვლის ეკლესიას და თან, სურ-ვილების შესრულების მიზნით, ეკლესიას თავის ნახელავს — დართულ ბამბის ძაფს ახვევს — იქნებ ღმერთმა ერთი შვილი გვა-ჩუქოსო. ზოგი მლოცველი ცდილობდა, მსხვერპლად შეწირვამდე ეკლესიის გარშემო შემოეტარებინა შუბლზე ჭვარდასმული, ჩქებზე წმინდა სანთელანთებული გაურჩებული ცხვარი. ზოგიერთ ხელმარ-ჯვე მლოცველს კი უკვე ცხვრის დაკვლაც მოესწრო, გატყავებაც. ცეცხლიც დაენთო და ზედ შემომდგარი გაქვარტლული სპილენძის დიდი თანგირა ქვაბიდან ამოვარდნილი ოხშივარი ზეცას ერთოდა.

წირვის შემდეგ ეკლესიის ეზოში იმართებოდა ლხინი. მოქეი-

ფენი ჯამითა თუ შეიქით ხელში ღმერთს შესთხოვდნენ, შეესმინა მათი ლოცვა-მუდარა და სურვილები შეესრულებინა. იქვე, შოთა ალექსანდრო, ვიღაც ბრძან მუსიკის საზანდარზე ამღერებდა და მსმენელების რომელილაც სახალხო გმირის ზღაპრულ თავგადასცვილს მოუწეს რობდა.

ლხინის შემდეგ მლოცველები თელეთიდან ქალაქისკენ მოემართებოდნენ. მათ დროს ქალაქიდანაც მოემართებოდა ხალხი მათ შესახვედრად, ძირითადად, ახალგაზრდა ქალ-ვაჟი. თბილისის გარეთუბანში, ხარფუხ-სეიდაბადის ახლოს, ორთაჭალის ბაღებში გრძელდებოდა თელეთში დაწყებული ლხინი და ქეიფი.

თელეთობა მთავრდებოდა ორთაჭალაში გამართული დიდი ჯირითი. ყარაბაღული ჯიშის ცხენებზე შემსხდარი ყმაწვილი კაცები ერთმანეთს ეჭიბრებოდნენ სიმკვირცხლესა და სისწრაფეში. აი, გახელებულ ბედაურს ყიუინით ამხნევებს მხედარი. უცებ იგი საოცარი სისწრაფით ცხენს მუცელზე მოექცა და უცდადევ ისევ უნავირზე აღიმართა; მეორე თავის მეტოქეს ტოლს არ უდებს და ისეთ საოცარ ილეთს აეთებს, მნახველები იღტაცებულ ყიუინას ტეხნე: გაქანებული ცხენიდან გაღმოიწია და მიწაზე დაგდებული ბოხოხა ქუდი იტეაცა.

ჯირითის გარდა აქვე იმართებოდა ქართული სპორტული თამაშობა ისინდი.

კარგა შებინდებული იქნებოდა, როცა ლხინითა და ჯირითით დაღლილი ღამის მთეველი მლოცველები ცეკვა-სიმღერით ქალაქში ბრუნდებოდნენ.

ძეელ თბილისში ხშირად გაიგონებდით, გაცხარებული მოქამათე თავისი სიალალისა და სიმართლის დასამტკიცებლად თელეთის ძალას რომ იშველიებდა და ამბობდა: მტყუანს თელეთი გაუწყრესო. ხოლო ქეიფის დროს გაჭიუტებულ მეინახეს ასე მიმართავდნენ: „ვინც არ დალიოს, თელეთმა დაკუტოსო.“

მთაწმინდისა



თაწმინდობა, ანუ წმიდა დაცითობა ძველ თბილისში იდლესასწაულებოდა ოლდგომის მეშვიდე კვირის ხუთშაბათ დღეს.

მთაწმინდა ძველ თბილისს დასაცლეთიდან ემინებოდა და იგი ქალაქის თითქმის ყოველი მხრიდან ჩანდა, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა მას.

სახელწოდება ამ ადგილმა იერუსალიმში არსებული წმიდა მთის სახელის გავლენით მიიღო.

VII საუკუნეში საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების საქადაგებლად გამოემგზავრა ცამეტი ასურელი მამა-ბერი. საქართველოში ჩამოსულისთანავე თითოეულმა მათგანმა სამოღვაწეოდ ქვეყნის სხვადასხვა კუთხე აირჩია. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც თბილისის გარეუბანში, მთაზე დასახლდა, ბერი დავითი იყო.


1540 წელს წმიდა დაცითის სამყოფელის, სენაკისა თუ ეკლესიის ადგილზე ბერად შემდგარი დაცით და ნიკოლოზ გაბაშვილები აგებენ ეკლესიას, რომელსაც ჩვენამდე არ მოულწევია. დღევანდელი ეკლესია XIX საუკუნისაა.

როგორც თითქმის ყველა საეკლესიო დღესასწაულზე, მამადავითობაზეც მლოცველი ქალები ჭარბობდნენ მამაკაცებს. დილაადრიან იწყებოდა მთაწმიდისაკენ მლოცველთა სვლა. შორიდან მაყურებელს მთის ფერდობზე შეფენილი მლოცველი რაღაც მოძრავი ჯაჭვი ეგონებოდა.

დიდი ეკლესიის (XIX ს.) სამხრეთით მდგარი პატარა ეკლესია XX საუკუნის დასაწყისში აიგო. ქალაქის ერთ-ერთი ძველი მკვიდრების პლატონ ბერიძისა და ანტა დართალაშვილის გადმოცემით, ეკლესიის საშენი მასალა — აგური, თურმე მთის ძირას ეწყო და

ყოველ მლოცველს, ეკლესიაში ასელისას, თან უნდა აეტანა რამდენიმე აგური. აი, ასე აშენებულა წმიდა დავითის პატარა ეკლესია.

მთაწმინდაზე ასულ მლოცველებს, სანამ ეკლესიაში შევმოიდი ლნენ, ჯერ ეკლესიისათვის უნდა შემოევლოთ სამჯერს და თან ძაფი შემოეხვიათ მისოვის. ეს იყო ეკლესიისადმი თაყვანისცემის ერთ-ერთი გამოხატულება.



მთაწმინდის ეკლესია

აქ მოსულ მლოცველებს კიდევ ერთი ჩვევა ჰქონიათ. იმის გა-
საგებად, შეუსრულდებოდა თუ არა ჩანაფიქრი, ოცნება, სურვილი,
შეისმინა თუ არა ღმერთმა მათი თხოვნა, ეკლესის დასაცლეთ კუ-
ლელში გარედან ჩადგმულ რკინის კარს კენჭს ჩამოუსვამდნენ, უფრ-
რო ზუსტად, მიადებდნენ. თუ სურვილს შესრულება ელოდა, კენჭი
უნდა გაჩერებულიყო, კარს მიკროდა. ასევე დიდ მნიშვნელობას
ანიჭებდნენ მლოცველები კლდიდან ჩამოშლილი თუ დაძრული ქვის
ხმაურს. ყოველივე ეს კარგის მაუწყებლად ითვლებოდა.

მთაწმინდის ეკლესიაში არსებობდა ბავშვის შეწირვის წესი.
შშობელი, რომელსაც ხშირად უკვდებოდა შვილები, რამდენიმე
ხნით წმიდა დავითის ეკლესის შესწირვადა შვილს. „შეწირული ბა-
ვშვი“ რამდენიმე ხნით, დათქმული დროის განმავლობაში, თმაგაუ-
კრეჭავი დადიოდა. ტანზე თეთრი ტანსაცმელი უნდა ცმოდა გაუხ-
დელად. ბოლოს, როცა დრო მოვიდოდა, ფეხშიშველა ბავშვს მთაწ-
მიდის ეკლესიაში მიიყვანდნენ. იქ მლედელი თმას შეკრიდა, ფერად
ტანსაცმელს ჩააცვამდა და ლოცვა-კურთხევით დაამთავრებდა ამ
რიტუალს. შემდეგ იყვლებოდა საკლავი ცნგარი ან ხარი.

მამადავითობას, მთაწმინდობის დღეს, ლოცვა-წირვის შემდეგ
იწყებოდა დიდი სეირნობა, ისმოდა დუღუქის და დაირის ხმა, სად-
ღაც მლეროდა ბრმა საზანდარი. იქვე წრე შეეკრათ და ორი ფალავა-
ნი ჭიდაობდა.

დღესასწაული დაღამებამდე გრძელდებოდა.

იქნისის თევ არ იყო მდიდარი არც საეკლესიო და არც სახალ-
ხო დღესასწაულებით.

ამ თვეში მხოლოდ კათოლიკები აღნიშნავდნენ წმინდა სულის
მოფენის დღეს. იგი შემდეგნაირად აღნიშნებოდა: კათოლიკურ ეკ-
ლესიაში ლიტურგიის — წირვის შემდეგ მლოცველთა პროცესია
მიემართებოდა სოლოლაკის უბანში მდებარე კათოლიკური სასაფ-
ლაოსაკენ (გუდოვიჩის ქუჩის გავლით, დღევანდელი ჭონქაძის ქუ-
ჩია). მრევლის მსვლელობას მოთავეობდა ეკლესიის მოძღვარი, რო-
მელსაც მიპქონდა გავალაკს — საჩრდილობელს (ბალდახინს) მოფარე-
ბული ქრისტეს წმინდა ნაწილები მგალობელთა და მუსიკის თანხ-
ებით. ამ სადღესასწაულო პროცესიაში მონაწილეობას იღებდნენ
თბილისში მოსახლე ყველა ეროვნების კათოლიკები: ქართველე-
ბი, პოლონელები, სომხები, გერმანელები, რუსები...,

პროცესიას წინ მიუძლოდნენ ორრიგად ჩამწერივებული, თუთა-
ტანსაცმლიანი გოგონები და ყმაწვილები, რომლებსაც ხელში ყვა-
ვილებით სავსე კალათები ეჭირათ. ბავშვები გზადაგზა, კალათები
იღებდნენ ყვავილებს და ქუჩაში აბნევდნენ.

სასაფლაოზე იდგმებოდა ოთხი ტრაპეზი — ტახტი ოთხი სახა-
რების (მათე, მარკოზ, ლუკა, იოანე) წასაკითხად. თითოეული სახა-



გერმანული ეკლესია მიხაილოვის ქუჩაზე

რება იყითხებოდა სხვადასხვა ენაზე — ქართულად, ლათინურად, პო-
ლონურად, სომხურად. ოთხ ენაზე სახარების კითხვა სიმბოლური
მნიშვნელობისა იყო და ასახავდა სხვადასხვა ქალაქებსა და სოფ-
ლებში მოსიარულე მქადაგებელ იესო ქრისტეს. წმიდა სულის მო-
ცენის დღესეე მოხდა სასწაული — იესოს მოწაფეებმა — მოციქულებ-
მა მოულოდნელად ერთმანეთისათვის გაუგებარ სხვადასხვა ენაზე
დაიწყეს ლაპარაკი.

გზადაგზა ყვავილების მობნევაც სიმბოლურად სულისა და მაღ-
ლის მოფენას გამოხატავდა.

ზ ე თ ხ ა ი ნ ღ ა
(ზ ე თ ლ ე მ ღ ა)




ესელ თბილისში ფეთხაინობას (ბეთლემობა) დღე-
სასწაულობდნენ სომხები. ეს იყო წმინდა ღვთის-
მშობლის მიძინების დღე.

ავტისტოს ერთ დღეს დილიდანვე იწყებოდა
სომხები მლოცველთა მსვლელობა სოლოლაკის
ქედის ჩრდილოეთ ფერდზე მდგარი ფეთხაინის ეკლესიისაკენ. ფე-
თხაინობას მეტად ხალხმრავლობა იცოდა, თანაც მეტად მრავალფე-
როვანი დღესასწაული იყო. წირვის დროს გამოასვენებდნენ ღვთის-
მშობლის ხატს, რომლის თაყვანისცემა ეწადა ყველა მლოცველს...
ეკლესიიდან გამოსული მრევლი კიდევ დილხანს რჩებოდა ძეგლის
ახლოს სასეირნოდ. ზოგი მლოცველი კი, უფრო დაერდომილნი და
დაავადებულნი, ეკლესიის გალავანში მოთავსებულ პატარა სამლო-
ცველო ნიშაში შედიოდნენ და რამდენიმე დღეს იქ ატარებდნენ
ლოცვა-ელჩებაში.

ღვთისმშობლის მიძინების დღეს თბილისის ქართველი მოსახ-
ლეობა სალოცავად ქალაქის სანახებში მდებარე სოფელ მარტყოფ-
ში მიდიოდა.

განსაზღვრული და მიმდინარე განცხადების



ვენს ქალაქში და, საერთოდ, მთელ საქართველოში ოდითგანეე ერთნაირი უფლებებით სარგებლობდა სხვადასხვა რეულისა და ეროვნების ადამიანი. საქართველოში არ არსებობდა ეროვნული და რელიგიური დისკრიმინაცია. ყველასც ნათლად ეს თბილისში ჩანდა.

როცა 1122 წელს, დიდგორის ბრძოლის შემდეგ დავით აღმაშენებელმა თბილისი აიღო, თბილისელ მაჭმადიანებს მან უფლება მისცა, თავისუფლად ელოცათ თავიანთ მეჩეთებში და მინარეთებიდან ხმამალია მოეწოდებინათ თავიანთი მრევლისათვის. ქალაქის ქრისტიან მოსახლეობას კი აუკრძალა მაჭმადიანთა უბანში ლორის დაქვლა და სხვ.

ეს მიუთითებდა ჩვენი დიდი მეფის პუმანურობასა და უცხო რელიგიისადმი შემწყნარებლობაზე. გარდა ამისა, ქალაქის მაჭმადიანი მოსახლეობის უმეტესობა ვაჭრობა-ხელოსნობას მისდევდა და მათი განაწყენება თბილისიდან მათ წასვლას გამოიწვევდა. ეს კი უარყოფითად იმოქმედებდა ქალაქის და, საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ძველთაგანეე მაჭმადიანები დღესასწაულობდნენ შაჰსეი-ვაჰსეის.

მუჰარემის ოვის 10 რიცხვში, აშურას — გლოვის დღეს, მაჭმადიანი შიიტები (მია არაბული სიტყვაა და ნიშნავს მიმდევარს, მომხრეს) მართავდნენ დღეობას, რომელსაც შაჰსეი-ვაჰსეი ეწოდებოდა. მისი წარმოშობა დაკავშირებულია მაჭმადიანთა პირველი წამებულის პუსეინის სახელთან.

მაკმადიანური რელიგიის შემქმნელის მუჰამედის სიკვდილის (632 წ.) შემდეგ მედინელებსა და მექელებს შორის დაიწყო ბრძოლა პირველობისათვის. იმის მიხედვით, ეინც უფრო ახლოს ყდგა მუჰამედთან, გახდებოდა მისი მოძღვრების მემკვიდრე მუჰამედის ყველაზე ახლობელი ნათესავი, სიძე იყო ალი (ცოლად პყავდა მუჰამედის ერთადერთი ქალიშვილი ფატიმა, რომელთანაც ეყოლა ორი ვაჟიშვილი — ჰასანა და ჰუსეინი). მან ერთ-ერთმა პირველთა განმა იწამა მუჰამედის მოძღვრება.

სიმამრის სიკვდილის შემდეგ დაწყებულ რელიგიურ ბრძოლას,



შაჰსეი-ვაჟები.

680 წ. ქალიქ ქერბელასთან შეეწირა ამ ალის ვაჟიშვილი ჰუსეინი. ასე გაჩნდა მაკმადიანთა პირველი წამებული ჰუსეინი, თვით ქალაქი ქერბელა კი იქცა წმინდა ადგილად.

აშურას დღეს არც ერთი შიიტი¹ მაკმადიანი არ ვაჭრობდა, არა-

¹ ისლამურ რელიგიაში ორი ძირითადი მიმართულება არის — სუნიათი და შიიტი.

სუნიტები (სუნა — არაბ. — ქუვა, ჩუვა) ყურანის ძირითად დამატებად სცნობენ სუნას — მაკმადიანურ „წმინდა თქმულებას“, რომელიც რამდენიმე

ვითარ საქმეს არ აკეთებდა, არც საკლავს კლავდა. თბილისის აბანოების უბანში და ძეელ მეიდანზე მაპმადიანი მოსახლეობა აიგნებზე ფენდა წარწერებიან ჰაშიიესოთუნს — შავი ქსოვილის გრძელნაკრებს.

გლოვის ნიშნად სახეზე მურწასმული, თბაგაწეწილი; დაგლეჭილტანსაცმლიანი მაპმადიანი ქალები ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და თან სახეს იხოვადნენ და იყაწრავდნენ.

სამგლოვიარო პროცესიას, რომელიც ქუჩაში მოდიოდა, დესტე ეწოდებოდა. ეს იყო მრავალპლანიანი თეატრალიზებული სანახობა.

პროცესის წინ მოპქონდათ დიდი ანთებული ფარნები, შემდეგ მოდიოდნენ მებაირალენი ბაირალით ხელში. მოპქონდათ სირაქლემის ფრთებით, სარკეებითა და ძვირფასი ქსოვილებით მორთული ალამი — გრძელი ფიცარი. ამას მოსდევდა მკერდზე მუშტის ცემით სინეზანების ჯგუფი; მათ მოპყვებოდნენ ზანჯორ ზანანები, რომლებიც ზურგზე მძიმე ჯაჭვებს ირტყამდნენ; შემდეგ — გაშიშვლებული ოჩბირა ხანჯლების თავში ცემით ყამე ზანები. დესტეს ამთავრებდა ჯგუფი, რომელიც პანტომიმის საშუალებით გადმოსცემდა, განასახიერებდა პუსეინის დაღუპვის სხვადასხვა სცენას.

ყოველივე ამას — ჯაჭვების, ხმლების და ხელების ქნევას თან ერთოდა შემზარავი შეძახილები: „შაპსეეი-ვაპსეი!“ („შაპ პუსეინ, ვაპ პუსეინ!“).

ვინც აშურას, გლოვის დღეს სასიკვდილოდ დაშავდებოდა, მას წმინდანთა რიცხვში პრაცხავდნენ.

ათასი მოთხოვნისაგან — ჰალისისაგან შედგება. სუნაში მოთხოვნილია მუსამედის ცხოვრებაშე.

სუნატებისაგან განსხვევებით, შიოტები პალისებში სცნობენ მხოლოდ იმ მოთხოვნას, რომელიც ხალიფა ილის ეხება.

შიოტები უკელა ხალიფას (საერთ და სასულიერო ხელისუფალს), ალის გარდა, უზერბატორებად შიოჩნევენ და მათ უპირისპირებენ თავიანთ 12 იმამს (არა). სიტყვა — წინ მდგომი, მაპმადიანთა სულიერი წინამძღოლი, მოძღვარი). ამიტომ ხშირად შიოტებს იმამიტებსაც უწოდებენ.

შიოტებისათვის დამახასიათებელია წამებულთა, მოწამეთა კულტი, ერთოთი ამათვანი იყო შიოტთა მესამე იმამი პუსეინი.

სუნიზმიც და შიიზმიც VII საუკ. II-ნახვარში წარმოიქმნა.



ელიწადის ყველაზე ბოლო დიდი დღესასწაული იყო შობა, რომელსაც დღესასწაულობრივი 25 დეკემბერს, ქრისტეშობის დღეს. სანახაობრივად ეს დღესასწაული სხვა საეკლესიო დღესასწაულებისაგან თითქმის არ განსხვავდებოდა.

ეკლესიაში ეწყობოდა დიდი წირვა, ხოლო ქართველთა ოჯახებში საზეიმო მაგიდასთან მსხდომნი მღეროდნენ საშობაო სიმღერას:

ოცდასუთა დეკემბერსა
ქრისტე ღამადებულაო,
ჩიტი ღობესა შემოჯდა
იძახის წიავ-წიავსაო.

ილათასა ბალათასა
ხელი ჩაეყავ კალათასა,
ქალო, ერთი კეერცხი გამოგვიტან
ღმერთი მოგცემს ბარაქესა.

ღმერთმა ისე აგაშენოთ,
როგორც შოთს მარანიო,
პური, ღეინო ბევრი მოგცეთ
სალეწავი მრავალიო.

აგაშენოთ, აგაშენოთ..

* * *

დასასრულს მიუახლოვდა ჩვენი მოგზაურობა ძეელ თბილისში. რა არ ვნახეთ, ვის არ გავესაუბრეთ, მზითვის ჩვენებაც ვიხილეთ, მუშტი-კრივიც, ყვენობაც და თელეთობაც. ვნახეთ, როგორ თანდა-

თან „გაევროპულდა“ ჩვენი ძველთაძველი დედაქალაქი, როგორ
შეიჭრა ძველ თბილისურ ყოფაში ეტლი და კონკა, აივნიანი სახლე-
ბი და ნაირ-ნაირი „ოტელები“...

„...ტფილისი ჩვენი მშობელი ქალაქია, ყველანურ ვინც აშენებშო-
ბილვართ, აქა ვცხოვრობთ, აქა ვტრიალებთ, რა მილეთისაც გინდა
იყოს კაცი, მისი შვილები ვართ და სამსახური უნდა გაეუწიოთ ერ-
თნაირის გულისცემით, ერთნაირის ნატვრით“, — „ივერიაში“ და-
ბეჭდილი ეს სიტყვები ყველას, ვინც კი ოდნავ პატივსა სცემს და
უყვარს ქალაქი თბილისი, მოუწოდებს, შეძლებისდაგვარად გაუ-
წიოს სამსახური და ძველი თბილისი შემოუნახოს შთამომავლობას.

ძალიან ძნელია, სრულყოფილად ასახო XIX საუკუნის თბი-
ლისი. აღწერ ქალაქს და გვონია, ყველაფერი თქვი, სათქმელი
აღარაფერია, მაგრამ თურმე ისეთი რამ გამოგრჩენია, რომელიც
მხოლოდ ჩვენი ქალაქისათვის არის დამახასიათებელი და ურომლი-
სოდაც ეს აღწერა სრულყოფილი არ იქნება.

მეც შევეცადე, ძველი თბილისის სახე შეძლებისდაგვარად და-
მეხატა, თუმცადა კარგად მესმოდა, რაოდენ დიდ სიძნელესა და
რთულ საქმეს შევეჭიდე.

„წამკითხველო, შენდობა მითხარ“.

22 - 85

20 - 49.9



Беридзе Теймураз Платонович
КАРТИНЫ ДРЕВНЕГО ТБИЛИСИ
(На грузинском языке)

Литюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1980

ს. ბ. № 503

რედაქტორი მარინე სოხაძე
მხატვარი ე. ორბელია
მხატვარი რედაქტორი გ. ღლონტი
ტექნიკური რედაქტორი ნ. შველიძე
კონტრ-კორექტორი ლ. სულთანიშვილი
კორექტორი გ. ტოგონიძე
გამოშვები მ. სიმონიშვილი

გადაუცა ასაწყობად 28.05.79. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.10.79.
ანაწყ. ზომა 6×9, ქალალდის ზომა 60×84 $\frac{1}{16}$.
ნაბეჭდი თაბახი 8,37. საბ. ქალალდი № 2. სააღრ.-საგამომ-
ცემლო თაბახი 6,62.
ფი 00469. ტიჩევი 20,000. შეკვ. № 629.
ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, მარჯანიშვილის 5.
Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили 5.

საქართველოს სსრ გამსახუმის თბილისი № 4 სტამბა,
380060, მეტეალაქის II კორპ.

Тбилисская типография № 4 Госкомиздата
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
Ազգային Գրադարան